

გარიბა შანიძე • სამოთხის კართან დაგელოდები



„გამომცემლის გრიფი“



მარინა განიძე

სამთხოვს კურტან  
რაგუმრები



თბილისი  
2020

**მადლობას ვუხდი, საქართველოში მოღვაწე პიზნესმენს,  
ლევან შერაზადიშვილს  
ფინანსური მხარდაჭერისთვის!**

რედაქტორი  
ტარიელ ხარხელაური

კორექტორი  
ნინო ვარაზაშვილი

მხატვარი  
გიორგი ცერეთელი

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი პელთაძე

© მარინა შანიძე, 2020

ISBN 978-9941-480-56-0



ჩემო მარინა!

შენს შემოქმედებას არ სჭირდება წინასიტყვაობა... წინასიტყვაობა შენი პოეზიისა (ვინც გიცნობს, ალბათ დამეთანხმება), თავად შენა ხარ და ვერც ვერავინ ისე უმტკივნეულოდ ვერ გახსნის იმ შინაგან კრძალვას, რომელიც ასე გამშვენებს... ვერც ვერავინ წაუძლვება მკითხველს შენზე უკეთესად იმ მიკროსამყაროში, რომელიც შენი კუთვნილებაა. სხვისი საუბარი ვერ ივარგებს გზამკვლევად დაინტერესებული მკითხველისთვის, რადგან როგორც უნდა მოვინდომოთ, ვერ ვისაუბრებთ ისე, რომ განსწავლულობის, თვითგამოჩენის სურვილმა იმ გზას არ გადაგვახვევინოს და იმ ძარღვს არ გაგვაშვებინოს ხელი, რომლითაც ფეთქავს და საზრდოობს გული პოეზიისა. არაფერს იძლევა საუბარი, როგორც ხშირად გვჩვევია, ზეაწეული ტონალობით, — ეს არც შენ გარგებს და არც შენს შემოქმედებას დაადგამს გვირგვინს დაფინისას. უბრალოდ, მივენდოთ გულისყურგამახვილებულ მკითხველს და დარწმუნებული ვარ ის, როგორც მე, ბევრ რამეს იპოვის სათავისოდ დღევანდელობით გამომშრალი გულის მოსალბობად თუ გასაკეთილშობილებლად....

წერე!..

იმდერე სტრიქონით,  
მაცნობე თრთოლვა გულისა,  
ნუ ჩამოვაგებთ ბერავად  
წუთისოფელთან მწურვისას.  
გულში მზის მადლი დნებოდეს, —

დასტურად სიყვარულისა,  
მადლიც მოჰყინე სამზეოს,  
სურნელიც გაზაფხულისა,  
მზე აამგზავრე სტრიქონებს,  
განსაკურნებლად წყლულისა  
და წყურვილს პოეზიისას  
ნურც სხვას დაულევ სურვილსა!  
იქნებ მეც გლოცავ, მიტირე,  
ხელში კალამის ჭერითა,  
ვალალებთ გულის ჭიასა,  
უბრალო ლექსის წერითა  
და ვკვებავთ ფიქრსა თუ ტკივილს,  
დამდნარის გულის წვენითა  
და ვიდებთ თავის სასთუმლად  
მაჯას დაცვარულს ცრემლითა...  
არ დაგალონებთ სამშობლოს  
ამ ჩვენი უღლის წევითა!

ტარიელ ხარხელაური

## ღილი საუფლო ზეცაზე

### ფიქრები მარინა შანიძის კრებულზე „შენკენ სავალი ბილიკი“

სხივჩამდგარი რიურაჟი იწყება პოეტის ფანჯრიდან. ფანჯარა – სამყაროსა და ადამიანთა სულებში გადასახედი თვალი... თვალი, რომელიც უხილავია და ბევრ რამეს ხედავს. უნინარესად იმ მიწას, ადგილს, სადაც დაიბადა და რომელთანაც მაგიურად გადაჯაჭვულა დასაბამიდან... ამ წიგნის ავტორი სწორედ ამ გადასახედთან დგას და თავის ბეჭ-ილბალს მშობლიურ მიწასთან ზიარებით აცნაურებს, რადგან წინაპრის ფესვებზე გაჩნდა და ათასწლეულიდან გამოყოლილი ძალა მოჰყვება...

„შენკენ სავალი ბილიკი“ შემთხვევით არ დაურქმევია მარინა შანიძეს თავისი პოეტური კრებულისთვის. ეს ბილიკი ამ გადასახედიდან იწყება და არ სრულდება... ბილიკი, სავსე სიტყვოებითა და სინათლით, ეკლებითა და ტკივილით... ხანდახან ქანცგაცლილი იმედებითაც, როცა სხვების სასოწარკვეთას სიკეთეს უსაგზლებ და უნანილებ...

„მარტო ჩემს თავს არა, სამშობლოს გავედრებ,

ქვეყანას გავედრებ, ტანჯულს და წამებულს!“

მხოლოდ მაშინაა ცხოვრება გამართლებული, როცა სხვებისთვის მოხვალ და მერე, ფუსფუსითა და ფორიაქით დაღლილი მიემგზავრები დასალიერის რიურაჟისკენ... დედა, მეუღლე, ბებია უფალს სამშობლოს სიძლიერეს ევედრება, სწორედ სამშობლოა პირველი განცდა, რომელსაც დღეს ყველაზე მეტად უჭირს:

„ჩემი მიწა, საფიცარი,

როგორ დამიმცირდა?!

ქართველების ერთობა და

სიძლიერე მინდა!“

ის, რაც გზასავალს ანათებს, სიკეთეა. მხოლოდ სიკეთით უნდა ემსახურო მამულს, ისე რომ სამაგიეროზე არც იფიქრო. ასე იცხოვრა თავადაც სიკეთით...

„დიდი წინაპრის კვალში ჩავდექი,

მძიმე უღელი შვებით ვატარე“...

ამ კვალში ჩადგომა და უღლის დადგმა იოლი როდია, მაგრამ მარინა შანიძისთვის ეს უღელი შვებაა, წარსულის ხსოვნა-დაბრუნება კი – მაისობა, ბავშვობაში გადასახლება. მხოლოდ ბავშვის სუფთა სულით მიერაბლება წარსულს და მამულის ტკივილს:

„მგონია, მუდამ პატარა ვარ და პაპის გვერდით

პაატასავით, ჩემს სამშობლოს „ლალეს“ ვუმღერი!“

პოეტის ეს „ლალე“ და უთქმელი დარდი სამუდამოდ გადაჯაჭვულა... უთქმელი დარდი დააქვს ჩუმად, რომელიც ყველაზე სასტიკია და რომლითაც მხოლოდ პოეტი „ისჯება“...

„დღეს მივხვდი, ყველაზე სასტიკი,

სწორედ რომ უთქმელი დარდია!“

დანაწევრებული, დაცოტავებული მიწა-წყლის სიმღერაც სევდის ნაჟურია... ირგვლივ მხოლოდ სასონარკვეთა, უიმედობა და გაცრუებაა... ცელმოსმული ბალახია სული.

„ცელგამოსმული ბალახივით მიწაზე ვგდივარ

და ცას შევყურებ, რომ იმედი გადამირჩინოს“...

ცელმოსმული ბალახია დღევანდელი სამშობლო, რომელიც სულს ღაფავს. მტერი ისევ მტერობს, ქართველებიც სიძულვილით შეჰყურებენ ერთმანეთს... და მაინც, მამულს შენაწირთა სისხლი ხმიანობს და შვილებისადმი შეგონება სივრცეს აზანზარებს:

„დაიხსომე, რა სურს დედას,

ვინ ხარ, ვისი გორის ხარ,

შენ, მამულის შენაწირთა

ფესვებიდან მოდიხარ!

გაუფრთხილდი წინაპართა,

ნაამაგარს, ნაოფლარს,

მტრების გულის გასახარად,  
ნუ დაარქებევ ნასოფლარს!“

შეგონებასთან ერთად იმედიც ჩნდება – ზეცა და ზენაარი ბე-  
დის ვარსკვლავს აუცილებლად აანთებენ...

„მე მხოლოდ ბედის ვარსკვლავის მჯერა  
და რას მიპირებს, მხოლოდ მან იცის!“

უთქმელი დარდის მისტიკური ნათელი სწორედ ბედის  
ვარსკვლავია... თუმცა წარმავალობა გარდაუვალია...

„დრო მწუხარების დიდ ყინულს ალღობს,  
მეც წავალ, შენც... და ყველანი ერთად,  
მხოლოდ სურათად შევრჩებით ალბომს“...

ამ დროს სიყვარულია მარადიულობის სავანე. მეუღლე და  
შვილები კი ამ სიყვარულის მადლს ნაზიარებნი...

„მაგრამ ის, რაც მე შევძელი, ერთ ქალად ხომ ღირდა?  
რადგან ჩემი კალთის სითბო ოთხ მზედ ამობრწყინდა!“

ან კიდევ: „ამაყად ვამბობ – ოჯახი არის, ჩემი ქალობის ზუსტი  
საზომი!“

ამ სიტყვებს ამბობს ქალი, დედა, ბებია... ვისაც მარადი-  
ული კალთის სითბო და მადლი დაჰყვება. ეს კალთა, იდუმლად,  
ღვთისმშობლის კალთის ფერით, დედა მარიამის ლოცვის ძალ-  
ით საზრდოობს... პოეტი მეუღლესაც ებაასება და სჯერა, რომ  
ამაოების ამაოებაში სიყვარულია მარადიული... მთავარია, წუთის  
სოფელში შენი სიყვარულის ზღაპარი იმღერო...“

„სულ ცოტაც, დრო მოვა, ჩვენც გადავიქუხებთ,  
სიცოცხლე ფერფლია – მტვერიც რომ არ რჩება!  
გრძნობა კი, რომელსაც ერთურთი ვუძღვენით,  
ერთ ლამაზ ზღაპრად და არაკად დარჩება!“

და თანაც, ეს სიყვარული ის სიყვარულია, რომელიც სიცოცხ-  
ლის შემდეგაც არ ნელღდება!

„მე სიკვდილის სულაც არ მეშინია,  
შენი მარტო დატოვება არ მინდა!“

მარინა შანიძისთვის კახეთი დილის გათენება, ცისკრის

ვარსკვლავი და წარსულის დიდი გადმოსახედია – წმინდა საძვალე – ბალი, ვენახი და სამოსახლო: „ბევრჯერ მტერთაგან და-მარცხებულო, მაინც ზეცამდე ამაღლებულო“, – ეუბნება მას. სწორედ მტერთაგან უთვალავჯერ შელენილ კახეთში კიაფობს მომავლის სხივი, უცილობლად გადარჩება კერა და ფუძე, რომელიც წინაპრის ფესვებიდან საზრდოობს. პოეტიც ემუდარება მომავალ თაობას:

„თუ ჯაჭვის პერანგს ვერ ჩავაცმეთ მთელ საქართველოს,  
ციხე-გალავნის საძირკველი მაინც ჩავყაროთ!“

ახლა, როგორც არასდროს, ერს სჭირდება ენერგია იმისათვის,  
რომ – როგორც გარეჯი გადააქცია წინაპარმა სულის წალკოტად,  
ისეთი სულის სიმაღლე ჰპოვოს...

„აქ, წინაპარმა, გამრჯე ხელებით  
ბნელს და უკუნეთს ზურგი აქცია  
და უსახური, მკაცრი უდაბნო  
სულის წალკოტად გადააქცია“...

პოეტს ტკივილი ტანჯავს დაკარგული საქართველოსი; ვისთ-  
ვის ააყვავა გრიგოლ ხანძთელმა კლარჯეთი, ერუშეთი და ტაო,  
თუ იქ ველარასდროს ილოცებდა „გურჯი“?

„მენატრება ჩემი სულის სამჭედლო,  
მომრევია ჩაგრულობის განცდა,  
სად ვეძებო წყაროსთავი, შატბერდი,  
დოლისყანა, ოპიზა თუ ხანძთა?  
მაღლოცვინე, შენ ხომ იცი უფალო,  
ამ მიწა-წყალს საქართველო ჰქვია!..  
...და თუ ოდეს დამაბრუნებ მამულში,  
არასოდეს არ იქნება გვიან!“

მარინა შანიძის სტრიქონები მშობლიური სანახების მაგიური  
სხივებითაა დამუხტებული. ეს ის ადგილებია, სადაც მის წინაპრებს  
უბრძოლიათ და უშრომიათ... მისთვის განსაკუთრებულია დედის  
ხსოვნა და დედის საფლავი. უდედოდ გული უკაცურ უდაბნოდ  
ქცეულა, მონატრებას სხვა განზომილებაში გადაჰყავს და გაზაფ-

ხულიდან გაზაფხულამდე იის ყვავილობასთან წილნაყარობს. „მგონია, თითქოს საფლავის ქვასაც, შენი სხეულის სურნელი ას-დის“ – ამბობს პოეტი და ეს სურნელი ახლა „მონატრების ძლევის სანაცვლოდ“ ტრიალებს გულში...

პოეტი ცხოვრობს იმ სამყაროში, სადაც მტრის ბოროტება დიდხანს ვერ ძლებს, გულს წმინდა სურვილები და ოცნებები ასაზრდოებს. ამიტომაც უუბნება ავის მქმნელს:

„მტერო ისევ სიბოროტე გწადია?

არც ეცადო, ჩემი გული გათელო,

რაგინდ ბევრი განსაცდელო მომკერძო,

მაინც შევძლებ, იარები ვამთელო!“

ეს ის სიძლიერეა, რომელიც მოჰყვება დედაისტორიას, რომ-ლითაც გადარჩა ქართველობა და დროის ქარიშხალმა პირისაგან მიწისა ვერ აღგავა...

სიცოცხლის უინით სავსე, საოცარი ძალის მოზღვავებას გრძნობს და ამბობს:

„დედა ვარ! – რა გრძნობა მაქვს, იცით?

ამაყი, ლომგულივით დავალ,

შვილია ცადსაფრენი ფრთები,

მომავლის იმედი და ძალა!

მთასაც კი მოვგლეჯავ რწმენით,

ქალი სუსტიაო, ვინ თქვა?

დედა ვარ, უპირველეს ყოვლის!

ამით ყველაფერი ითქვა!“

ბობოქარ რიონსაც კი მიმართავს, რომლის ხმაური ძალ-ლონეს მატებს ცხოვრების ფერხულში ჩამდგარ ქალს:

„მთის გულზე ამოხეთქილო,

წყლო – სათავით წმინდავ!

მაგ უინით როცა გიყურებ,

მეც ვიბობოქრო, მინდა!“

ამ სიძლიერის დედა იყო სწორედ, რომ შვილებს ზრდიდა, ოჯახს უვლიდა და თუ საჭირო გახდებოდა, ხმალსაც იღებდა... ეს

სულისკვეთება დაჲყვება მარინა შანიძის სტრიქონებს, რომელიც ხანდახან წინაპართ გულზე დადებულ ლოდად გადაიქცევა, რომ მათი ხსოვნა შემოინახოს... სულის ამ ფორიაქში გადის საწუთრო, შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლულს კი მაინც ესაკ-ლისება ერთი სიცოცხლე. პოეტის სურვილია, ზეცას საუფლო ღილად მაინც დაეკეროს.

„ერთი სიცოცხლე გულში მაინც მეცოტავება,

შიშის ამბოხს და მოძალებას ვეღარ ვერევი,

რად ვერ გავიგე, წუთისოფელს დროებით ვსტუმრობ,

საუფლო ზეცას ღილადაც ვერ დავეკერები?!”

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ თავისი ჭირნათმენი გულით, ისევ ნირუცვლელი დადის და უფალს პატიებას თხოვს:

„შენგან ნაჩუქარ სიცოცხლეს,

ვერ მოვუფრთხილდი, უფალო“...

უფალთან სიახლოვე მის მრავალ ლექსში იგრძნობა და ამიტომ მუდმივად ადგას ჭეშმარიტების გზას, მცირეოდენ გადაცდომა-საც არ პატიობს საკუთარ თავს:

„ღმერთო, ერთო და ძლიერო,

ყველა ორგული მოკვეთე,

გამინადგურე მტერი და

გამიძლიერე მოკვეთე!

მე თუ ღალატი შემნიშნო,

თვისტომისაგან მომკვეთე,

გამიძლიერე მტერი და

გამიორგულე მოკვეთე!“

პოეტი ხშირად წუხს წუთისოფლის ამაოებაზე, მაგრამ ბედს შეგუებული მაინც მადლიერია უფლისა:

„რაც კი ამქვეყნად მოვედი,

სულ საცალფეხო ვიარე,

შორით მომლიმარ ვარსკვლავებს,

ახლო ვერ შევეზიარე.

წელი წელს გაჲყვა ჯახირით,

ნატანჯი, ნაავალარი,  
მე რომ ცხოვრება მინდოდა,  
აბა, ეგეთი სად არი?“

წუთისოფლის საძნელო ტვირთი, მართალია სუსტ მხრებზე  
ემძიმა, მაგრამ თავს შეუძახა, რომ დიდხანს, დაუღალავად და  
ღირსეულად უნდა ევლო წინაპრის ნაკვალავ გზაზე:

„ჩემის მარჯვენით ვიპურე,  
თვალი არ მედგა სხვაზედა,  
თხოვნა-მუდარით არავის  
არ მივდგომივარ კარზედა.  
მოვხანი, თესლი ვაბნიე,  
ძილს არ ვკარობდი თვალზედა,  
შვილები უხვად დავზარდე,  
ნაფერი თავის გვარზედა.  
ყველას თაყვანი ვაჩვიე,  
უფლისა წმინდა ჯვარზედა,  
გავმრავლდით, ახლა ბევრნი ვართ,  
მადლიან ქვეყანაზედა!  
ეჰეი, წუთისოფელო,  
მხედავ? – მიტომც ვარ ჯანზედა,  
გამიშვი, დიდხანს ვიარო  
წინაპრის ნაკვალავზედა!“

შემტრედისფერდა განთიადი... ახლა მზე ამოსცდება ნაქერალ-  
ას უბეს და ტყიბულში დარჩენილ ბავშვობას დაუწყებს ძებნას...  
სხივჩამდგარი რიურაუი იწყება პოეტის ფანჯრიდან, იმ ადგილი-  
დან, სადაც დაიბადა და რომელთანაც მაგიურად გადაჯაჭვულა  
დასაპამიდან...

თამარ შაიშმელაშვილი



გარეგნულად თითქოს ჩვეულებრივ ქალში, გაცნობის შემდეგ აუცილებლად მის უამრავ შესანიშნავ თვისებას აღმოაჩენ. ის გამორჩეული დედაა და შვილებიც გამორჩეული გაუზარდა ქვეყანას.

შედგამ ფეხს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ეზოში და მისი ხელითა და გემოვნებით შექმნილ არაჩვეულებრივ ბალნარში მოხვდები. სწორედ ამ ეზოს ყოველ მონაკვეთში ჩანს მისი უბადლო ნიჭი სილამაზის სწორად აღქმისა და გამოყენების.

არაჩვეულებრივი დედა, მეუღლე, მეოჯახე, მეგობარი, თანამშრომელი, ხელმძღვანელი, მასნავლებელი, პოეტი, კომპოზიტორი, სიმღერის შემსრულებელი და ზოგადად, ყველასგან და ყველაფრით გამორჩეული ადამიანი – მთელი ჩვენი ქვეყნის სიამაყეა თავისი თავმდაბლობით და უშუალობით!

მე კი თავს მოვიწონებ იმით, რომ იგი ჩვენი სოფლის სკოლამ-დელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერია წლების განმავლობაში და მის გვერდით მომიწია მუშაობა. საოცარი ორგანიზაციონული ნიჭის პატრონია, ყველაფერს დიდი სიყვარულით აკეთებს. ყველას ძალიან გვიყვარს და როცა რაიმეს მის გარეშე ვაკეთებთ, ვცდილობთ, პირველ რიგში, მას მოეწონოს, რადგან უბრალოდ არაფერს აკეთებს, ყოველ წვრილმანს უღრმავდება და როგორც საკუთარი თავისგან, ასევე ჩვენგანაც ყველაფერში წესრიგს და გულიან დამოკიდებულებას მოითხოვს.

ქალბატონი მარინა ჩვენი სოფლისთვის დიდზე დიდი მარგა-

ლიტია, – ეს პატარა სოფელი მთელ საქართველოს გააცნო და შეაყვარა.

დიდი გულწრფელობითა და სიყვარულით წარმატებებს ვუ-სურვებ ნიჭიერ ქალბატონს როგორც სამსახურეობრივ, ისე შემო-ქმედებით საქმიანობაში.

უფალმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ასეთი ღირსეული შვილები!

**ლალი ლრეული**



**ქალბატონო მარინა!**

მიიღეთ ჩემგან დიდი სიყვარული და პატივისცემა!

მე არ შემიძლია ცალკე გამოვყო თქვენი შემოქმედება, რადგან ის ჰარმონიულად არის შერწყმული თქვენს ულამაზეს ოჯახთან და თქვენი მუზის მრავალფეროვნება და მარადიულობა სწორედ ამის შედეგია!

თქვენ ყველა გიცნობთ და დიდი ხანია, ფართო საზოგადოებამ შეიყვარა თქვენი ოჯახის ულამაზესი ხელოვნება, პოეზიასთან და სიმღერასთან ერთად ბატონი ბესოსა და თქვენი შვილების ცეცხლოვანი ცეკვა-თამაში.

საყოველთაო ალიარების დასტურია, რომ თქვენ გიწვევენ სხვადასხვა რანგის შეხვედრებზე, ფესტივალებსა და ტელევიზიებში – დაინტერესებული მაყურებლის წინაშე კიდევ უფრო ახლოს გასაცნობად.

თქვენი ოჯახის ცხოვრებაში ხომ მუდმივი სიახლეა: ახალი ლექსები, სიმღერის პრემიერები, ახალი როლები სახალხო თეატრის სცენაზე, ჩანერა, რეპეტიციები და ა. შ. ყოველივე ეს თქვენი ცხოვრების ლამაზი ეპიზოდია...

**ბ-ნო ბესო!**

**ქ-ნო მარინა!**

ჩვენო საამაყო შვილებო!

მინდა გითხრათ, რომ არასოდეს დავიღლები თქვენი მოსმენით, ლექსით, სიმღერით და ზოგადად, შემოქმედებით! მიხარია, რომ

ასე ალამაზებთ და ქომაგობთ ქართულ კულტურას და ზრუნავთ  
მისი კიდევ უფრო განვითარებისათვის.

ყოველთვის მიხარია თქვენი და თქვენი ოჯახის კახურთან  
შერწყმული, იმერული პოეზიის სურნელადენილი წარმატებები!

გისურვებთ ხანგრძლივ შემოქმედებით აღმავლობას, ბედ-  
ნიერებას, სიხარულს და სიკეთეს! დაე, ხელოვნების დიდ თანავ-  
არსკვლავედში თქვენი სახელებიც თვალისმომჭრელად კიაფობ-  
დეს!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით – **გია აბულაძე**



### ჩემო მკითხველო!

ისევ დადგა ჩვენი ხელახლა შეხვედრის დრო და ისევ მოუთმენლად ველოდი ამ დღეს, თუმცა, მინდა ვალიარო: ამჯერად უფრო მშვიდი ვარ, რადგან შენი კეთილგანწყობის დიდი იმედი მასულდგმულებს!

ამქვეყნად ყველა თავისი მისით მოდის, ჩემი მისიაც ეს იყო... მაგრამ როგორ შევძელი, ამის განსჯა შენთვის მომინდვია. ვიმე-დოვნებ, არ იქნები ძალიან მკაცრი, – მე ხომ უპირველესად, დიდი ოჯახის დედა ვარ, ბევრი საქმითა და საზრუნავით, ამასთან, ჩემს საყვარელ ბავშვებთან მუშაობამ, მრავალი წლის განმავლობაში, უამრავი დრო და ენერგია წაიღო...

დროის უკმარისობასთან ჭიდილში, რაც შევძელი, ჩემი გუწრ-ფელობა და უბრალოება, მარტივ სიტყვათა წყობით, ფურცელ-ზე გადმოვიტანე და თავს მოვუყარე წიგნში, ისევ შვილებისთვის საჩუქრად და შენთვის, ჩემო მკითხველო!

ამ ერთი წლის განმავლობაში უამრავი ფერადი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, რომელმაც დიდი წარმატება და აღიარება მომიტანა. ეს არა მხოლოდ ჩემი, არამედ ჩემ ირგვლივ მოფუსტუსე ადა-მიანების დამსახურებაცაა, რომლებმაც ჩემი შესაძლებლობების თავისუფლად, გაბედულად გამოვლინების საშუალება და ბიძგი მომცეს.

ბევრი ვიშრომე, ძალიან ბევრი!.. თავისით ხომ არაფერი მოდის ამ წუთისოფელში?! ყველაფერს დიდი ძალისხმევა სჭირდება. ზო-

გჯერ ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვწადია, მაგრამ ხანგრძლივმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მასწავლა, როცა სურვილი და მონდომება დიდია, მოლოდინიც ამართლებს.

დასანანია, რომ ცხოვრება ელვისისისწრაფით გარბის. გული მწყდება უქმად გაფლანგულ დროზე, ისედაც ცოტა რომ გვაქვს საამქეყნოდ. მსურს ბევრი მოვასწრო და შესაბამისად, ბევრსაც ვთხოვ საკუთარ თავს, რაზეც ოჯახის წევრები მუდმივად მსაყვედურობენ...

ვთვლი, რომ ჩემი ხასიათი უფლისგან ნაკუთვნი ზრდილობის წესია. არასოდეს მსურვებია ადამიანებთან ურთიერთობის გაფუჭება: მხიბლავს გულწრფელი, გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულება და მინდა, ყველას მიმართ ამ მხრივ უშურველი ვიყო!

ღიმილი მიყვარს, ჩემიც და სხვისიც!

ვეთაყვანები უბრალოებას! ის ადამიანის მთავარ ღირსებად მიმაჩნია და აუწონავ სულიერ სიმშვიდეს მგვრის!

უშუალო ადამიანი ვარ და ეს, პირველ რიგში, ჩემთვისაა დიდი სიამოვნება!

ყველაფერი, რასაც ჩემი ჰქვია, სულიერია თუ უსულო, თავი-სუფლებისა და სიცოცხლის სურვილს მიასმაგებს, ძალას მმატებს, მალალებს და მაპედნიერებს. დიდია ნათესავ-მეგობართა წრე; ისინი ჩემს გულს ამდიდრებენ, უკიდეგანო სიყვარულით ავსებენ... ამიტომ, ჩემი ლოცვა მუდმივად ერთი და იგივე სიტყვებია: „ღმერთო დამილოცე ყველა, ვისაც ჩემი თვალი და გული სწვდება!“

უფლის სიყვარულმა უამრავი რამ მასწავლა. უპირველეს ყოვლისა, რწმენაში გამაძლიერა! მუდმივად ვგრძნობ, რომ ყოველთვის ახლოსაა ჩემთან. ამიტომ, არასდროს მიმიცია საკუთარი თავისთვის უფლება, არ ვყოფილიყვავი მომთმენი, მპატიებელი, სიკეთისმთესველი და გულმოწყალე. ოთხი ათეული წელი მომავალი თაობების აღზრდას შევალიე. ყველაფერი, რაც მიკეთებია,

უანგაროდ და უსაყვედუროდ ვაკეთე იმ იმედით, რომ სიკეთით და სიყვარულით შემოვრჩებოდი ჩემი პატარების გულებს...ამ ხნის განმავლობაში უამრავი მადლიერი და კეთილმოსურნე შემოკრიბა ჩემ გარშემო და ასე მგონია, ვალი მაქვს უკან დასაბრუნებელი – ვალი სწორედ ამ სიკეთისა და სიყვარულისა... თუმცა, ეს იყო და იქნება ჩემი ცხოვრების კრედიტ! ღმერთია მოწამე, ყველა მიყვარდა და მიყვარს, თუნდაც მტერი...

ყველაზე დიდი ბედნიერება, რაც გამაჩინია, ჩემი ოთხი შვილი და ათი შვილიშვილია. ამ გადასახედიდან დავრწმუნდი: ყველაზე ბედნიერი მაშინ ყყოფილვარ, როცა ისინი პატარები იყვნენ, როცა მათი გაუთავებელი ურიამული ეზო-ყურეს იკლებდა...მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს? ახლა თავიანთ ბუდეებში არიან მოკალათებულნი და მიუხედავად დიდი სურვილისა, ძველებურად ვეღარ ვიცლით ერთმანეთისთვის. უბედნიერესია ის წუთები, როცა ფუძეზე მოგროვდებიან და თავბრუდახვეულმა აღარ ვიცი, რომელი ერთი ჩავიხუტო გულში... ეს ფასდაუდებელი იდილიაა! სანუკვარი და განუმეორებელი!

შესაშური მეგობრობა მაკავშირებს შვილებთან და შვილიშვილებთან. არასდროს მიმაჩნდა გამართლებულად ჭკუის სწავლების მბრძანებლური ტონი. დღეს, როცა განვლილმა ცხოვრებამ უხვად აღმჭურვა ცოდნით, უნარებითა და გამოცდილებით, მაინც არ მინდა, ჩემეული ხედვა მოვახვიო ვინმეს თავს, პირიქით, მინდა ისეთი ცხოვრებით იცხოვრონ, როგორიც მათ ესახებათ, სურთ და სწამთ, იყვნენ მუდამ თავისუფალნი, ლალნი და დამოუკიდებელნი! მშობლები მხოლოდ დახმარების ხელს შევაშველებთ სიცოცხლის ბოლომდე.

ყოველთვის სიამაყეს გვგვრიდა ყველას, დიდსა თუ პატარას, ჩვენი ოჯახის შიგნით, თაობათა შორის მოწესრიგებული ურთიერთობა, ეს ჩვენი დაუნერელი კანონია და მუდამ საერთო ინტერესს წარმოადგენს. სწორედ ეს ურთიერთობები მინდა გადაეცეს

მომავალ თაობებს და ღრმად მჯერა, რომ კიდევ უფრო მეტად  
გავძლიერდებით!

არასოდეს თქმულა სიტყვები: „ჩემი“ და „შენი“. აქ, ამ მადლიან  
ეზო-ყურეში, ყველაფერი „ჩვენია“!

მადლიერი ვარ უფლისა, რაც მაქვს და რაც გამაჩნია!

მეტი არც არასდროს მინატრია!

ღმერთო, დამილოცე ჩვენი ერთობა და სიყვარული!

**მარინა შანიძე**

## ღიმილს არ გადამაჩვიო!

ღმერთო! ეს წუთისოფელი,  
სულ საცალფეხო ხიდია,  
ჩვენი ხანმოკლე სიცოცხლე,  
ბეწვზე ბეწვითა ჰკიდია!

ვის სად ჰყავს ჩასაფრებული,  
ანდა ვის რა აქვს მისჯილი, –  
ამ ფიქრში გადის ცხოვრება,  
ყურს უკან გვიზის სიკვდილი.

მაგრამ რაც უნდა გვეწიოს,  
ვინ შეცვლის, ბედი - ბედია!  
ანდა, მგლის შიშით ამქვეყნად  
ცხვარი ვის გაუწყვეტია?!

მივდივართ, მივდევთ აღმართებს,  
სანამ უღელი ეწევა,  
ბოლოს სასტიკი მსაჯული  
ზურგუკან წამოგვეწევა...

მაინც არ გყვედრი, უფალო,  
თუგინდ დღეს გამომარჩიო...  
ოლონდ სანამდის მაცოცხლებ,  
ღიმილს არ გადამაჩვიო!

## როცა ყველაფერი გაქვს

როცა ყველაფერი გაქვს და  
უკვე არაფერი გინდა,  
იცი? მაშინ არის საფრთხე,  
დარჩე ალალად და წმინდად!  
ბედით გალალებულს მუდამ,  
გშვენის მოკრძალება დიდი,  
რწმენით გაიმაგრო უნდა  
ღმერთთან სიახლოვის ხიდი!  
ასე უზრუნველი ყოფით,  
დარდი რომ გაგიქრა ხვალის,  
უნდა გეშინოდეს მაინც,  
შურით მომზირალი თვალის!  
იქნებ დაინახე შენკენ,  
ჩუმად მომართული მშვილდი,  
აი, მაშინ გმართებს ისევ,  
იყო ფხიზელი და მშვიდი!..  
...და ნუ დაივიწყებ მთავარს:  
თუკი გაგწირავენ ოდეს,  
შენი სიმდაბლით და გულით,  
ღმერთთან მისასვლელი გქონდეს!

## სიცოცხლე სიყვარულია!

მე არ მინდა, რომ ვიცოცხლო – პირველ რიგში,  
მინდა, რომ მიყვარდე. სიცოცხლე, უბრალოდ,  
გვერდითი ეფექტია.

ზელდა ფიცხერალი

თუ ხარ – იცოცხლე, თორემ სიკვდილი  
ერთი უბრალო ამოკვნესაა,  
გული რომ გაქვს და უნდა გიყვარდეს,  
დიახ, სიცოცხლე სწორედ ესაა!

ნუ შეგაშინებს ცხოვრება ძნელი,  
ამაოების სიუხვით სავსე,  
თუ სიყვარული გულში ბინადრობს,  
სიცოცხლე მუდამ საწყისით გავსებს!

დაშორიშორდი? – არ შველის დარდი,  
გულმა იძგეროს – უნდა შეძლება!  
სიყვარულისთვის რაა მანძილი,  
როცა საფრენად ფრთები გეძლევა?!

სულში სილალით დაბინადრებულს,  
მთელი ცხოვრება უნდა ტარება,  
სიყვარულისთვის რაა ასაკი,  
გულს ხომ სიბერე არ ეკარება?!

დასანანია ძნელად სათმობი,  
ვინც წუთისოფელს გამოაკლდება,  
სიყვარულისთვის რაა სიკვდილი?  
თუ მართლა გიყვარს, იგი არ კვდება!

ნამდვილ სიყვარულს დრო ვერ ახუნებს,  
ეს სინამდვილე წლებით იწრთობა,  
თვით სილამაზეს არ ეტრფის თვალი,  
გული მეორე გულით იგრძნობა!

სიმდიდრეც არ სურს სპეტაკ სიყვარულს,  
ერთი პატარა ქოხი ეყოფა,  
ასე მხარდამხარ მიდის სიცოცხლე,  
სიკვდილი თუ არ გადაეღობა...

სანამ ხარ, სითბოს ნუ დაამადლი,  
გულის მეოხე ისევ გულია,  
გიყვარდეს, გწამდეს და გაუფრთხილდი,  
რადგან სიცოცხლე სიყვარულია!

## ეს შემოდგომაც...

ეს შემოდგომაც მიჰყვება წარსულს,  
უკვე შემოჰკრეს ცივმა ქარებმა,  
შენ ნუ გგონია, მე ისევ ის ვარ,  
გზა უფსკრულისკენ მიექანება...  
დროს ვეშურები, მინდა მოვასწრო  
და შენთან ყოფნით გული ვიჯერო,  
რა ცოტა დარჩა?! იქნებ ვერც ხვდები,  
ნლები წინ გვაქვსო – არ დაიჯერო!  
რამდენი რამ მსურს კიდევ მოვასწროთ,  
თუმც ბედი ახლა უფალს მივანდე,  
უბირველესად მაინც ის მინდა,  
ერთად ვიაროთ „დაბინდებამდე“!  
ერთი წამითაც არ დამითმიხარ,  
გულის ფიქრებით სულ თან დამყავდი,  
რა არის უცხო? – ამდენი წელი  
ერთი ოთახის ჰაერს ვსუნთქავდით!  
თვალს ვავლებ გავლილ გზებს და ქარაფებს,  
წარსულმა სულის სულში ჩამხედა,  
დარდის არმქონე ვერ გავერკვიე,  
ნლები რა ჩუმად გამითავხედდა?!  
მაინც ვბობოქრობ და არ ვნებდები,  
მერე რაა, თუ გზა გავლილია?  
მოდი, ჩაგეკრა გულში ძალუმად,  
სიცოცხლე ახლა უფრო ტკბილია!

## კლდის ქიმზე ვდგავარ!

მთელი ცხოვრება კლდის ქიმზე ვდგავარ,  
ხელისგულზე ჩანს ცოდვის სამყარო,  
სულმა ვერ ჰპოვა ნავსაყუდელი,  
გულიდან დარდი რომ გადამყაროს...

ვდგავარ შემფრთხალი, ხსნის მომლოდინე,  
ვიგრძნო უკუნის გამომთვარება,  
ჩემი ნაავდრი სიცოცხლის მერქე,  
ცისარტყელებით გამოდარება.

ვდგავარ და ვითმენ, უმწეო სხეულს  
მსუბუქი სიოც თითქმის ერევა,  
არ ვიცი, როდის შემომკრავს ქარი  
და სული როდის გამომელევა...

ქარვისფერ დღეთა ჩამთავრდა რიგი,  
შესაგუებლად მაწვდის თრააქებს,  
დამაძაბუნა ტკივილმა ჩემმა  
და სხვისიც როგორ მაფორიაქებს?!

ნუთუ ოდესმე მოვა სიმშვიდე?  
მუსრი გაევლოს ტანჯვა-წვალებას.  
ჰოი! რა ცოტა უნდა სიცოცხლეს  
და უფრო ცოტა – გარდაცვალებას?!

## დროა, შეჩერდეთ!

ამოვიბლავლე... ეს ხმა რაღაც  
სასწაულს ჰეგავდა,  
შენი გულისთვის სიგიჟეც არ  
მეთაკილება,  
თურმე რა მწარე ტკივილი ხარ,  
მამულო, ჩემო!  
დაუფიქრებლად რომ შეგაკლეს  
თავი გმირებმა!  
ჩამოიქუხე, ცაო, სახე  
ჩამოიხოკე,  
რომ ყურმა ალარ გაიგონოს  
დედის გოდება,  
ბრალი მას, ვისაც სისხლისმღვრელი  
ომი სწადია,  
ამ სისასტიკით და ცოდვებით  
ის არ ცხონდება!  
ჰეი, ბიჭებო, თქვენ მამულის  
გმირები გქვიათ,  
უთქვენოდ დედის ჩამქრალ გულში  
მუდამ ომია;  
არსად ექებოთ, არ არსებობს  
ქვეყნად წამალი,  
არც ის იფიქროთ, რომ ტკივილი  
მართლა დროს მიაქვს...  
ღმერთო, არც ყურებს ასმინო და  
არც დამანახვო  
მწუხრი – ჩამდგარი შვილმოკლული  
დედის თვალებში.  
შენ კი სიკვდილო, ვერაგო და

დაუნდობელო,  
მითხარ, როდემდე განგიზრახავს  
უღვთო თარეში?  
გონებას უხმეთ, მტარვალებო,  
დროა შეჩერდეთ,  
ფრენა აცალეთ მოღუღუნე  
მშვიდობის მტრედებს,  
მითხარით, ომში გამარჯვებას  
თქვენ რას ეძახით,  
როცა ვაგლახით გაზრდილ შვილებს  
უხოცავთ დედებს?!

## უშენოდ რა ვარ?

უშენოდ რა ვარ?..  
არცა რა!  
გულო, ნუ დამიღონდები!  
ერთად ვუმწყემსოთ სიცოცხლეს,  
სანამ ერთადვე მოვკვდებით!  
ეცადე, ლხინი იმრავლო,  
დაუშვი დარდის აფრები,  
თორემ წამიერ ყოფაში,  
შენც წამიერად გაქრები!

უშენოდ რა ვარ?..  
არცა რა!  
თვალო, ნუ დამიბინდდები!  
შენ მიფერადებ სამყაროს,  
შენგან ვლალობ და ვდიდდები!  
ნუ შეერევი შავ ღრუბლებს,  
გული ჩიტივით მფრთხალია,  
იმ ბილიკებით მატარე,  
სადაც სიკეთის კვალია!

უშენოდ რა ვარ?..  
არცა რა!  
ხელო, ნუ დამიდუნდები!  
მთელი ცხოვრება ომში ხარ,  
ლუკმისთვის ბრძოლას უნდები.  
შეს რომ ასე არ მარჯვობდე,  
კერაზე ცეცხლი ჩაქრება,  
დოვლათია თუ ბარაქა,  
სულ ერთიანად გაქრება!

უშენოდ რა ვარ?..  
არცა რა!  
ენავ, ნუ დამიდუმდები!  
დალოცე ჩემი კალთიდან  
ამოფრენილი ხუნდები!  
გულიდან ნასათუთევი  
ლოცვების მღალადებელო!  
ქვეყნად ბოროტის გმობის და  
სიკეთის მქადაგებელო!  
შენა ხარ ხიდი მოძმეთა,  
გული რომ გულს არ ეთმობა,  
სულ შენი გარჯის მადლია  
სიყვარული და ერთობა!

უშენოდ რა ვარ?..  
არცა რა!  
მუხლო, ძლიერი მჭირდები!  
მაშინაც უნდა მაგრობდე,  
როდესაც გამიჭირდები!  
ვერ მოგცემ ნებას, ღალატის,  
უნდა სიმარდით მატარო,  
ვიდრე სიცოცხლე გამიძლებს,  
სამყარო შემომატარო!

უშენოდ რა ვარ?..  
არცა რა!  
სულო, ნუ შემიძრნუნდები!  
ნუ ჩქარობ, იმავ ქვეყნიდან  
მეორედ აღარ ვბრუნდებით...  
გამკობენ ცისარტყელები,  
მზის სხივზე განაკიდები,

მე ისე მყავხარ ნაწრთობი,  
ვიცი, არ გაიყიდები!  
მხოლოდ შენა ხარ საზრდო და  
არა ბრჭყვიალა ქონება,  
სწორედ ესაა სიმდიდრე  
და სამუდამო ცხონება!

\*\*\*

კანონებს წუთისოფლისას,  
უფალი ადგენს თავადა,  
იგი არს არსთაგანმრიგე,  
ჭირის და ლხინის თამადა.

ტაძრამდე გზას ვერ გაიკლევ,  
რწმენას ვერ შეიქმ ძალადა,  
თუ გულში არ ჩაისახლე  
და ღმერთი არ სცან ძალადა!

## „ურგები შვილი წყალსაო“

ხალხურ მოტივზე

ბრძენთაგან გამიგონია,  
„ურგები შვილი წყალსაო“  
მშობელი – მისი პატრონი  
მშვიდად ვერ ჰპოვებს თავსაო.  
უნდა იფხიზლოს, სანამდის  
შვილი მოსტეხავს მხარსაო,  
თვითნებობით და ურჩობით,  
ვიდრე ასცდება გზასაო.  
იქნება სჯულმა უშველოს,  
როს მიემთხვევა ჯვარსაო,  
ვერაფერს გამოაპარებს  
უფლისა მახვილ თვალსაო.  
ან იქნებ მშობლის გაიგოს,  
უკან რომ სთხოვდეს ვალსაო;  
იმისი წლობით ნაშრომი  
უქმად არ მისცეს წყალსაო.  
მუქარა არც რას უშველის  
ვერ ათქმევინებს ზავსაო,  
უმალვე უნდა შემოჰკრას  
ხმიან განგაშის ზარსაო.  
შვილისა ურგებელობას,  
ვერ დააბრალებს სხვასაო,  
საქვეყნო დანაშაული  
უნდა მოჰკითხოს თავსაო!

## თურმე, რაოდენი შემძლებია?!

თურმე, რაოდენი შემძლებია?!  
დღემდე არ მიცვნია თავი,  
მართლა ძუ ლომივით ვიბობოქრე,  
შვილებს არ ენახათ ავი.

უღლის სიმძიმემ ვერ დამაჩიქა,  
არ ვარ მშიშარა და მფრთხალი,  
ცხოვრების ბრძოლის ველს ვდარაჯობდი,  
არც კი მომიხუჭავს თვალი.

ასეთი მოვუყვები წუთისოფელს,  
ძველის გახსენებით ვტკბები,  
დღეს კი... სინანული შემეპარა,  
უკვე გალეულა გზები!

წარსულს შეეხიზნა სიჭაბუკე,  
რაღა დააბრუნებს ისევ?  
გული ძელებურად ეომება  
გზებზე ჩამოწოლილ ნისლებს.

ბრძოლით დავიღალე სიცოცხლისთვის,  
ცოდვათ შენდობისთვის, ხსნისთვის,  
ღმერთო, იმ სიკეთით გადმომხედე,  
მე რომ მემეტება სხვისთვის!

## გული მატკიცე...

გული მატკინე?! არ გეგონოს  
მოვთქვამ და ვტირი,  
უბრალოდ, შენგან არ ველოდი  
ფერის ცვალებას,  
რა უცხოა და საკვირველი  
ეს ყველაფერი,  
სიმშვიდით ვუმზერ შენს უდროო  
გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ს...  
ამ განსაცდელმა ჩემი თავის  
მასწავლა ფასი  
და ისე, როგორც არასოდეს,  
გამაძლიერა.  
მადლობა უფალს, მიტევების  
მომცა უნარი,  
გულზე ტკივილი არ შემახო  
ისე ძლიერად!  
არც უფლება მაქვს, არც სურვილი  
ვინმე განვსაჯო,  
ახლა სიმართლეს ტყუილისგან  
ვინდა გაარჩევს?  
უფალმა იცის, განკითხვის ჟამს  
ვის რა მიაგოს,  
ის ყველა ცოდვილს, მიაბეჭებს  
თავის გ ა ნ ა ჩ ე ნ ს!

## წავიდეთ!

წავიდეთ!  
სადღაც შორს,  
თუნდ მთაში წავიდეთ,  
ამდენი ჯაფით და  
ფუსფუსით ვლონდები,  
მგონია, ისევ ის  
აპრილი დადგება,  
მე და შენ, სხვებისგან,  
თუ განვმარტოვდებით...

წავიდეთ!  
ოლონდაც შეგატყო სურვილი,  
მინას ფეხს არ ვახლებ,  
სულ ფრენით წამოვალ,  
შემპირდი, ამიხდენ  
ამ ნანატრ ოცნებას,  
თორებ თუ მოგიკვდი,  
სიზმრადაც არ მოვალ!

წავიდეთ!  
ხომ ხედავ,  
გაგვლია ცხოვრებამ,  
უაზრო ჭიდილმა  
გვაწვალა ძალიან,  
საფიქრალ-საზრუნავს  
ქვეყნად რა გამოლექს?  
მე შენთვის, შენ ჩემთვის  
– სულ აღარ გვცალია...

წავიდეთ!  
შემპირდი,  
რომ ისევ მიმღერებ,  
მოვასწროთ, ისედაც  
ბევრი დრო გავიდა?!  
ახლაც რომ სითბოთი  
ჩამყურებ თვალებში,  
მგონია, ცხოვრება  
იწყება თავიდან...

წავიდეთ!  
სიანცით  
ავიკლოთ მინდვრები,  
წითელი ყაყაჩო  
საჩვენოდ ბევრია,  
წავიდეთ!  
ოლონდაც არ მითხრა უარი,  
ნუ იმჩნევ, ჭალარა  
რომ შემოგვერია...

## ვარდობისთვეა, ახლა, ჩემო...

კვლავ უჩვეულო ღამე ჩაწვა  
დარაბებს მიღმა,  
სავსეა მთვარე, მოგორავს და  
რა ახლოს მოდის?!  
ვარდობისთვეა, ახლა, ჩემო, –  
ჩვენი მაისი,  
ნეტავი, როგორ გავუძელით  
აქამდე ლოდინს?  
მოსულა! ისევ სიყვარულის  
კალენდარს ფურცლავს,  
გიუმაჟი წლების სურნელებას  
აფრქვევს თავიდან;  
გიყურებ, ისევ ისეთი ხარ,  
დროს ჩვენ ვაჯობეთ  
და ამ სინორჩის გახუნება  
როგორ არ მინდა?!.  
მოსულა ვარდთა სიუხვით და  
ფერთა სიჭრელით,  
ხელში მაჩეჩებს შიგ ჩატნეულ  
ტრფობის ბარათებს;  
ჩამომიჯდება სასთუმალთან  
მთვარის ნათებით,  
ისევ იმ დღეთა მოფერებით  
ღამეს გაათევს...  
საუბედუროდ, დრო მკაცრია,  
ჩვენც თავს ვიტყუებთ,  
სინორჩის წლებმა სამუდამოდ  
გადაიქროლეს,  
მთელი ცხოვრება, რაც აქამდე

ვიფორიაქეთ,  
თითქოს არც იყო, – წავიდნენ და  
თან წაიყოლეს.  
ის ერთადერთი, სიცოცხლის ჟინს  
რომ გვიასმაგებს,  
მკერდში მფეთქავი, მეამბოხე,  
დიდი გულია!  
ჰოდა, მანამდე იბობოქრებს,  
თუნდაც დაღლილი,  
სანამდის ხიდად  
ე რ თ ო ბ ა და  
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა !

## დროს როგორ შევეძავები?

წავიდა, თან წაიყოლა  
ყრმობა და ახალგაზრდობა,  
თვალს და ხელს შუა გამიქრა,  
დროს არ სცოდნია დანდობა!

როგორ მწადიხარ სიცოცხლევ,  
წლების მახეში გავები,  
ვერ გკმარობ, მაგრამ ბერავი  
დროს როგორ შევეძავები?

## უკვე გიჩერდები, შვილო!

უკვე გიბერდები, შვილო,  
ნლები ჩემს სიცოცხლეს გპარავს.  
მე რომ არაფერი არ ვთქვა,  
ჭირი თავს ველარსად მალავს.

გული გახშირებით ფეთქავს,  
დრო რა სულისწრაფობით გარბის?!  
მოკლე წუთისოფლის ზღვართან,  
ჩნდება ხასიათი ხარბის!

მუხლში ალარ მომდევს ძალა,  
საქმეს საიოლოს ვარჩევ;..  
მართლა გიბერდები, შვილო,  
შენ ხომ ჩემზე კარგად ამჩნევ?

ნალველს, ამ თვალებში ჩამდგარს,  
ცრემლი აარიდო – ცდილობ.  
სხვას თუ ველარაფერს შევძლებ,  
ლოცვით შეგეწევი, შვილო!

როგორ გამოგტაცო, მიმძიმს,  
მშობლის იმედი და სითბო,  
ვგრძნობ, რომ ჩემი სუნთქვა შენთვის,  
მთელი სამყაროა თითქოს...

არა, სიცოცხლეზე არა,  
მე შენს ობლობაზე ვდარდობ.  
უფრო ემატება ტკივილს,  
დარდს რომ ველარავის ვანდობ...

შენი მოფერებით მწამლობ,  
ახლა მე გავმხდარვარ ჩვილი,  
ქვეყნად რა ამაყი დავალ,  
მართლა გამიზრდია შვილი!

ჩვენი სიყვარულით ვცოცხლობ,  
რაა ამ გრძნობაზე წმინდა?  
ოღონდ შენ მეყოლე კარგად,  
მე სხვა არაფერი მინდა!

### მოვა დრო...

მოვა დრო, როცა ჩვენი ერთობა,  
მარტოსულობად გარდაიქმნება,  
არავინ უწყის, ის მარტოსული  
ვინ იქნება და ვინ არ იქნება...  
ოღონდ ნადვილად შესაბრალია,  
ვინც თავის თავთან დარჩება მარტო;  
ოთხკედელშუა გამართულ ომში  
მე არ მაპრძოლოს – სულ ამას ვნატრობ...  
ვინ შერჩენია ამ წუთისოფელს?  
სასწაულს არც მე არ ველოდები,  
თუკი დაგტოვებ, გჯეროდეს ჩემი,  
სამოთხის კართან დაგელოდები!

## გედროვეებო!

მედროვეებო, რა დიდ გულზე ხართ?!  
კი, თქვენი დროა ახლა, ნამდვილად,  
არ გეფიქრებათ, ხვალ რა იქნება,  
ფონს რომ ვერ გახვალთ ასე ადვილად?

ძველი რაც იყო, წარსულს ჩაბარდა,  
ბნელი მუსრს ავლებს დღეს და სინათლეს.  
რა გჭირთ, გული რად გადაგიგვარდათ?  
ნუ დაუმალავთ ერთურთს სიმართლეს!

გამოლმა ნაპირს ხავსი გაუჩინდა,  
სულ წაშლილია ნაპილიკარი,  
გალმა ნაპირი დუმს მოლოდინით,  
ბატონ-პატრონი ნეტავ ვინ არი?

სასწორზე გიდევთ დღე ხვალინდელი,  
ერთად დგომაა ახლა საჭირო!  
გუშინდელ საქმეს დღეს მადლი სწირეთ,  
რომ ხვალინდელთან დააკავშიროთ!

თორემ განდგომა – საბედისწერო,  
ყველა ოცნებას ქვესკნელში მარხავს  
და დაიხსომეთ – ნუ სხდებით ნავში,  
რომელიც ნაპირს ვერასდროს ნახავს!

## უდია ვიყო გულმართალი!

კრძალვით ვუმზერ ზეცას, სადაც  
ნინაპართა სულებია;  
აქ კი მიწას ვეფერები,  
მათი ნაფეხურებია...  
დავდივარ და სულ მგონია,  
მუდამ მიმზერს ყველას თვალი.  
თავს ვერ მივცემ სხვა უფლებას,  
რომ არ ვიყო გულმართალი!  
ისე უნდა დავიხარჯო,  
მათ სულსა და გულს რომ სურდა,  
სახნისს პირი ვუპრიალო,  
უხვ მოსავალს ვმკიდე მუდამ!  
გამრჯე ხელით ვუსათუთო  
ჩემს მადლიან მთას და მდელოს,  
შვილი შემწედ გავუზარდო,  
უხაროდეს საქართველოს!  
აქ ყოველი გოჯი მიწის,  
სისხლით არის დანამული.  
თვით ღმერთების საუფლოა  
ჩემი დედულ და მამული!  
ისე უნდა ვიქართველო,  
დამიბრმავდეს თვალი მტრისა,  
თავი უნდა ვისახელო,  
ნინაპართა საკადრისად!  
დამიჯვერეთ, მადლის თესვა,  
მწყურვალივით მწყურვებია,  
რაც მე ჩემთვის არ მინდოდა,  
სხვისთვის არ მისურვებია!  
გამომყევით! უფლის გზაზე  
ადვილია სიარული,  
რომ ვისაგზლოთ, ქართველებო,  
ერთმანეთის ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი !

## რაღა ძალების?

რაღა ძალმიძს გადაქანცულ ქალს?  
სულ ვმორჩილებ ბედისწერის გზას.  
სამიზნე კი ერთ ადგილზე დგას,  
გულნაკლული არ ვაშორებ თვალს.

ვმდუმარებ და არავის ვდებ ბრალს,  
მივუყვები ტაძრისაკენ გზას;  
ხელს შევახებ თითოეულ ქვას,  
ღმერთი მადლით გადმომსახავს ჯვარს.

დამილოცავს შვილებსა და ქმარს,  
დარდს და ნალველს გავაყოლებ წყალს.  
ბედნიერი კვლავ შევნატრებ თავს,  
ვინ დამასწრებს სამადლობლის თქმას?

...

ბოლოს უფალს შევავედრებ თავს,  
გამინათებს ცისკენ სავალ გზას...

## ჩემო სიყრმის შვილო

გულის ძარღვის ათრთოლებავ,  
ჩემო სიყრმის შვილო!  
სინაზით და სინატიფით  
უხვად შემკობილო.  
როგორ სიტკბოდ და სიამედ  
ჩამეღვარე სულში;  
რა განცხრომით მოკალათდი  
დედის ზეიად გულში?!  
დამიკარგე მოსვენება,  
სულ გამიფრთხა ძილი.  
მაზლვევინე დედის ვალი –  
გამოგზარდო შვილი.  
არაფერი არ მათბობს და  
არ მახარებს ასე,  
როცა დედას მაგ ლიმილით  
და სიცოცხლით ავსებ...

## უცდა დაიჯეროთ!

უნდა დაიჯეროთ, გული  
დარდის მოძალებით კვდება!  
ზოგი ადრე ხვდება, ამას,  
ზოგი საერთოდ ვერ ხვდება.

რწმენას რომ დაკარგავს, მერე  
იმედგაცრუებით ცვდება,  
არენ დაიჯეროს – ცოცხლობს,  
მართლა დარდისაგან კვდება!

ისე მისხალ-მისხალ ჭკნება,  
უცებ დამყოლია წამის,  
მოვა გრიგალი და...მორჩა!  
იყო!..უკვე აღარ არის!

ნაზი, სათუთი და სათნო,  
სულის ტყვეობაში ხვდება,  
გზა თუ გაუმრუდეს, მერე  
თოვლის ნარჩენივით ქრება!

მაგრამ მაინც ცოცხლობს, როცა  
თავზე წისქვილის ქვაც ბრუნავს,  
ოლონდ სამოწყალო ჰქონდეს,  
ერთი თბილი სიტყვაც კურნავს!

## სულ უცდა გვახსოვდეს!

დღეს დრო ისეთი ყალბია,  
ძნელია ცნობა კაცის –  
მე რომ მოკეთე მეგონა,  
თვალში ჩუმად ბეწვს მაცლის.  
ბევრი მყავს მიწის მოცილე,  
მოხნა და თესლსაც თესავს.  
ეჭვი აღარ მაქვს, მალულად,  
ჩემთვის დანასაც ლესავს.  
უკვე შიში არ მასვენებს  
გაქრობის, ჩემი ჯიშის,  
აღარავინ ჰყავს დამცველი  
დედაშვილობის ფიცის.  
რა ვქნა, სამდურავს ვერ ვმალავ  
და თქმას ხმამაღლა ვბედავ,  
როცა სამშობლოს ბედ-იღბალს  
ოქროს სასწორზე ვხედავ...  
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას  
გვცილობს ურჯულო ბევრი,  
ვაზი დარგო და ახარა,  
ღვინით აივსო ქვევრი.  
რა უსაშველოდ მანუხებს,  
ჩემს დიდ წინაპარს ვფიცავ!  
უცხოტომელის სამკვიდროდ  
გადანალოცი მიწა.  
სხვა რაღა უნდა მტკიოდეს?  
ურიცხვი მტერი გვთელავს,  
გული ამ ამბის სიცხადით  
საბედისნეროდ ღელავს.  
კარი გავაღეთ ყველასთვის,  
ჰო, რა სკობია ძმობას?!  
მაგრამ სულ უნდა გვახსოვდეს:  
მტერი არ მოშლის მტრობას!

## გიორგი სააკაძის ფიქრები

პაატავ, შვილო! რა დარდი გაქვს  
მაგ ლალ თვალებში,  
პატარა გულში რა ნაღველი  
ჩაგბუდებია?  
ალბათ სულმწარედ გენატრება  
სამშობლო შენი  
და გჯერა, თითქოს, ის დღეები  
დაბრუნდებიან...  
მიმძიმს გაგენდო, შენს სიცოცხლეს  
მე მსხვერპლად ვნირავ,  
რომ ალარ იყოს ჩვენს მიწაზე  
მტრების პარპაში,  
თორემ ქართველმა, თვით  
სიცოცხლეგანანამებმა,  
დიდი ხანია, ვერ ჩააგო  
ხმალი ქარქაშში.  
ნუ შემინდები, ვაჟკაცი ხარ,  
უნდა გაუძლო,  
თუნდ განაჩენი მართლა იყოს  
საბედისწერო,  
მტრების ჯინაზე, სანატრელ და  
ლამაზ სამშობლოს,  
ომახიანად „ლალე“ ისევ  
უნდა უმღერო!  
ვიცი, მოველი ამ სიმწარეს  
ბედუკულმართი,  
როცა უშენოდ დაბრმავდება  
თვალები ჩემი...  
მე შვილის ცოდვა დამაწვება

მხრებზე სიმძიმედ  
და შენს გარეშე გახუნდება  
სხვა დანარჩენი...  
გამაგრდი! უნდა მომიტევო,  
უნდა შემინდო,  
შენი სიცოცხლე სამშობლოს ბედს  
რომ ვანაცვალე,  
მამა ბედეკრული, სწორედ მაშინ  
დაგემარხება,  
უკანასკნელად რომ იმღერებ  
ცრემლიან ლალეს.  
ჩემი სიცოცხლე შენს შემდგომად  
რაღა იქნება?  
ხედავ, მამულის სიყვარულმა  
როგორ მაწვალა?!  
თუმცა თაობებს ეხსომება  
სახელი მამის,  
შვილი სამშობლოს ხვალინდელ დღეს  
რომ ანაცვალა!

## მიწა, ჩემო, მადლიანო!

ჩემთა ფესვთა სიძლიერევ,  
მიწავ, ჩემო, მადლიანო,  
ცა დაგყურებს თვალკამკამა,  
ხან მზეობს, ხან ავდრიანობს.

მტრებიც გულთქმას ვერ მალავენ,  
ღვთის სასწაულს გადრიანო.  
ბედნიერი შემოგხარი,  
შრომა-გარჯით ვვარგიანობ.

ოქროსხივებს ვეჯიბრები,  
ყოველ დილა ვადრიანობ,  
შენ თუ ლალად მეგულები,  
ალარაფერს ვდარდიანობ...

ოღონდ ერთი ფიქრი მტანჯავს  
და მის გამო ვნალვლიანობ,  
ქართველებმა როგორ შევძლოთ,  
რომ სამშობლო ვამთლიანოთ?

## ფიქრი შემომეჩვია

ფიქრი შემომეჩვია,  
არასანდო სტუმარი,  
ძალა გამომაცალა  
და სიცოცხლის უნარი.

გულს ტკივილი დასჩემდა  
სულს დაეტყო იარა,  
მაშინ რა მეშველება,  
თუ არ გადამიარა?

არც კი დავიჩივლებდი  
ლამეს – თეთრად განათევს,  
მაგრამ არ ვენანები,  
აქეთ-იქით დამათრევს?!

ფიქრო – ღამის მთევარო,  
მართლა ცეცხლის კვესი ხარ!  
შენ ტკივილი კი არა,  
ჭირზე უარესი ხარ!

## შენ, ადამიანო!

შენ, ადამიანო,  
რად ველარ გიცანი?!  
გზას რატომ იმრუდებ,  
ხარბი და ცბიერი?  
განდევნე ყოველი,  
რაც კი სულს გიმძიმებს,  
ეცადე, თვით იყო  
ეშმაქზე ძლიერი!  
ცდუნებას თუ დაძლევ,  
თუ უფლის შვილი ხარ,  
ცხოვრება არ გხიბლავს  
მხოლოდ მიწიერი.  
ბოროტს თუ სიკეთეს  
მიაგებ პასუხად,  
სინათლე იქნება  
მაგ თვალთ საწიერი!  
და თუკი სიმართლის,  
სიკეთის გზით ივლი,  
იბრწყინებ, იქნები  
ბედის მადლიერი,  
სხვას თუ მოერევი,  
ნუ ჩათვლი ღირსებად,  
თავს რომ მოერევი,  
მაშინ ხარ ძლიერი!

## გეპეპ

ჩემი ჯულის ხსოვნას

ცრემლგამშრალი თვალებით  
გეძებ, ყველგან დაგეძებ;..  
როგორ გამისულმნარდი?!  
უშენობას ვერ შევძლებ!  
ო, რამდენი ეწამე!  
წყევლე დროთა ტრიალი,  
სული ამინრიალდა,  
შენს სულს ეძებს ტიალი.  
სად გიპოვი, სადღა ხარ?!  
ზეცად დაიბინადრე.  
ნეტავ, რაა საშველი,  
როცა მნარედ გინატრებ?  
მოდი, არ დაიზარო,  
შემომხვიე ხელები,  
ყელზე ჩამომეკიდე,  
გულში მოგეფერები...  
კოცნა გამოატანე  
გულყვითელა გვირილებს,  
მითხარ, როგორ გავუძლო  
უშენობის ტკივილებს?

## გიორგი გორგალიშვილის ხსოვნას!

გულს მიკლავს მოთქმა საზარი:

– შვილო, მოგიკვდეს დედაო! –

შე, დაწყევლილო სიკვდილო,

ნუთუ განაჩენს ბედავო?

სულ შიშფოოთებით შეგყურებთ,

რაც ვსუნთქავთ, რაც გავჩენილვართ,

რატომ გვისწრაფებ სიცოცხლეს,

ბოლოს ხომ მაინც შენი ვართ?

რად დაიმკვიდრე სახელი

შვილთა სიცოცხლის მპარავის,

ვინ დაგიწესა კანონად,

აღარ ჰბრალობდე არავის?

გული რამდენჯერ მოგვიკალ,

ახლაც აგვყარე ფარ-ხმალი!

რა იქნა ბიჭი, გიორგი,

სად მოუჭერი გზა-კვალი?

გასტაცე სიმწრით გაზრდილი,

რაღაა დედის სიცოცხლე,

მამა – გულდარდჩახვეული

განა შეძლებს და იცოცხლებს?

ცოლს რას ერჩოდი, პატარას,

მის მკერდქვეშ ამოფარებულს,

რად დაამსგავსე უდროოდ

მარტოობისგან წამებულს?

შვილებს, ანგელოზთსადარებს,

მამის ალერსი სჭირდებათ,

ფრთები რომ შემოამტვრიე,

ფრენა ხომ გაუჭირდებათ?

ტირის და მოთქამს სოფელი,

კვლავ რეკენ გლოვის ზარები,  
გული გაგვგლიჯე, სიკვდილო,  
ათასჯერ განაბზარები!  
იმღერე, შვილო, გიორგი,  
-რად მინდა მკერდში გულიო,  
თუკი არ გაემტება  
მოძმისთვის სიყვარულიო?  
იმღერე, როგორ უხდება  
შავ ჩოხას შენი ჰანგები?!  
ვაი, იმ ბოლო სიმღერას,  
თვალში რომ დაგვეკარგები...  
იმღერე!.. გულში რამდენი  
უთქმელი დარდი გაგყება?!  
გიგლოვებს, მთელი სოფელი  
შავებში დაითალხება...  
შენს სავალს ჯერი ეწიოს,  
გზაში ნუ შეგვიფერხდები,  
ჩვენ კი იმედი გვაცოცხლებს,  
საიქიოს რომ შეგვხვდები...

## დიდი ხანია მატირეპს...

დიდი ხანია მატირებს,  
გულს ისრად შემოეყარა,  
არ მინდა, მქონდეს სამშობლოდ,  
მტრისგან ნაძარცვი ქვეყანა!

ძმაო, ძმობაში ნაქებო,  
კვლავ ხელი გამომიწოდე,  
არც შენ გექმნება კეთილად,  
მე რომ ღადარში ვიწვოდე...

რას ვდავობთ, რა ვერ ვიკირეთ,  
რა ომსშიგან ვართ ჩართულნი?  
მტერს დრო ვახელთეთ, საზღვრები  
გადაგვიმიჯნა მავთულით.

ჩვენ ერთი გზა გვაქვს სავალი,  
ორივეს ერთი მტერი გვყავს,  
ჩვენი ერთობა ავისმდომს,  
ჩვენგან მკვდარივით გარიყავს!

დროა, გონს ვუხმოთ, გვეყოფა  
ერთიმეორის ქიშპობა,  
თორემ ქართული მიწიდან  
ქართველის კვალი ისპობა!

რაც სულს სავანედ მიაჩნდა,  
ყველას ურდული ედება,  
თუ არ ვაფხიზლეთ გონება,  
სამშობლო ალარ გვექნება!

ჰოდა, სწორედ ეს მატირებს,  
დარდად ეს შემომეყარა, –  
მე მინდა მქონდეს სამშობლოდ  
მტერს მორეული ქვეყანა!

## ქვეყნად მოსახლეობი ვაჭი

გულში უჩვეულოდ აიშალნენ  
ფიქრები დღეისა და ხვალის,  
ბევრი განსაცდელი განვიცადე  
ჭირთა თმენისა და მალვის.  
ვცადე, გვერდი ვერსად ავუქციე,  
ჭიდილს ნათელის და ბნელის;  
დიდი გზასაძნელო გამივლია,  
კიდევ გასავლელიც მელის!  
ლმერთო, იმედი არ გამიხუნო,  
იმედი – საოცნებო ხვალის!  
ისე არ გამაქრო, დარდი გამყვეს,  
ქვეყნად მოსახლეობი ვალის!..

## ცხოვრების ცესი

სითბო და გულმოწყალება  
ჩემი ცხოვრების წესია!  
გზად უამრავი სიკეთე  
ძმათათვის დამითესია.

ვკაფავ და ვკაფავ ეკალ-ბარდს,  
იებს და ვარდებს ვახარებ,  
გაჭირვებულს და უმწეოს,  
კალთას სათუთად ვაფარებ!

განა სიმდიდრე ბევრი მაქვს?  
გული მაქვს უფრო მდიდარი!  
უფალი ყველას მიაგებს,  
ჩემგვარ ყოფაში ვინც არი!

არა იმისთვის ვირჯები,  
რომ ბევრი მყავდეს მნახველი?  
არამედ რომ არ შემირცხვეს  
უფლისშვილობის სახელი!

## ნუ გეშინია, ჩემო პატარავ!

ხეები თმობენ ნაქარალ ფოთლებს,  
როგორ გაშიშვლდნენ ირგვლივ ტოტები?!  
დღეებდათვლილი მომაკვდავივით,  
ზამთარს ხალისით არ ველოდები.

მიყუჩებულა ეზოს კუთხეში,  
ალარ მაფხიზლებს ფიცხი მურია,  
თითქოს შველას მთხოვს ფართო თვალებით,  
გულში ჩავიკრა – როგორ მწყურია?!

ნუ გეშინია, ჩემო პატარავ,  
ვატყობ, ზამთარი გეუცხოვება,  
ასე საოცრად როგორ მემსგავსე?  
შენსავით მაკრთობს ჩემი ცხოვრება!

ნუ დალონდები, მარტო არა ხარ,  
ზამთრის სიავე გაზაფხულს მიაქვს;  
იქამდე ჩემთან გაგათბობ, რადგან  
ადამიანზე დიდი გული გაქვს!

## „ასეა ეს“

არ ყოფილა ეს ცხოვრება ადვილი,  
ბედს ებრძოლო სასტიკსა და მუხთალს,  
სინანულით განწმენდილი სული,  
მოთმინებით მიაბარო უფალს?!  
შენ რომ სხვისთვის სულ სიკეთე გწადია,  
არ ასვენებს ბოროტსა და ავთვალს,  
ბოლმისა და შურის კორიანტელი  
გიმტვრიანებს გზას ალალს და მართალს...  
ნუ შედრკები, კვლავ შენი გზით იარე,  
ნუ წაიხდენ სახელსა და სინდისს!  
მართალი დგას განათებულ ბილიკზე  
და ამაყად უფლისაკენ მიდის!

## ისევ შეთან დავპრუდები!

თუნდ ქვესკნელში ჩამიტანოს  
ზვავმა – მთებზე ნაგორალმა,  
გინდ ზღვას იქით გადამხვეწოს  
ქარმა – ურჩად ნაქროლარმა,  
მაინც შევძლებ თავის პოვნას,  
არა გზათა გამრუდებით,  
ზღვასაც ვივლი, მთასაც ვივლი,  
ისევ შენთან დავბრუნდები!  
ჩამიხუტე გულში მაგრად,  
ჩვენმა ლხინმა ჭირი სძლიოს,  
რომ ვერც ზვავი და ვერც ქარი,  
ვერასოდეს მოგვერიოს!

## რად სცყრები?

რად სწყრები ჩემი ვარსკვლავო,  
ცრემლს რად არ მაშრობ თვალზედა,  
სასონარკვეთილს მუქარით  
რად მეღობები გზაზედა?  
სად მალავ უფლის სიკეთეს,  
ტვირთს რად მიმძიმებ მხარზედა?  
ყველგან იარა მეტყობა,  
ნატანჯ რბილზე და ძვალზედა!  
ვერ ვპოვე ჩემი ადგილი,  
კვლავ ვსახლობ ცივსა ქვაზედა;  
ხელის აქნევა მაკლია,  
ჩიტივით ვზივარ ნარზედა...  
ნეტავ, რად ამითვალწუნე,  
ან მომიძულე რაზედა?  
წისქვილის ქვალა დაგირჩა,  
დამიტრიალო თავზედა...  
თუ ჩემი გქვია – დავზავდეთ,  
ხელი აიღე ავზედა,  
რომ ერთხელ მაინც მამლერო  
ჩემსავე გულისხმაზედა!

## ვიგაზაფხულე!

ვიგაზაფხულე!  
ვიზაფხულე!.. და ახლა უკვე  
ეს შემოდგომაც ამიცივდა, –  
ზამთრის პირია,  
აღარ მაკვირვებს, ყვითელ ფოთლებს  
რად ეჩქარებათ,  
ანდა ხეები გაშიშვლებას  
რატომ სტირიან...  
გული შემიკრთა,  
საგულეში ვეღარ ისვენებს,  
სუსხიან ქარებს  
მშვიდად როგორ დაველოდები?  
ნაღველი მოაქვს ყოველი დღის  
ახლად თენებას,  
ნეტარ სამზეოს უნებლიერთ  
ვთმობ და ვშორდები!  
ბედს რომ გავუწყრე,  
საამისოდ არ მაქვს მიზეზი,  
გზაგასაყარიც ახლოა და  
უტყვად ვნებდები,  
ოლონდ სიმწარეს ნუ ნახავენ  
თვალები ჩემი,  
ყველას სანაცვლოდ,  
თვით სიკვდილსაც,  
და ვუდ უმ დები!

## გენეზის ხიდი

შუა ბეწვის ხიდზე ვდგავარ,  
თავს დავალნევ როდის?  
განცდა უცხო, შიშისფერი,  
თავისთავად მოდის!  
როგორ ღელავს?! ამღვრეული  
ტალღა ტალღას უსწრებს,  
ვაჲ, თუ ბედმა ისწრაფოს და  
ხიდი ჩატყყდეს უცებ?!

დაბრუნებას ვერ გავბედავ,  
ზვირთი ზვირთზე დარბის,  
არემარე ოხვრით სუნთქავს,  
გულს დაღი აქვს დარდის...  
ნინ გზა – ძნელი მელოდება,  
თვალი აღარ მიჭრის,  
რა დღე ვნახე, სავაგლახო,  
გახსენებაც მიჭირს!  
ახლა ხელჯოხს ვებჯინები,  
ნელ ნაბიჯებს ვითვლი,  
არ ლირს ფეხის აჩქარება,  
სანამ ამ ხიდს ვივლი...  
გაღმა ნაპირს შორით ვუმზერ,  
(გულს სულ კვნესად სჭირდა!)  
ვფიქრობ, ნეტავ, ხიდზე გავლა  
ლირდა თუ არ ლირდა?

## თუ წავალ...

თუ წავალ, ერთი რამ მინდა, რომ გახსოვდეს,  
ვერაფერს უშველი ან უკვე დაკარგულს!  
კვლავ შენთან მიგულე, გულს დარდს ნუ მიაჩვევ,  
მერცხლებად მოვყვები ყოველ პირგაზაფხულს.

ან იქნებ, იების სურნელით დაგათრო,  
მდელოზე მოსული ფეხით არ გამთელო,  
უცხოდ არ მეჩვენო, თუ შემოგლიმილო,  
იქნება მაგ გულის იარა ვამთელო!

ან იქნებ, ენძელად მოვედო ველ-მინდვრებსა,  
ამ დროს ხომ ზამთარი თავისით მთავრდება,  
შენს დარდს და ცრემლებსაც ნარჩენ თოვლს გავატან,  
შემხედავ და მაგ გულს კვლავ გაეხარდება!

ან იქნებ, ღრუბლებით, მწველი მზე გიჩრდილო  
და წვემის წვეთებით ღაწვები გისველო,  
მთვარეს სხივს მოვტაცებ, ბნელ ღამეს აგინთებ,  
უჩემო მარტოსულს რაღაცით გიშველო...

თუ წავალ, გჯეროდეს, კვლავ შენზე ვილოცებ,  
ასი წლის შემდეგაც შენ დაგელოდები,  
მინდა, რომ გახსოვდე ოცი წლის გოგონად,  
მე ისევ ვიცოცხლებ... თუ მოგაგონდები...

## გაფრინდა...

გაფრინდა ჩემი ახალგაზრდობა,  
სევდიან დღეთა რიგი აება,  
როგორი ხარბი ვყოფილვარ თურმე?!  
ერთი სიცოცხლე მეცოტავება!

ბევრი გზა-შარა მოვლალე ტანჯვით,  
ალმართ-დალმართიც ბევრი ვიარე,  
ცხოვრებამ თუ რამ მავნო, მატენა,  
მაინც ვაჯობე დარდს და იარებს.

ახლა წლებისგან ნაწრთობი გული,  
თითქოს სამყაროს გულის ტოლია..  
მივდივარ, ჰოი, რა დრო გასულა?!  
ხვალის განცდებმა ამიყოლია..

სულ ბოლო ხმაზე ვყვირი, გავკივი,  
თითქოს-და თავზე ხელი ავიღე,  
როგორ არ მინდა სიბერე ახლა,  
როცა ყველაფრის გემო გავიგე!..

ყოველ წამს სულის კვნესებით ვითვლი,  
დრო სადღა დამრჩა, ოხერტიალი,  
ცოტა თუ იყო, მაინც ხომ ღირდა  
სიცოცხლის დღეთა ორომტრიალი?!

## თუ ხვალის რდევენა შეგვრჩა

გაოგნებული  
იდუმალებით,  
ვუმზერ სამყაროს  
ფართე თვალებით!

სასწაულს კვლავაც,  
მრავალს მპირდება,  
თუ კიდევ რამე  
გამიკვირდება?!

ზღვარით, წაშლილით,  
ტყუილ-მართალის,  
ოქროს სასწორზე  
დევს სამართალი.

თუკი სიზუსტით  
არ იწონება,  
შედეგი როგორ  
მოგვეწონება?

გაცრუვდა ხალხის  
კეთილი წება,  
ბატონ-პატრონმა  
არა ინება!

ძალით სიყრუე  
საძრახისია,

სიხარბე, განა,  
საკადრისია?

ვინც უღმერთოა,  
ცოდვაც მისია,  
ჭირის დამტეხი  
გმობის ლირსია!

კაცს აღარა აქვს  
კაცის ატანა,  
უკვე გაძნელდა  
თავის გატანა...

თუ ხვალის რწმენა  
შეგვრჩა მცირედი,  
მაშინ, ჯერ კიდევ,  
არის იმედი!

## შეორმედე!

შემომხედე, ჩემს სახეზე,  
ნლების მძიმე კვალია,  
გულის დარდი, საფიქრალი,  
დრომ ვერასგზით დალია!  
ყველაფერი, რაც გადამხდა,  
ბედისწერის ბრალია,  
მაგრამ შენ რომ გვერდით მყავდი,  
ეს მშველოდა ძალიან!

## რას გაუგებ...

რას გაუგებ წუთისოფლის ორომტრიალს,  
ღმერთმა იცის, სად ჩატყყდება ხიდი;  
თვით სიცოცხლეც არაფერი არ ყოფილა,  
ზოგჯერ ისე უკვალოდაც მიდის...

სანამ ვცოცხლობთ, სანამ პირში სული გვიდგას,  
ერთმანეთი ჩავიხუტოთ გულში;  
მოძმისათვის სიკეთე და მადლი ვთესოთ,  
უფლის რწმენა განვიმტკიცოთ სულში!

გადავავსოთ სულ პირამდე სასმისები,  
ყველა დარდი ავადევნოთ ნისლებს;  
მტერს რომ უნდა, ისე კი არ გაგვიმარჯოს,  
ჩვენ რომ გვინდა – აი, სწორედ ისე!

## საცყალი კაცი

საწყალი კაცი, ამქვეყნად,  
სულ გმობდა ბედის განაჩენს,  
მუდამ სიბრაზით სწყევლიდა  
თავსა – ღვთისაგან განაჩენს.  
არ ჰქონდა მცირე სახსარიც,  
ბოლო პერანგსაც იხდიდა,  
მაინც, სინდისის მეხოტბე,  
ვალს ვალის დროზე იხდიდა!

## დაპრუნდით!

ნეტავი გული რად ტირის,  
რად კვნესის ან რად ოხრავს?  
სახნისს ფერი აქვს ჟანგის,  
ვინ დასთესს ან ვინ მოხნავს?

კერიას მოსწყდნენ შვილები,  
ბუხარში ცეცხლი ჩაქრა,  
ნუთუ საშველი აღარ გვაქვს,  
ბოლო იმედიც გაქრა?

სამშობლო – ჩემი მშობელი,  
მშობელი ნინის ... გიგის,  
კალთით – შვილჩამობერტყილით,  
უფსკრულისაკენ მიდის!

ჰეი, ქართველნო, სად ხიზნობთ,  
გმინვა არ გესმით მშობლის?  
მოვიდა, მოშინაურდა,  
გადამთიელი გვჯობნის!

დაცარიელდა მამული,  
მტრებთან ამაოდ ომობს,  
დაბრუნდით, ერთად ვიცხოვროთ,  
როგორც ქვეყანა ცხოვრობს...

დაბრუნდით!  
ვიდრე დრო არის,  
ვიდრე არა არის გვიან!  
ვიდრე დავითის სამშობლოს,  
ნადავითარი ჰქვია...

## მტკიცა ჩემი თბილი გუდი...

იმ ძველ სახლ-კარს, სადაც ჩემი  
ყრმობის კვალი ატყვია,  
მშვიდად ვეღარ ვეფერები,  
გული მიგავს ნატყვიარს.

დანგრეული ღობები,  
მზით დამწვარი ფარდები,  
რა დარდები შემოგაწვა,  
გულო, როგორ თავდები?!

თვალი ცრემლით ამოივსო,  
აქ სიმშვიდეს ვერ შეძლებს,  
გრძნობს წარსულის ანაბეჭდებს  
ბზარგაჩენილ კედლებზე.

ვხედავ, ხელი მოჰკლებია,  
ნუგეშიც ვერ ვუთხარი,  
ანდა რა სანუგეშოა  
ცეცხლჩამქრალი ბუხარი?

ხილით სავსე კაბის კალთა,  
როგორ მომნატრებია?!  
უი, შენ შემოგევლეო! –  
მეგებება ბებია.

პაპამ წელზე შემომხვია  
დაკოურილი ხელები,  
მის თვალებში, სიყვარულის,  
კრთიან ცისარტყელები.

ხვეულ თმებზე მეფერება,  
ღიმილით და ალერსით,



ცივი წყალი დამისხიო! –  
ისევ მამის ხმა მესმის.

გაძლიერდი, გამიმრავლდი,  
აგრემც გენაცვალები! –  
მლოცავს დედა დიდი გულით,  
ცრემლჩამდგარი თვალებით.

ისევ ნატრობს ყრმობის ხანა,  
ცეცხლდანთებულ კერიას,  
ამ სითბოზე უკეთესი  
ქვეყნად არაფერია!

მტკიცა ჩემი თბილი ბუდე,  
გული ცეცხლში იწვება,  
ასე როგორ მივატოვეთ,  
თავის გოგო-ბიჭებმა?!

დგას მოწყენით, მომლოდინე,  
თითქოს ლონემიხდილი,  
ნუხს, რომ ბევრჯერ ცრემლ-გოდებით  
გააცილა სიკვდილი.

გატეხილი ღამეები  
სიზმრებივით ქრებიან,  
მაინც სჯერა, ის დლეები  
ისევ დაბრუნდებიან.

მითხარ, აბა, ღმერთო ჩემო,  
სხვა რა უნდა ვინატრო?  
რა მოხდება, თუნდაც წამით,  
გამიახლო ძველი დრო?!

## აპრილის სურტვა

შემოაღწია დარაბებში  
აპრილის სუნთქვამ  
და გულგამთბარი დედამიწის  
სურნელი მამცნო.  
როგორ გავლალდი?!

ირგვლივ ისევ გაზაფხულია, –  
ძარღვებში სისხლი  
ძველებურად მოსჩქებს და ანცობს!  
შენ კვლავ ჩემთან ხარ –  
ნაზამთრალი სულის მეოხე,  
ახლა სითბო და ყურადღება  
უფრო მჭირდება!  
ხელს ნუ გამიშვებ,  
მიერთგულე ბოლო წუთამდე,  
თორემ უშენოდ,  
სიკვდილიც კი გამიჭირდება!

## რა დრო გასულა?!

უცვლელი შერჩა დრო-ჟამს,  
ჩვენი ერთობის ხიბლი,  
რა დრო გასულა, ხედავ?  
წლებს სიამაყით ვითვლით.

დღეს... ვერაფერი შეცვლის  
შენი თვალების სითბოს,  
ჰო, შეგეჩვიე ისე,  
დამვიწყებიხარ თითქოს...

## მიზადება?

უხვად ვარიგებ სიკეთეს,  
ვნანობ, თუ ოდეს შემშლია,  
რატომ არასდროს ვმარცხდები,  
მტერი დღედალამ ეჭვშია.

სანამ მიწაზე ვხოხავდი,  
ვერც კი მამჩნევდა თუ ვიყავ,  
ფეხზე რომ წამოვიმართე,  
მერე სრულიად გამრიყა.

მაინც არა მყავს მიზანში,  
მინდა, თვითონაც იცოდეს,  
იცოცხლოს, მე რას დამაკლებს?  
ჩემი ლალობით იწვოდეს!

მისი სამტეროდ ნაფიქრი,  
საპირისპიროდ მიხდება,  
მე რომ კვლავ უინით ვხელდები,  
ნეტავ თუ ოდეს მიხვდება?

## უფალო, შეი მადლია!

უფალო, შენი მადლია,  
მზით გათენება დღის,  
გულს დარდი შემოეცლება,  
ხედავს იმედის სხივს.  
ვპურადობ, ჩემი მარჯვენა  
სიკეთეს სთესს და მკის,  
არ მტანჯავს სხვისი ლოდინი,  
მყავდეს გამკვლევად გზის.  
შური არ მინდა ვიძიო  
ავის მნდომელი მტრის,  
ვაი, რომ თვითონ მოკვდება,  
ჩემსას თუ ნახავს ლხინს.  
ნეტავი რისთვის იწამლავს,  
ყოფას მშვიდსა და ტკბილს,  
ჩემი სილალის შემყურე,  
რატომ იკიდებს ჭირს?!  
უჯობს, რომ იყოს ალალი,  
ნებით მორჩილი ლვთის,  
ამბობენ, ვინც რას თესავსო,  
ისევ იმასვე მკის.  
ჰოდა, გაიგოს მავანმა,  
შური სატანჯველს ჰევრის,  
ნუთუ იოლი ჰევნია  
გმობა, განდგომა ლვთის?!

## მითხარი!

გამიქრნენ მზიანი დღეები,  
ცხოვრება წამებში გავიდა,  
რამდენი ტკივილი მაგემა  
და მაინც ვსურვილობ თავიდან...

მითხარი, რომ ისევ გიყვარვარ,  
ჩემ გარდა არავინ არ გინდა,  
მითხარი და ახალ სიცოცხლეს  
დავიწყებ სწორედ ამ წამიდან!

## ქვეყნის სიზრელე

გარდასულ დრო-ჟამს აღარ მივტირი,  
დღეს, მისხალ-მისხალ, სიკეთეს ვეძებ,  
ბევრია გულქვა ადამიანი,  
თუმცა ვერაფრით მიცვნია ბევრჯერ...

გამქრალა სანდო ძმა და მოკეთე,  
მორჩილი სულის სათნოებისა,  
ქუჩაში მარტოდ მოხეტიალეს,  
წრფელი ლიმილი აღარ მეღირსა!

ვერ გამიგია ქვეყნის სიჭრელე,  
გადაგვარების შიში მაწვალებს,  
დრომ მოიტანა ეს გულცივობა,  
თუ ყველას გული ამოგვაცალეს?

## სიყვარულის ანარეპლი

ახლა, მკათათვის თაკარა მზეა,  
ისევ ამშვენებს ეზოს ვარდები,  
მათი შეხებით გრძნობებარეულს,  
კვლავ წარსულიდან მომენატრები.

სიცოცხლის ასე გაგიჟმაჟება,  
იმ გაუხუნარ დღეებს აბრუნებს,  
მახსოვს პირველი ამბორის გემო,  
ვარდის სურნელით რომ გამაბრუე...

ბედნიერება სხვას რას ვუწოდო?  
გული სიხარულს ზეცაში აჰყავს,  
შენს სითბოსა და სიყვარულს ახლაც,  
პირველი ვარდის სურნელი დაჰკრავს.

აღარ მადარდებს გზა, დარჩენილი,  
უკვე გამოვცდით ბილიკს, ეკლიანს  
და დღეს ვარსკვლავნი რომ კიაფობენ,  
ეს სიყვარულის ანარეკლია!

## გიორგი სააკაპი

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,  
კარგი შვილები რად გვეძადება?  
შვილის სიკარგე მშობელს შეჰშურდეს,  
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?!“

ვაჟა-ფშაველა

ვეძებდი წარსულის სისხლან ფურცლებზე,  
შორიდან ჩაესმა მას ჩემი ძახილი,  
ვიპოვე სამშობლოს ბედ-ილბლით ნატანჯი  
და გულში დაჭრილი მტარვალის მახვილით.  
ერთი დღეც არ ჰქონდა მშვიდი და ნეტარი,  
სულიერ ტკივილებს გულდაგულ მალავდა  
და რადგან ქვეყანას მტერთაგან უჭირდა,  
უხმობდა მარტყოფი, ქსანი თუ მარაბდა...  
ურიცხვი მოშურნის სამიზნედ ქცეულმა,  
მამული დატოვა, სხვა გზა რომ ვერ ჰპოვა,  
პატარა პატა ჯალათებს მიჰვარა,  
ოღონდაც სამშობლოს დახსნის გზა ეპოვა.  
ესეც არ ექმარათ მტრის თვალით მომზირალთ,  
მაინც ბრალს სდებდნენ და ღალატში ამხელდნენ,  
შეიკრნენ ბოროტი ზრახვებით სავსენი  
და მისი მოსპობის სურვილით გახელდნენ.  
ღალატი არა სთქათ, მტრობას ნუ აბრალებთ,  
ცოდვების ტარება არ არის ადვილი!..  
ის იყო მამულის ერთგული მსახური  
და სხვაგან სამკვიდრო არ ჰქონდა ადგილი...  
ბრძოლაში შეაცვდა პერანგი ჯაჭვისა  
და ხმალი, ნატანჯი, იცოდეთ მისია,  
ცოდვას ნუ დაიდებთ, ღალატს ნუ დასწამებთ,  
გახსოვდეთ, ის მხოლოდ დიდების ღირსია!

## ფუთისოფლის ახაოება

რად მომეჭიდე გულზე ნაღველო?  
თითქოს საომრად დამიმარტოვე!  
ახლა, ჰო!...მაგრამ მერე რაღა ვქნა,  
ბოლო იმედიც თუ მიმატოვებს?

მთელმა სამყარომ ფერი იცვალა,  
ცა, მოლუშული, ღრუბლებთან ომობს,  
იქნებ ვერ ვხვდები, რომ თავგანწირვით,  
ის, ნაღვლიანი, ჩემს ბედზე გლოვობს?!

გზა გამიძნელდა, რძისფერ ნისლეპში  
შიში ძრწის – შიში დაღამებისა,  
ახლა ჰო!.. მაგრამ მერე ვარ ცოდო,  
კვლავ გათენება თუ არ მეღირსა...

ამ ფიქრით დაღლილს და ღონემიხდილს,  
ნამერთვა ძალი და სასოება,  
დღეს გვიანია, თუმცა ვირწმუნე  
ამ წუთისოფლის ამაოება!

## და მაინც...

შენ აღარ გქვია ადამიანი,  
ჭირში მყოფს ზურგი რომ შემაქციე  
და ძმობა, წლების წრთობით ნამტკიცი,  
არარაობად გადააქციე.  
შენ აღარ გქვია ჩემი მოკეთე,  
სითბოს ამაოდ ველოდებოდი,  
მინას გართხმული არ შემიცოდე,  
გეგონა ველარ წამოვდგებოდი...  
და მაინც... შენთვის სიკეთე მინდა,  
არ მაქვს სურვილი საქვეყნოდ განსჯის;  
არ მემეტები, ადრე თუ გვიან,  
უგულობისთვის ღმერთი რომ დაგსჯის!

## ვაი, თუ...

ერთი დღე რაა, მაგრამ ის ერთიც,  
უშენოდ თითქოს წელიწადია,  
ჩავიკეტები საკუთარ თავთან  
და აღარავინ აღარ მწადია.

ვეჭვობ უჩემო დღეზე, საათზე,  
ვაი, თუ ვინმემ გადაგიბიროს  
და მერე შენი დაკარგვის შიშმა,  
თვალებზე ცრემლის წყაროდ იდინოს?!

## ოშკი – ჩვენი სულის მზე!

ოშკი – ჩვენი სულის მზე,  
დგას მოწყენით, ეული,  
კედლებდაბზარული და  
გუმბათჩამონგრეული.  
ფრესკებსა და ჩუქურთმებს  
დრო სიცოცხლეს აცლიდა,  
აქ წმინდანთა თვალები  
გვიმზერს ყველა სარკმლიდან...  
კვლავ ძარცვავენ უგულოდ,  
ურჯულოთა ხელები,  
ყველა გონს მოეგება,  
ჩვენ თუ შევეშველებით.  
ჰეი, სად ხართ ქართველნო!  
მტრებთან ვინდა იომებს?  
ვუხმოთ გადარჩენისთვის  
ტაოს ბაგრატიონებს!  
თორემ გადამთიელი  
ტყვიას გულში გვიმიზნებს,  
ჩქარა, ვიდრე ფეხზე დგას  
ოშკი – ჩვენი სულის მზე!

## არ მიდარდო!

მალე გაავდება ამინდი და  
ლრუბლებს წამოისხამს მთები,  
მე ხომ არასოდეს მეშინია,  
შენი ჩახუტებით ვთბები!  
ასე მთელ სიცოცხლეს მილამაზებ,  
დღეებს მიფერადებ როგორ?!  
შენც რა ბედნიერი გეგულება  
შენი ნებიერა „გოგო“...  
გული მეკუმშება დარდისაგან,  
ზეცა სულ ალმასებს არ ჰყრის,  
ნუთუ მალე მოვა დასასრული,  
ბედი ერთმანეთს რომ გაგვყრის?  
მე ვერ შეველევი შენს სიცოცხლეს,  
არ მსურს გლოვის რეკლეს ზარი,  
ოლონდ შენ გიგულო ცოცხალი და  
მიჯობს, რომ მე გყავდე მკვდარი!  
შენ კი... არ მიდარდო, გეხვენები,  
ვაჟკაცს არ უხდება გლოვა.  
ლოცვად – შვილებისთვის დავბრუნდები,  
შენთვის – მხოლოდ სიზმრად მოვალ!

## ვერ მოვპრუდები!

ნიავი კრთება,  
შემოდგომის სიყვითლე მთრგუნავს,  
გავრბივარ,  
თითქოს მეწევიან ავი მდევრები,  
ზამთრის მოსვლამდე ვერ დავიცდი,  
შენ იცი, რატომ,  
მეც ბოლო ფოთოლს შეშლილივით  
ავედევნები...  
წავალ, გავქრები  
უსიტყვოდ და უმისამართოდ,  
მინდა ცხრა ზღვას და  
ცხრა მთას იქით გადავიხვეწო,  
აზრი არა აქვს ჩემს დარჩენას,  
გაცივდა გული,  
ვერ მოვბრუნდები,  
არ მელოდო  
და არ მეხვეწო!

## ხელახლა ვეღარ გავიმეორებ!

მიდიან წლები, თითქოს არც მჯერა,  
სიცოცხლის წყარო – როგორ ვმცირდები?!  
ყოველი წუთი მინდა დავზოგო,  
ვიცი, რომ შვილებს ისევ ვჭირდები...

სიზმარს ვადარებ, როცა შევხარი,  
ლალად გაზრდილებს კალთა-უბეში,  
ეს არის ჩემთვის მთელი სამყარო,  
ბედნიერება, ხსნა და ნუგეში!

მიდიან წლები, შრომით მოლლილი,  
ნაჯაფარ მხრებზე მაწევს სიმძიმე,  
გულს ბევრი სურდა, თითქოს შევძელი,  
დღედაღამ ოფლის წვიმად ვიწვიმე.

ახლა თვალს ვავლებ განვლილ ცხოვრებას,  
კიდევ რომ იყოს შანსი მეორე,  
ისე დამცალა ერთმა სიცოცხლემ,  
ხელახლა ვეღარ გავიმეორებ!

## დრო იყო...

დრო იყო, მომდევდა  
მუხლი და სიმარდე,  
ბილიკებს ვთელავდი  
ტყიანს და გაუვალს,  
რა უცებ მოსულა  
ოხერი სიბერე  
და ვიცი, მის ბრჭყალებს  
ვერსაით წავუვალ.  
არადა, რა მტკიცედ  
მჯეროდა ყოველთვის,  
წლები ჩემს წაქცევას  
ვერასდროს შესძლებდა,  
დღედაღამ ვიშრომე,  
გული არ ითმენდა,  
მიქებდნენ მარჯვენას,  
უქმად რომ ვერ ძლებდა.  
მადლი და სიკეთე  
სიუხვით ვარიგე,  
დღეს მიკვირს, ეს ძალა  
ნეტავი სად მქონდა?  
მოსულა!.. და ვიცი  
ვერ დავემალები,  
ვხედავ, რომ სიბერე  
მიყურებს ახლოდან...

## მიყვარხარ!

მიყვარხარ, მთელი სამყარო  
მიღიმის მზისა ფერადა,  
საწუთო, ტკივილიანი,  
შენით გამხდარა მღერადა!

სულ მუხლის ჩოქვით მოვივლი  
გზებსა – სავალსა ძნელადა,  
ოლონდ უფალმა ბედს მწიოს,  
მაგ გულის დასაძლევადა...

## არ გეკადრება!

ჩამოძონძილი, სხვების ამარა,  
უსახლეარო და ულუკმაპურო,  
ღმერთო, რა დიდი გამძლეობაა,  
ქუჩაში ამდენ უძლურს უყურო?!

არ შემიძლია გულგრილად ჩავლა,  
გამოწვდილ ხელებს ვუთხრა უარი,  
თუ გააჩინე, მაშინ შენ გარდა,  
ღმერთო, პატრონი აბა ვინ არი?

მოძმის ტკივილი თუ არ გვაწუხებს,  
მოგვეკითხება ადრე თუ გვიან,  
არ გეკადრება, სამშობლოვ ჩემო,  
ღვთისმშობლის წილი ქვეყანა გქვია!

## მტკიცა სიცოცხლე!

მტკიცა სიცოცხლე!  
მომიხურეთ ჩქარა დარაბა,  
არ მსურს, მიმქრალი სანთელივით  
უმწეოდ ვენთო!  
ერთხელ დაჭრილმა გულმა მერე  
ვერ გაიხარა,  
ჰოი, რამდენი მიწვალია?!  
მიშველე, ღმერთო!  
მტკიცა სიცოცხლე!  
აღარ მინდა დალლილი თვალით,  
ისევ ვუყურო ცოდვიან და  
შეშლილ სამყაროს,  
ერთი შიში მაქვს, როგორ შევძლებ  
ღონემიხდილი,  
ნატანჯი სული და სხეული  
ერთურთს გავყარო?!  
მტკიცა სიცოცხლე!  
გამქრალია ყველა სურვილი,  
გულს რომ აშფოთებს –  
შემოდგომის ცივი ქარია,  
სევდისფერ ლანდებს აედევნა  
ჩემი აჩრდილი  
და რაც აქამდე მიხაროდა –  
არ მიხარია!  
მტკიცა სიცოცხლე!  
ბრძოლის ძალა გამომელია,  
სულის სიღრმეში ჩაკირულიც  
ვეღარ წავშალე,  
ქანცგანყვეტილი შენ მოგენდე,

უფალო ჩემო!  
გული ამიტომ სხვა იმედით  
გადაგიშალე!..  
მტკივა სიცოცხლე!  
ახლა უკვე ყოველი წამი,  
უძილო ღამის თანამდევი  
დიდი დარდია,  
წამგლიჯეს გული, დააბნელეს  
ჩემი სამზეო,  
ელდის ცემისგან განგმირული  
პირქვე აგდია.  
მტკივა სიცოცხლე!  
დრო მოსულა გარდაცვალების  
და ახლა, მხოლოდ, შეწყალება  
უნდა ვინატრო,  
შენ იცი, ღმერთო, რაც აქ ყოფნით  
დავიმსახურე  
იქნებ მართალთა სამყოფელში  
და მაბინადრო...

## მაგონდება...

მაგონდება ის დღეები,  
გეძახი და გნატრობ,  
მხოლოდ დარდით სავსე გული,  
დამრჩენია მარტო.  
ნეტავ მოხდეს სასწაული,  
დამიბრუნდე ისევ,  
მაშინ ზეცაც გადაიყრის  
ჯავრმორეულ ნისლებს.  
ნაცნობ ჰანგებს შემოსძახებს  
მტრედისფერი დილა,  
სიხარული, გულის კარებს,  
შემომიხსნის ფრთხილად.  
დარდს და ნაღველს შემოიცლის  
სული, მგლოვიარე  
და ღამის გზას გამინათებს,  
პირმცინარი მთვარე.  
იმ ძველ ბილიკს გამაყოლებს,  
შემახვედრებს შენთან,  
გული ახლაც სიყვარულის  
მოლოდინით ფეთქავს...  
შენს ღიმილს და გულისძგერას,  
კვლავ ავუნთებ სანთელს,  
ჩუმად მოგეფერები და  
ჩუმად გეტყვი სათქმელს.  
მოგიყვები ნაოცნებარს  
და ნაფიქრალს რამდენს?!  
კვლავ მზის სხივი გააბრნყინებს  
ჩემი სულის სარკმელს...

## ჩემს თავსა ვტირ!

შენ რომ არ გითხრა, ვის ვუთხრა,  
ან ვის შევჩივლო უფალო?  
ამ მოკლე წუთისოფელში  
ნიადაგ ვჭირისუფალობ!

დრო დამნატრულდა სალხინო,  
დღე დღეს მიჰყვება ერთფერი,  
ვიცი არ უნდა გყვედრიდე  
და არც წუწუნი შემფერის.

მაგრამ გულს მიკლავს ყოველი,  
ქვეყანას თალხი აცვია,  
ამდენმა ხვეწნა-მუდარამ  
ქადაგად გადამაქცია.

იქნებ წყალობა მომმადლო,  
სწორი გზა გამოაჩინო,  
გულისფანცქალით შეგყურებ,  
რომ ხიფათს გადამარჩინო!

ჩემს დღეში განა ცოტაა,  
ბედისწერისგან გმობილი?!  
მე როგორ ვუჭირისუფლო?  
ჩემ თავსა ვტირი ცოდვილი!

## მყინვარწვერს

1947 წელს, ცნობილი ალპინისტის, ლევან სუჯაშვილის მიერ, მყინვარწვერის ცი-ცაბო კალთაზე, პირველად იქნა შემჩნეული ბეთოლების გამოქვაბულიდან ჩამოშვებული ჯაჭვი. თვითონ გამოქვაბული დაახლოებით 3800 მეტრის სიმაღლეზე 80 მეტრიანი კლდოვანი კედლის შიგნით მდებარეობს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იგი წარმოადგენდა საეკლესიო სინმინდეების და განძის საცავს, სადაც ბერძი ჯაჭვის კიბეებით ადიოდნენ. ამ ჯაჭვის შესახებ ილია ჭავჭავაძე მოგვითხრობს თავის პოემა „განდეგილში“.

ზეცას თავმიბჯენილო,  
თეთრ ქუდნაბადიანო!  
მთაო, თოვლს და სიცივეს  
ნუთუ შენც დარღიანობ?  
ხან რომ გაბობოქრდები,  
უფლის რისხვა მგონია,  
საქმეს ნუ იქმ საავოს,  
შენ ეს ბედი გქონია!  
იცი, როგორ გიხდება,  
თოვლის თეთრი მანტია?  
მზის სხივების ელვარე  
სისპეტაკე გარტყია!  
ნეტავ რა გაქვს სადარდო,  
რისთვის არ მეუბნები?  
ცასთან ისე ახლოს ხარ,  
უფალს ესაუბრები...  
ხან სურვილი მიჩნდება,  
ჯაჭვის კიბით გეახლო,  
ღმერთთან სიახლოვისთვის  
შენს კალთებქვეშ ვისახლო.  
თუ ვერ მოგწვდი მიუვალს,  
ვერ ჩავიცხრე წყურვილი,  
თვით თერგს გამოატანე  
უფლის ყველა სურვილი!

თვალს და გულს უხარია,  
შენს ყურებას სხვა რა სჯობს?  
დგახარ მუდამ ფხიზლად და  
ჩემ სამშობლოს სდარაჯობ!

## სიშორე

ვერ ვეგუები შენთან სიშორეს,  
თვალი ძილს ახლოს ვეღარ იკარებს.  
ათასჯერ ჩემს თავს შევეკითხები,  
ასე უაზროდ რად შეგიყვარე?  
ცაზე მნათობნი აღლუმს მართავენ,  
ლრუბლის აჩრდილებს ჩემთვის იცლიან,  
მაგრამ სადღაა ძილი და შვება?  
მე მარტოობა არ შემიძლია!  
მთელი სამყარო რომ თვალწინ მედგას,  
სიცარიელეს ვერაფრით შველის,  
სანამ არ მოხვალ, რა დამამშვიდებს?  
თეთრ ღამეებთან ჭიდილიც მელის!  
დიდი ხნით არსად გადამეკარევო,  
ნუ მომიკვეთავ გზას სასიცოცხლოს,  
მიდიხარ – ჩემი გულიც თან მიგაქვს,  
ჰოდა, უგულოდ როგორ ვიცოცხლო?

## მაიმედეთ!

წართმეულს და უცხო ტომის სათარეშოს,  
მე ჩემს ბედკრულ საქართველოს ვტირი,  
დღეს თუ ვეღარ დავიხსენით ბრჭყალებისგან,  
ხვალ იქნება სიცოცხლეზე ძვირი!  
მავთულხლართებს გამოლმა და გაღმა მხარეს,  
ძმა ძმას სალამს ვეღარ აძლევს ღვთიანს,  
მერე, ალბათ, უკვე ფასი არ ექნება  
სინანულს და გაღვიძებას გვიანს.  
დღესაც ისევ ყურში მესმის განწირული  
მოთქმა – აკვნად მზოლიარე ჩვილის,  
მებრალება დედა – შავით დათალხული,  
საფლავიც რომ არ ეღირსა შვილის...  
მწარე წარსულს ვეხები და ახლად ვკვდები,  
კვლავ ძარღვებში მეყინება სისხლი,  
როგორ მინდა ვნახო ჩემი საქართველო,  
გულზე მწუხრის არ ეფინოს ნისლი...  
ხსნა რა არის? – ერთი მიზნის მსახურება,  
ხვალინდელ დღეს ეს გვაჩუქებს, მზიანს,  
მოძალადე, შურისაგან თვალდათხრილი,  
ვეღარასდროს მოგვაყენებს ზიანს!  
მაიმედეთ, სანამ კიდევ ცოცხალი ვარ,  
თორემ გულში საავბედოდ მცირა,  
წართმეული საქართველოს ნანგრევებზე,  
ნატყვიარი ჭრილობები მტკივა!

## ისე არ თავალ!

ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან  
ჯაფით მოღლილი,  
გადაუხდელი, უპასუხო  
თან გამყვეს ვალი,  
არც ისე წავალ, საკუთარი  
უსუსურობით,  
რომ ამქვეყნიურ სილალეზე  
მრჩებოდეს თვალი.  
სანამ ვიქნები იმ ცხოვრებით  
უნდა ვიცხოვრო,  
ბოლოსკენ მქონდეს დასაკვეხნი  
ჩემი ბილიკი,  
რომ სიამაყით მიხსენებდეს  
ყველა მოკეთე,  
მტერმაც ვერ შეძლოს უსაბაბო  
ჭორი, ქილიკი.  
ვინც ამ სურვილით გამოივლის  
თავის გზა-სავალს,  
(უფალიც ალარ დააყოვნებს)  
სულით ცხონდება,  
სხვა რაღა არის საიმქვეყნო  
ხსნა და იმედი,  
თუ სააქაოს ყველას ცრემლით  
მ ო ო გ ო ნ დ ე ბ ა?

## მე ჩემი გზა მაქვს!

მე ჩემი გზა მაქვს, ჰოდა, გამიშვით!  
წინ ნუ მიდგებით, როგორც პატარას.  
გადავიღალე, დამცვივდა მხრები  
და ველარ შევძლებ მეტის ატანას.  
მთელი ცხოვრება უღელში ვგმინავ,  
არ მიძებნია გზა საიოლო;  
ახლა თუ ვცდილობ თავის დაღწევას,  
მსურს – ყველაფერი გავიიოლო!  
ოღონდ ვერ დამღლის ხვეწნა-მუდარა,  
მუდამ შევბედო ღმერთს სამოწყალო,  
თუ წავალ, ვფიცავ, გულს აქ დაგტოვებ,  
რომ კვლავ შვილებზე ლოცვით მოვლალო!

## არც არად მიღირს...

### სიმღერა

არც არად მიღირს სიცოცხლე,  
შენ თუ გულს აღარ მიჩვენებ,  
არცა ისეთი სიკვდილი,  
მკვდარსაც თუ არ გამიხსენებ...  
თუ შავსაც მალე გაიხდი,  
თავს არ მაიდებ ლეჩაქსა,  
სჯობს ყვავ-ყორნებმა გამგლიჯონ,  
საფლავმც არ მქონდეს ბეჩავსა!

## სევდიანი სიშორე

მივუყვები ნაცნობ ქუჩას დარღიანი,  
იქნებ სადმე გზაში შემომეფეთო,  
მაგრამ, ალბათ, ძველებურად გამინურები,  
ვერც გავბედავ, კვლავ თვალებში შეგხედო?!

ნარსულს ტანჯვით გავატანე ყველა დარღი,  
შენზე ფიქრებს ვერა და ვერ ვიშორებ,  
ისევ მახსოვს მაგ ბაგეთა სურნელება  
და სულს მაცლის სევდიანი სიშორე...

ვცდილობ, ცრემლი სინანულის არ გაჩვენო,  
დაგკარგე და დაბნეული ვტრიალებ,  
ეს რა მეხად და მუქარად დაიქუხე  
და ცხოვრება როგორ გამიტიალე?!

## ნუ იდარდებ!

ნუ იდარდებ, გაზაფხული  
ისევ გაიკვირტება,  
ნუშებს, თეთრად გადაპენტილს  
დრო რომ აუხირდება,  
შენს ფეხებქვეშ მიმოაფენს,  
ქარს რა გაუჭირდება?!  
ჩემს სურნელსაც გაგიახლებს  
და ნუ გაგიკვირდება...  
მარტო სიყვარული არა,  
ერთმანეთიც გვჭირდება!

## მიუვარხარ, მამი!

ეს ლექსი ჩემი ერთ-ერთი მკითხველის თხოვნით დავწერე,  
რომელსაც მეუღლე დაეღუპა, დარჩა სამი მცირენლოვანი  
შვილი და ახლა მხოლოდ მამას შეჰყურებს იმედის თვალით...

მიუვარხარ მამი! ამ სიყვარულით  
მთელი სამყარო ჩემი მგონია,  
ეს არის გრძნობა, ყველაზე წმინდა,  
თუკი რამ უფალს მოუგონია.

შენი ღიმილი და შენი სითბო,  
მინდა არასდროს არ დამელიოს,  
ძალუმად ძგერდეს მაგ მკერდში გული  
და წლების ჯარი ვერ მოგერიოს.

დღეს სხვანაირად მჭირდები, იცი,  
ხვალის გზა ჩემთვის უფრო ძნელია,  
შენა ხარ ჩემი ციხე-სიმაგრე,  
რადგან მე ძალა გამომელია...

გულგაყოფილი მაინც წინ ვილტვი,  
ეს ბედთან ბრძოლის მწარე უინია,  
დიდხანს იცოცხლე იმედო ჩემო,  
შენ რომ გვერდით ხარ – არ მეშინია!

## შენ, ჩემო პედისცერაო

შენ, ჩემო ბედისწერაო,  
სხვა გზა არ მრჩება, გნებდები,  
კარგ ყოფას დანატრებული  
თვალ და ხელ შუა ვბერდები.

მოვლალე შენთან ჭიდილში  
ყრმობა თუ ახალგაზრდობა,  
წლები უეცრად გამიქრა,  
დროს არ სცოდნია დანდობა!

მაგრამ რა უნდა მენატრა?  
უხვად დავზიარდე ჩვილები  
და ახლა კვალში მიდგანან  
შვილები, შვილიშვილები!

ჰოდა, არ გყვედრი სიავეს,  
სანამ წუთებსაც ამითვლი,  
იქამდე გულს ნუ ამომგლეჯ,  
მერე? – წყალობად ჩაგითვლი!

## პავლოპის მონატრება

ახლა ისევ ჩემს ბავშვობას ვუთვალთვალებ,  
დაღლილ გულში სევდიანად აშლილს,  
ნეტავ მართლა იმ ძველ დროში დამაბრუნა,  
კაკლის ჩრდილში კვლავ გრძელ სუფრას გავშლით.

კიდევ კარგი, გონებიდან არ იშლება  
ლალი წლების სანატრელი ეშიი,  
ისევ მინდა ჩვენს წყაროზე, გემრიელი,  
ცივი წყალი დავაგემო პეშვით.

თვალწინ მიღდგას ჩემი სახლის კოხტა ეზო,  
ურიამული – აწყვეტილი ცამდის,  
ცხელი პურის საოცარი სიყვარული,  
დედის ხელის სურნელი რომ ასდის.

მენატრება მოფერება მშობლიური,  
სინანულის უხვი ცრემლი დამდის,  
დედის ირგვლივ შემომსხდარი ონავრები,  
საამბონი იმ მთისა და ამ მთის.

ნეტავ ისევ მაყრუებდეს ლხინის ექო,  
გოგო-ბიჭებს რომ გვიყვარდა მაშინ,  
როგორ მახსოვს „ია, ვარდო და თამარო“,  
ტკბილი ხმებით გატყორცნილი ცაში.

სხვა განცდით და სხვა სითბოთი რომ გვიყვარდა,  
მე ის წლები მენატრება ისევ,  
ათქვირებულ ატმის კვირტებს რომ ვმსგავსობდით,  
დილის ცვარ-ნამს რომ ვძალავდით ნისლებს.



მე ზამთარიც მენატრება, უხვი თოვლით,  
ბუხრის ცეცხლით ნაბოძები სითბო  
და ბებიას გამოგონილ ზღაპრის ფონზე,  
ცხელი ჩაის სურნელი და სიტყბო.

ეს სიტყბოა, ახლა ტკივილს რომ აყუჩებს,  
იმ წლებიდან სხვა ნუგეში არ ჩანს,  
გავლილია გასავლელი ბილიკები  
და ვინ უწყის, რაოდენი დარჩა?

რა ვიცოდი თუ ბავშვობის ლალი წლები,  
ასე, ცრემლით მატირებდა მერე!  
გაცვდა გული გარდასულის მონატრებით,  
რომ გამიძლოს – სანთლის ძაფით ვკერე!

## როცა...

როცა სულში შფოთიანი ქარია,  
ვერ ერკვევი, ავდარი თუ დარია?  
ახლომახლო შეუცნობი კვალია,  
ვიღაც უცხომ მშვიდი ყოფა არია.  
წლების მიღმა ჩამონგრევის ბზარია,  
ხვალინდელი იმედები მცდარია,  
სიხარული როცა არ გიხარია,  
მაშინ გული სამუდამოდ მკვდარია!

## გვევმვიდობება შემოდგომა

ცა ამღვრეულა, ამ ლურჯ საფირონს,  
შავი ლრუბლებიც უხდება თითქოს,  
დგას შემოდგომა მიმწუხრის ზღვართან,  
ზამთარი ტახტის დათმობას ითხოვს.

მზე დარცხვენილი უმზერს თვალებში,  
სხივს ვეღარ აწვდენს შეფენილ მაღლობს,  
ვეღარ გაუთბობს გაღელილ გულმკერდს,  
ივრის ზეგანს და ალაზნის დაბლობს.

ვაზი – მშვენება შემოდგომისა,  
საუცხოოა, როგორც ორსული,  
ჩვენი ლირსების შნო და დასტური,  
გლეხკაცის ოფლით ფესვებმორნყული.

ძარღვებში შფოთავს, დუღს და ტრიალებს,  
უფლის ხელდასმით აღზევებული,  
მსურს ჩავისუნთქო ხარბად ჰაერი,  
მისი სურნელით გაჯერებული.

შემოურიგა ბეღლებს, საწნახლებს,  
ღვთითკურთხეული კალთის სიუხვე,  
გვემშვიდობება დღეს შემოდგომა  
და ტოვევს იმედს, რომ კვლავ იუხვებს...



## დედა

ლექსად არასდროს აღმიქვამს, რადგან უფრო ხშირად ვმღეროდით...

როგორ დაგვიშორდა გზები?!  
ახლა უფრო მენატრები,  
ახლა, ყოველ ღამე, ტკბილ სიზმრებში გხედავ...  
ვიცი, გეძნელება მარტო,  
ისევ ჩემს ბავშვობას ნატრობ,  
ჩემო ლამაზო და საფიცარო დედა!

გული ისევ შენზე ფიქრობს,  
დარდებს ვიმსუბუქებ თითქოს,  
მიკვირს, როგორ უძლებ სიმარტოვეს ნეტავ?!  
შენზე ფიქრი გულით დამაქვს,  
მე სხვა საფიქრალი არ მაქვს,  
ჩემო ლამაზო და საფიცარო დედა!

\*\*\*

წახველ, გამოგიტირა,  
გულმა – შენმა მონამა,  
სულში ზვავი ჩამონვა,  
თვალი ცრემლმა მონამა...

## მზესავით გაუხუნარი

რა შეაჩერებს ცრემლს, მონატრების,  
მით უფრო, როცა გულიდან მოდის?!  
ელოდე, თუკი იცი, რომ მოვა,  
ელოდე, თუკი აზრი აქვს ლოდინს!

თუ ჭეშმარიტად ჩასახლდა გულში,  
ცაზე ვარსკვლავის მოწყვეტას შეძლებს,  
უკან დარჩება ცხრა მთის სავალი,  
გიპოვის, თუკი უშენოდ ვერ ძლებს!

პირველ სიყვარულს სხვა ეშხი ახლავს,  
გული დაიპყროს – შესწევს უნარი;  
ძალის სიჭარბით ფალავანია,  
რჩება მზესავით გაუხუნარი!

\*\*\*

უფალო, შენი იმედით დავალ,  
ურიცხვი მადლის უხვად გამდებო,  
სიცოცხლის ტკბილო დაგვირგვინებავ,  
მერე სამოთხის კარის გამდებო!

## არსად არ ნახვიდე!

არსად არ წახვიდე,  
სულ მინდა გიყურო,  
ხომ ხედავ, რარიგ მსურს  
მაგ თვალთა ფერება,  
ოღონდაც ნუ მეტყვი,  
მოსულა ასაკი  
და ახლა ეს ქცევა  
არ შემეფერება...

შევხარი ყოველ წამს  
და ყოველ ცისმარეს,  
უშენოდ ერთი დღეც  
არ მინდა სიცოცხლე.  
მე გული ვაჩუქე  
ჩვენს ლამაზ სიყვარულს  
და ასე იქნება,  
სადამდეც ვიცოცხლებ!

\*\*\*

სულ არ მადარდებს სიფიცხე,  
ჩემი მართალი სიტყვის,  
გავა ხანი და უთუოდ,  
დრო თავის სათქმელს იტყვის!

## მე რომ გაზაფხული მიყვარს

მე რომ გაზაფხული მიყვარს,  
სწორედ ისეთია ახლა,  
ნუშის, ტყეემლისა და ატმის  
მძაფრი სურნელი რომ ახლავს.

ისევ გამახსენა ძველი,  
რაც სულს დააჩნდა და ვერ ვთქვი,  
ჰოდა, ამ გაზაფხულს უკვე,  
ყველა ჩემ ნაფიქრალს ვეტყვი!

გულში გამიარა მძაფრად,  
მისი გაღვიძება მეგრძნო,  
იქნებ, მაიძულოს ისევ,  
შენთან დაპრუნება შევძლო...

\*\*\*

როცა გზები გაილევა  
და დადგება განაჩენი,  
მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს –  
სიკვდილს შევხვდე ღიმილმჩენი!

## განა ასე ადვილია?!

ჩემი ქვეყნის სილამაზე,  
მტრისთვის – თვალში მახვილია,  
მოსვენებას რომ არ მაძლევს,  
ნინაპართა ძახილია!  
მთები, მხარგოლიათები,  
ლურჯ ზეცამდე აჭრილია,  
გული, სწორედ, ამ სიმდიდრის  
სიყვარულით დაჭრილია,  
სახლი, კარი, ეზო-ყურე  
საფიცარი ადგილია,  
სხვას დაგუთმოთ სათარეშოდ?  
განა ასე ადვილია?!

\*\*\*

თუ ქმარი გქვია – ცოლს გაუფრთხილდი,  
ნუ გაუხუნებ ხვალის იმედებს,  
უპირველესად, იგი დედაა  
და სხვა დარდისთვის ნუ გაიმეტებ!

## მზესთან გამასაუბრეთ!

სიყვარულით სიანცე  
ვის არ გამოუცდია?  
ტრფობის ეშმაკუნები  
ასაკს აღარ უცდიან.  
როცა სული შეიგრძნობს  
გულის კარის გაღებას,  
ვერვინ დაემალება  
თავზე ხელის აღებას.  
განა დასაძრახია?  
ასე ბრძენსაც უვლია,  
ნლები როგორ მოთოკავს?  
გული მაინც გულია!  
ჰოდა, სიყვარულია  
ფიანდაზს რომ გაგიგებს,  
საამოს და სალხინოს,  
დიდ ცათამბჯენს აგიგებს!  
ვატყობ, ჩემი სიანცეც,  
გულს გზა და კვალს აუბნევს,  
ნუ ჩამკეტავთ დილეგში,  
მზესთან გამასაუბრეთ!

## ღრუბელო

ღრუბელო, მთებზე მავალო,  
ვაჰმე, თუ ცუდი გწადია?!  
რად არ გებრალვის გლეხკაცი, –  
ვაზის ერთგული გადია?

შეხედე, მისი სიმდიდრე  
სულ ორიოდე ადლია,  
მწველი მზე ჩრდილად შეარგე,  
სეტყვად ნუ მოხვალ, მადლია!

გლეხკაცს ნაჯაფარს, მოქანცულს,  
კვალს ნუ დაამჩნევ სიმწრისას,  
რომ ხელალპყრობით გმადლობდეს  
კურთხევას – ცის და მიწისას.

მერე კი, როცა ქვევრ – მარანს  
ზვრების დოვლათი ეწვევა,  
რაც რომ სიკეთე გაიღე,  
სულ მადლად წამოგეწევა!

## სიკეთის ხერგი

მე იმ მუხის ჩრდილში ვზივარ,  
პაპაჩემმა გზად რომ დარგო,  
გამვლელსაც და გამომვლელსაც,  
მზის საჩრდილად რომ მოარგო.

ვზივარ, ჩემს თავს ვეკითხები,  
რას ფიქრობდა ნეტავ მაშინ,  
როცა მუხა გაიზარდა  
და ხედავდა ცამდე აშლილს?!

როცა წლები მოერია,  
აღარც მუხლში ჰქონდა ძალა,  
როცა მკლავი აღარ ჭრიდა  
და სიბერე მოეძალა?!

თუმცა მისი გულის ფიქრებს  
ჩემი გული გრძნობს და ამხელს,  
რომ ამ მუხის სიძლიერე,  
გააკვირვებს ყველა მნახველს.

დალოცავენ მის მარჯვენას,  
ვინც ეს მუხა გაახარა,  
პაპის საქმით იამაყებს  
შვილიშვილი – თვალმახარა.

ყველა უნდა მადლს თესავდეს,  
თვისი საქმით სხვასაც არგოს,  
გაისარჯოს გულიანად  
და სიკეთის ნერგი დარგოს!



მკლავ-მარჯვენით კურთხეული,  
მუდამ თვალში ჰყავდეს უფალს,  
საიქაო ცხონებისთვის,  
ბევრს ეტყვიან ჭირისუფალს...

სული შფოთავს, როცა ზამთრის  
სუსხიანი ქარი უტევს,  
ვეკონები ტანბრგე მუხას,  
პაპის ხელით ნასათუთევს.

მახსენდება მისი სითბო,  
დღენი შრომით რომ გალია,  
სანამ მუხა იშრიალებს,  
ჩემი პაპაც ცოცხალია!

## ბედი – მე რომ მინდოდა

დავალ, დავეხეტები,  
მარტო, დარდის ამარა,  
სული ცისკენ იჩქარის,  
ან შემრჩება, ან – არა...

აქეთ-იქით მახეთქებს  
დღეთა ორომტრიალი.  
ბედი – მე რომ მინდოდა,  
არ დამზავდა, ტიალი...

## ილია

რა მძიმე არის იმ დღის ხსენება,  
როს წინამურთან მოკლეს ი ლ ი ა?!  
მას შემდეგ, თითქოს, ჩემი ქვეყანა  
შავი ძაქებით შემოს – ი ლ ი ა...

სიმართლის ყველა გზა და ბილიკი  
საშვილიშვილოდ დამეწყრ – ი ლ ი ა,  
არავინ არ სჩანს კვალის გამოლები,  
როგორც ავლებდა სწორედ ი ლ ი ა!

ნეტავ, ქვეყანამ პევრი გაზარდოს,  
ვინც მამისა და დედის შვ – ი ლ ი ა,  
მამულს, ენას და სარწმუნოებას  
კვლავ ქომაგობდეს, როგორც ი ლ ი ა !

დავცოტავდით და მოვწყდით სამყაროს,  
ყველა სარკმელი ჩაკეტ – ი ლ ი ა ,  
ერის მოძღვარი გვინდა ისეთი,  
როგორიც გვყავდა დიდი ი ლ ი ა!

დღეს ზღვარი, ქვეყნად ტყუილ-მართალის,  
არვის ადარდებს, სულ წაშლ – ი ლ ი ა,  
ქართველებს ერთი ბრძენკაცი გვინდა,  
ისეთი, როგორც გვყავდა ი ლ ი ა!

## მეუღლეს

ყოველთვის გახსოვს, ვისი გორის ხარ,  
სამშობლოსათვის იქცევი ნაცრად,  
შენ სულში გიზის ეს სიყვარული  
და სხვებისგანაც მოითხოვ მკაცრად.

გიყვარს ისეთი თავდავიწყებით,  
სიცოცხლე, მუდამ, გილირდა არც რად,  
მე მიხარია, ჩემი რომ გქვია,  
რომ დაიბადე გულიან კაცად!

## გემრიელი ლუკა

ამ წუთისოფელს შრომა ამშვენებს,  
შთამომავალსაც ასე აპურებ,  
მიწა მოსავალს არ გაიმეტებს,  
თუ თვით მიწასაც ოფლს არ აპკურებ.

მკლავით და მუხლით თუ არ ეცადე,  
გზას, გასაკვალავს, ხავსი ედება,  
სხვის ნაოფლარზე ლხინს ვერ გამართავ  
და თუ გამართავ – არ შეგერგება!

თუ ჭეშმარიტი გზის ხარ მძებნელი,  
სადაც საქმენი უხვად გელიან,  
თვითონ იშოვი ლუკმას, რომელიც  
ყველა ლუკმაზე გემრიელია!

## მოვდიოდი...

მოვდიოდი, ვიჩქაროდი ნახვას,  
შორიდანვე შეგასწარი თვალი,  
დაგინახე ანგელოზის ფრთებით,  
შვლის ნუკრივით მშიშარა და მფრთხალი.  
დამიღამდა, არსად ჩანდა მთვარე,  
ვარსკვლავებიც გაფერმკრთალდნენ ცაზე,  
მაგრამ წყვდიადს სიყვარულით ვძლიე  
და გიპოვე მაგ მთრთოლვარე ხმაზე.  
ახლოს მოვედ, დაგიკოცნე ბაგე,  
დავივიწყე, რაც გადაგვხდა გუშინ,  
გადამრია მოფერებამ შენმა...  
ბოლოს ჩუმად ჩაგეკარი გულში!

\*\*\*

გული თბილია,  
ცად გაჭრილია,  
ყველას ამ გულით ვათბობ!  
სულიც ტკბილია?  
სულ ტყუილია!..  
ერთ დროს უომრად დავთმობ!

## მამის საფლავთან

რა საშინლად შემომესმა ზარის რეკვა?!  
თითქოს, უკვე, ყველაფერი გათავდა!  
ახლა, როგორც დამნაშავე, ისე ვდგავარ,  
ყვავილებით მიმოქარგულ საფლავთან.

მიცქერიან და აფრქვევენ ისევ ალერსს,  
ნაადრევად ბნელში მიმომქრალები,  
რამდენ დარდს და რამდენ ტკივილს მიახლებენ,  
მშობლიური, შუქით სავსე თვალები?!

ეს სურათი კვლავ მახსენებს ჩემს პავშვობას,  
ვხედავ მამას ფიქრიანს და უძილოს,  
გულს მიკუმშავს გატეხილი ღამეები,  
ღამეები – ულევი და უძირო.

ვერ ვუშველე, როცა ტკივილს გაურბოდა  
და უმძიმდა შვებით თვალის გახელა,  
ვერ შევძელი განაჩენთან გამკლავება  
და ამ დარდმა, თითქმის, გამანახევრა.

ცარიელი სულით დავალ და დავეძებ,  
მონატრება როგორ უნდა დავძლიო?  
მტანჯავს მისი ავბედითი ბედისწერა,  
ლამის ფიქრებს გული შემოვალიო!

## სიყვარულის ზღაპარი

ჩაგეკარი სიმორცხვით,  
როგორც მფრთხალი ბელურა,  
ეგ ძლიერი მკლავები  
ტანზე შემომებურა.

ისე თბილი მეჩვენა  
შენი ხელისგულები;  
ნამში ერთად გავქვავდით  
სუნთქვაგაპარულები...

სიყვარულის ზღაპარი,  
მუდამ ასე იწყება,  
იყო აღფრთოვანება,  
იყო თავდავიწყება!

დრო წუთს აღარ გვაცდიდა,  
გვაჩქარებდა თავხედი,  
ბედისწერის განგებით,  
ჩვენც ერთ ნავში ჩაესხედით!

ისე ჩაცხრნენ ტალღები,  
ვერაფერი გავიგეთ,  
სალხინო და საბარტყო,  
თბილი ბუდე ავიგეთ.

გამოვზარდეთ მერცხლები,  
ლალი, ფრთაგაშლილები,  
ჯერ ლამაზი შვილები,  
მერე – შვილიშვილები!

სიყვარულის ზღაპარი,  
დღესაც ასე გრძელდება,  
ერთმანეთის იმედით,  
გზა არასდროს ძნელდება!

### გზა მიძღვდება...

გზა მიძნელდება,  
უკვე ბნელდება,  
მზარავს უკუნი ღამე,  
მაჯა ნელდება,  
შიში ხელდება,  
ნუგეშის არ ჩანს რამე...

დარდის ბრალია,  
გული დალია,  
ჭირი რამდენიც ვმალე,  
რაც კი რამ იყო,  
წლებმა წაიღო,  
მეც გავფრინდები მალე!

## რატომ მძინარებ ტკივილო?

ფეხდაფეხ დამდევ, როგორც მწევარი,  
რამდენჯერ უნდა შემოგჩივილო,  
მთელი ცხოვრება ვერ მოგიცილე,  
რატომ მძვინვარებ ასე ტკივილო?!

ხან აღმართს მწიე უბედურება,  
დალმართზე წინაც გადამისწარი,  
ფხიზელი თვალით ჩასაფრებულო,  
ერთხელ გაქცევა ვერ დაგასწარი!

რა არ გადამხდა შენთან ჭიდილში?  
აღმართ-დალმართი ახლაც ბევრია,  
მაინც კლდესავით ურყევად ვდგავარ,  
თუ კი სიბერე არ მომერია...

## მოხველ, გაზაფხულო?

მოხველ, გაზაფხულო? – ო, როგორ გელოდი?!  
ლოდინით კინაღამ გული სულ გათავდა,  
სუსტ მხრებზე მეყარა თოვლი და ნამქერი,  
ზამთარი სუსხიან მეჯლისებს მართავდა.

მოწყენით გნატრობდი, სხვა ფიქრი მტანჯავდა,  
ვშიშობდი სიშორეს და დღეებს ვითვლიდი,  
მომავლის რწმენით და იმედით მაცოცხლე,  
თორემ გზებს – უკვალავს, როგორლა ვივლიდი?

შემხედე, დღეს ისევ ლალი და მშვიდი ვარ,  
შევხარი მზის სხივთა სითბოს და ნათებას,  
ახალი სიცოცხლით ხმაურობ ძარღვებში  
და დრო რას შემშედავს ასაკის მატებას?

მოხვედი? – გამშორდა შიში და სიცივე,  
წლები თუ დამჯაპნის, როგორმე ავიტან,  
შენ ასე მალალე... და ამასობაში,  
ცხოვრების ლელოსაც ბოლომდე გავიტან!

## ალალი იყოს!

ჩამოვილვენთე, როგორც სანთელი,  
გულში დაისის ცეცხლი ანთია,  
სიზმარშიც აღარ მსტუმრობს წარსული,  
ძილგატეხილი ვხვდები განთიადს.

შენ ხარ მიზეზი ჩემი წამების,  
უკვე აღარ ღირს თავის მართლება,  
დაინგრა ის, რაც ვაშენეთ ერთად  
და უფსკრულისკენ მიემართება...

მე ვალიარებ ჩემს დამარცხებას,  
(უძლურის ცოდვით ქვანიც იწვიან)  
ხომ დაიჯერე, როგორ მიყვარდი,  
დღესაც უშენოდ არ შემიძლია!

გაიგოს ყველამ, რა მკლავს, რას ვებრძვი,  
უსუსურობის განცდა მაწვალებს,  
გული, რომელიც შენ გეკუთვნოდა,  
შეუბრალებლად ამომაცალე...

ჰოდა, წაილე! ალალი იყოს!  
დარდი სნეულში ველარ ეტევა,  
მერე რაა, თუ არ გაუფრთხილდი,  
მე მაინც სხვისთვის არ მემეტება!

## გამოვიდარე...

მზე თითქოს ჩაქრა უსასრულო  
ცის კაბადონზე,  
მთვარემ სამოსად შემოირტყა  
შავი ღრუბლები,  
არ ციმციმებენ ვარსკვლავები  
უკიდეგანოდ,  
აღარ ჰყვავიან ქუჩის ბოლოს  
ის ალუბლები.  
მტვერი დაედო ნაფეხურებს,  
დაიგვიანე,  
გზა მოპრუნების სამუდამოდ  
დანისლულია,  
ნეტავ თუ ღირდა ის უაზრო  
აკვიატება,  
რომლის მიზეზით მომავალი  
დაკარგულია?!  
მორჩა, გათავდა! აღარ ვტირი,  
არც შენ მეძებო,  
ახლა წარსულზე გლოვისათვის  
აღარ მცალია;  
გამოვიდარე, თავი უნდა  
გადავირჩინო,  
რადგან სიცოცხლე მეტკბილება  
ასე ძალიან!

## საქართველო აღარ არის ჩემი!

საქართველო აღარ არის ჩემი,  
ჭირი უკვე თავს ვეღარსად მალავს,  
წინაპართა სისხლით მორწყულ მიწას  
ვიღაც უცხო უსირცხვილოდ მპარავს.

დაცოტავდა, ჯერ ისედაც მცირე,  
როგორ შევძლო შეგუება ახლის?  
აქ ყოველი წართმეული გოჯი  
გულში ტყვიას დამიზნებით მახლის!

მანუგეშეთ, ცოცხალი ვარ ვიდრე,  
ყავლი გასდის მოთმიწების მარაგს,  
ხვალ შვილები რას გვეტყვიან ნეტავ,  
მტერს რომ ვუთმობთ ჩვენს სამკვიდრო ალაგს?!

## რა გაეცყობა?

როგორ შევნატრი გარდასულ დღეებს,  
მაგიუებს დარდზე დარდის მატება;  
ცხოვრებას მინგრევს შეუბრალებლად,  
უაზრო ფიქრთა აკვიატება.

ბევრი ვეწვალე და ვპოვე ძალა,  
ცა, დამხობილი, ხელით ავწიე,  
მწარედ დავზავდი ფიქრებს და ... მაინც  
ბოლომდე თავი ვერ დავალნიე.

რა გაეწყობა? გზას ბედისწერის,  
უფალი ჩვენი არ გვიდგენს მხოლოდ,  
თვითონ ვინამღავთ სულის საწყაოს,  
ასე, წვეთ-წვეთით, მოგვიღებს ბოლოს!

## რა ვუთხრა პაპას?

დაუანგებულხარ, ძველო სახნისო,  
ახლა რაც გტკივა, მე კარგად ვიცი;  
გიერთგულებო! – შეგპირდა პაპა,  
მაგრამ, საბრალომ, გატეხა ფიცი.

რა უნებლიერ დაგტოვა გზაში?!  
ნუ იტყვი დაგთმო... ბედის ბრალია,  
სწორედ მიტომ, რომ აღარ ხართ ერთად,  
ყველა ბილიკი გაუვალია!

მე კი თან დამდევს მისი აჩრდილი,  
მუდამ სოფლისკენ გვიხმობს თავისებს,  
დღეს უფრო მტკივა, წყვილად ხარები,  
უღელს შეპმულნი, რომ გაასხვისეს...

მას მერე ბევრმა წყალმა იარა...  
იმედით მიმზერ, მე მოვალ როდის?  
ვერ შეგპირდები... ვერ გაგიმეტებ,  
ფიქრით შეაკვდე უაზრო ლოდინს.

გული კი – გბრალობს და ენანები,  
ვაი, თუ მართლა უანგმა შეგჭამოს?!  
რა ვუთხრა პაპას, რით გავახარო,  
შრომით მოღლილს რომ გულზე ეამოს?

ვერაფერს ვეტყვი, ტყუილს ვერ ვკადრებ,  
დღეს სინამდვილე ცხადზე ცხადია!  
დაცარიელდა ყველგან სოფლები,  
ისე ვპატრონობთ, მტერს რომ სწადია...

## ცეტისოფლის ნარჩავალობა

ჩამოკაწრულო სულის სიმებო,  
ჩამოფლეთილო გულის პერანგო,  
ნუ მემუქრებით ასე უმნეოს,  
დედის ტკბილი რძე უნდა შემარგოთ!

გადამავიწყეთ, თუ რამ გადამხდა,  
შემაგრძნობინეთ ბედის წყალობა,  
რომ წამდაუწუმ არ მაფიქრებდეს,  
ამ წუთისოფლის წარმავალობა!

## წავიდა, გადაიქროლა...

წავიდა, გადაიქროლა...  
სულში უკუნი ბინდია,  
შენ ვერც კი ხვდები, მე რა მკლავს,  
გულში რა ცეცხლი მინთია?!

დღეებმა, ნათრთოლვარებმა,  
უკვალოდ გადაიარა,  
მე სახლის კარი გაგიღე,  
გულის კარები კი – არა!

## რაც იყო და არ იყო...

მწარე ცრემლთა გორებით,  
მზე ღრუბლებზე მჯდარიყო,  
მე კი შენზე მოვთქვამდი,  
კვლავ საშველი არ იყო.

წვიმდა გულის ხეთქებით,  
მონუგეშე სად იყო?!  
წლებმა ხოხვით მატარა  
და სიცოცხლე გამიყო.

განა ასე გავძლებდი?  
გული ჩემი მკვდარიყო,  
ცრემლის დენა რას ცვლიდა?  
ყველაფერი ცხადიყო.

ვძებნე სულის ნუგეში,  
რომ მეგონა არც იყო,  
თურმე ბედი, ილბალი,  
გარეთ, კართან მდგარიყო.

გაჩნდა ხსნა და იმედი,  
სხვა... წარსულმა წაილო,  
გული ისევ გაცოცხლდა,  
კვლავ წყალობა გაილო,  
წამში გადამავინყა,  
რაც იყო და არ იყო...

## ნეტავ რა იქნება ხვალე?

არა, ვერ ვიქნები მშვიდად,  
ვფიცავ! შენს სიყვარულს ვფიცავ  
ჩემო წუხილო და დარდო,  
ჩემო გაყიდულო მინავ!

მტკივა, ო, რა ძლიერ მტკივა,  
ტანჯვით გამოვლილი გზები,  
როგორ შევეგუო შენს ბედს,  
უკვე მერამდენედ კვდები?!

ისევ თავგანწირვით ეძებ  
თბილ და იმედიან სიტყვას,  
დრო კი უსაშველოდ დიდობს,  
ნუთუ გალოდინებს დიდხანს?

მტრობის, ღალატის და ჯვარცმის,  
ჰოი, რა დღეები თვალე?!  
ნამით არ მშორდება ფიქრი,  
ნეტავ რა იქნება ხვალე?

## ღმერთო, არ ჰპოვოს სასრული!

თავი იჩინა გლეხკაცის  
გამრჯე მარჯვენის ძალამა,  
გულმკერდზე გადაიყარა  
ჯეჯილი პურის ყანამა.  
ზეცამ წყალობის მადლი ჰყო,  
მიწა გულუხვად დანამა,  
გაავსო ქვევრი, მარანი,  
მტევანმა, ლალისთვალამა.  
მრავლობენ ჰაპის ფუძეზე,  
რა ლხინი ნახა თვალამა?!  
ბიჭს ტოლი ალარ დაუდო  
გოგონამ – მთვარისთანამა.  
ღმერთო, არ ჰპოვოს სასრული,  
მოლხენამ ჩვენისთანამა,  
რაც ჭერქვეშ დავაპინავეთ,  
შეგვარგოს შენმა ძალამა!  
დოვლათითა და სიუხვით  
მთები ათეთროს ფარამა,  
პირი იბრუნოს მტრისაკენ  
ყველა ჭირმა და ვარამმა!

## ჩემს მაგდას

მოდიხარ და ალამაზებ ქუჩას,  
თმათაფლა და ზღვისთვალება ქალო,  
როგორ ვშიშობ, შენი თავი არ წამართვან,  
ცხრა მთას იქით უნდა გადაგმალო!  
ჩვენს ქუჩაზე დღე და ღამე ხმაურია,  
რა გაფანტავს თავსმოხვეულ იჭვებს?  
თუმცა მე რომ ასე ვიწვი მაგ სინაზით,  
რა ეძრახვით გრძნობააშლილ ბიჭებს?

## მეგატიანე

ბევრ ქარცეცხლიან დრო-ჟამს გაუძლო,  
მტრებმა ათასგზის გაატიალეს,  
ყველა წუხილზე, დარღზე, ტკივილზე,  
გულდაგულ წერდა მემატიანე.  
წერდა შუღლსა და გაუტანლობას,  
ძმა ძმის სიცოცხლეს როგორ სწირავდა,  
როგორ ითმენდა ქვეყანა შიმშილს,  
მძიმე უღელქვეშ როგორ გმინავდა.  
წერდა დაცემას და გამარჯვებას,  
წერდა ყოველთვის ძველსა თუ ახალს  
და ამიტომაც წარსული მძიმე  
მარადისობად შემოგვინახა!

## თუ მოსვლა გიცდა

ვერ შევეგუე იმ განშორებას,  
გულზე ლოდივით მაწევს სიმძიმე,  
ვერა და ვეღარ გამოვიდარე,  
მწველი დარდების წვიმად ვიწვიმე.  
გელი და ისევ მასკდება გული,  
როგორი მძაფრი განცდა აქვს ლოდინს?!  
თუ მოსვლა გინდა, იჩქარე, თორემ  
მგონი, შენ ნაცვლად ვიღაც სხვა მოდის...

## მასწავლებლისადმი

ლექსი მივუძღვენი ჩემს პირველ მასწავლებელს  
– ლუბა დიდბარძეს; ეს იყო ჩემი პირველი  
პუბლიკაცია... უურნალი „პიონერი“ 1977 წელი

როცა ჩამესმის შენი ტკბილი ხმა,  
შენს მღიმარ სახეს როდესაც ვუცქერ,  
სითბოთი სავსე სიტყვა ყოველი  
მაღამოსავით მედება გულზე.  
შენი ღიმილი დედის ღიმილს ჰგავს,  
შენი ალერსი ჩემთვის ნანაა,  
ის, რასაც თესდი ამდენსანს, ახლა  
აღელვებული მწვანე ყანაა!

## მე არ ვპერდები!

რა მსუბუქია ჩემი გზის ტვირთი?!  
მხრების სიმძიმე არ შემიგრძვნია.  
სიყვარულია თავი და თავი,  
ურომლისოდაც არ შემიძლია!

ნეტარებისგან მეცხრე ცას მივწვდი,  
ზღვა ნაბიჯებით გადამივლია,  
სულ თან დამდევდა ყველა წყალობა,  
რაც კი ცხოვრების შნო და ხიბლია.

დრო უცებ გარბის, წლები ჩქარობენ,  
მე კი ფხიზლად ვარ და არ ვნებდები,  
სიყვარულია ჩემი წამალი,  
მისი „პრალია“, რომ არ ვბერდები!

## ჩემია!.. გესმით?

საუკუნეთა ქარცეცხლგამოვლილ,  
ძველ ტაძრებს დარდის თვალებით ვუმზერ,  
რამდენი ლოდიც ჩამოვარდება,  
იმდენი ბზარი მიჩნდება გულზე...

ძველ იარებზე თვალის შევლებით,  
ჭრილობა კიდევ უფრო ღრმავდება,  
ქვათა ცვენას და კვალის გაქრობას  
გული როდემდე გაუმკლავდება?

ვდგავარ მდუმარედ, მუხლის მოდრეკით,  
სულის ნაწილი აქ დამრჩენია,  
ნუ მემუქრებით, მაცალეთ ლოცვა,  
გარეჯის მინა მხოლოდ ჩემია!

ჩემია! გესმით? ჰ ე ი, მზაკვარნო!  
ბრძოლის წყურვილი ალარ ნელდება,  
ქართველს სისხლში აქვს სამშობლოს ბედი,  
თავს შეაკლავს და არ დანებდება!

## განა რას გთხოვ?

განა რას გთხოვ? –  
მხოლოდ ორ თბილ სიტყვას,  
შეშლილი ვარ,  
მომაბრუნე გზიდან,  
კენწეროზე  
ნაშენები ბუდე,  
მითხარ, რატომ  
ჩამომიგდე ხიდან?  
გამეტებით  
დამანარცხე მიწას,  
როგორ მტკიცა  
მომსხვრეული ფრთები?!  
ცაზე მნათობ  
მზეს და მთვარეს ვგავდი,  
ახლა სუსტი  
ვარსკვლავივით ვქრები...  
მერცხალივით  
ჩემს ძველ ბუდეს ვეძებ,  
მოსთქვამს გული,  
გული ერთი ციდა,  
გევედრები!  
შემაშველე ხელი,  
სანამ დროა,  
მომაბრუნე გზიდან!..

## ანიტა

ეძლვნება პატარა ანიტა ფაცაციას ხსოვნას,  
რომლის გადარჩენას მთელი საქართველო ევედრებოდა უფალს

გემშვიდობები, ჩემო პატარავ,  
კიდევ არ მჯერა, ახლა რაც ხდება!  
ნუ შეშინდები, ალბათ უფალი,  
სამოთხის ღია კართან დაგხვდება.

მჯერა, ეგ შენი უმანკო სული,  
ლალად დაფრინავს უკვე ზეცაში,  
იმდენჯერ გატყდა რწმენის სიმტკიცე,  
მე არა დამრჩა სულის შვებაში.

შენ ანგელოზის ფრთები გაქვს ახლა,  
არაფერს შეცვლის ცრემლი და გლოვა,  
ნუ გეფიქრება, დადგება ის დროც,  
შენი დედიკო როს შენთან მოვა...

როგორ მჯეროდა ბოლო იმედის?!  
არ მიკვირს, სული რად მეხუთება,  
ყველა იმ დედის ტკივილი მტკივა,  
შვილს რომ ვერასდროს ჩაეხუტება...

## ალაზანს

ალაზანო, მადლიანო,  
რად შფოთავ და ხმაურობ?  
ეგ ხმა უფრო ნანას მოჰვავს,  
ტკბილს და სააქაუროს.  
ენატრები ბალ-ვენახებს,  
სიცხისაგან ურვილებს;  
მზით დამწვარი იარები  
ცივი წყალით უგრილე!  
შედი ზვარში, გაიხაროს,  
კვალს რომ აედევნები,  
ფესვებიდან, რქების გავლით,  
მსხვილდებიან მტევნები.  
მწიფდებიან, შაქრდებიან,  
შენგან განაბევრები,  
მერე პაპის ძველ მარანში  
ივსებიან ქვევრები.  
დადუღდები, სიკამიამით  
გაეცლები ცხაურებს,  
შეგსვამს, გული ამლერდება  
და ჭერს აახმაურებ!  
ასე! მუდამ იბობოქრე,  
გვალვამ რომ არ იშაროს,  
შენი მადლი და სიკეთე,  
ღმერთმა ნუ მოგვიშალოს!

## ცეტავი, ისე არ მომკლა...

დღეს დრო ისეთი დაგვიდგა,  
ძნელია კაიკაცობა,  
ალალმართალს და გულიანს,  
ცრუმ და უგულომ აჯობა...

ტაშის დაკვრით და ლაქუცით  
ბევრი გამხდარა საჩინო,  
ნიჭი და განსწავლულობა  
სულ ალარ არის საჭირო!

ვისაც სად უჯობს, იქ არის,  
სწორედ იმ ამქარს ემხრობა,  
ერთურთის მტრობა-ქიშპობით  
ქვეყანა თავზე გვემხობა!

მე კი ...რა გულით მწადია,  
რომ ერთი გვეონდეს მიზანი,  
დაბრუნდეს ყველა ქართველი, –  
უცხო მიწა-წყლის ხიზანი!

ერთად ვაშენოთ სამშობლო,  
ლალი, ამაყი იერით,  
მტერი ახლო არ მოვუშვათ,  
მუხანათი და ცბიერი!

მაგრამ ვაი, რომ შიში მაქვს,  
ყველას გავუღეთ კარები,  
მგონია, ახლა ის დროა,  
განგაშის დავკრათ ზარები.

თორემ საფლა გვაქვს სამშობლო,  
წინაპართ სისხლით ნამული,  
ამდენი გადამთიელით  
დაგვიცოტავდა მამული!

კარგს აღარაფერს გვიქადის  
უცხოტომელთა თარეში,  
ქართული თითქმის არ მესმის,  
ჩემს სათაყვანო მხარეში?!

მერე რააო? – მავანნი,  
თვალებში ნაცარს გვაყრიან,  
ურცხვად გაყიდულ სამშობლოს,  
სამარის მიწას აყრიან?!

ღმერთო, სიმართლის მეგზურო!  
რად იგვიანებ, სადა ხარ?  
ნეტავი ისე არ მომკლა,  
ქართველთ ერთობა მანახა!..

## სიყვარულის ანა-ბანა

მზის სხივები დაიფინა ზეცამ გულზე,  
პირმცინარი ჩემს სარკმელში კიაფობს.  
უკითხავად შემომეჭრა და ჩურჩულით,  
სიყვარულის ანა-ბანას მიამბობს.

რა დროს ანა-ბანა არის, გავიზარდე,  
ახლა უკვე სხვა აზრები მსტუმრობენ,  
გავიარე გასავლელი ბილიკები,  
ნაგროვები წლები აღარ ხუმრობენ.  
ახლოსა ჩანს სევდიანი შემოდგომა,  
ფიქრი გულზე დარდად შემომახვია,  
ნამიც აღარ მემეტება სიშორისთვის,  
უშენო დღეს სიცოცხლის დღე არ ჰქვია!

## რწმენა და გეპარგა, ღმერთო!

რწმენა დამეკარგა, ღმერთო,  
ოღონდ შენი არა, კაცის,  
ძმობას, მეგობრობას ვტირი,  
რაღაც წვრილმანებზე გაცვლილ.  
გულში გაჩენილი ბზარი,  
ნდობას სამუდამოდ მაცლის,  
მერე ფიანდაზი ფეხქვეშ,  
უკვე აღარაფერს არ ცვლის!

## პუნეპის ცესი

ვიცი, ბუნების წესია,  
მთაში ლალობა არწივის,  
მე მსხვერპლის ბედი მაწუხებს,  
ბოლო ხმაზე რომ გაჰკივის.  
რა დღე ჰქონია საბრალოს?  
მას უმწეობაც ეყოფა!  
ღმერთო, არიდე ხიფათი,  
თუ რამ წინ გადაეღობა.  
ვინ ნახა შიში არწივის,  
ან გასწორება მთა-ბარის?  
როცა ძლიერი ძალადობს,  
იქ სამართალი სად არის?

## სულ ვფეიზლობ

სულ ვფხიზლობ, ავთვალს არ ვნებდები,  
გარშემო ურიცხვი მტერია,  
სიკეთის მარცვალი ვაუხვე,  
სიცოცხლე სხვა არაფერია!

გული მაქვს თბილი და მოწყალე,  
ვარიგებ, რაც მომეპოვება,  
სიამით რომ გავიხანგრძლივო,  
ისედაც ხანმოკლე ცხოვრება.

უპოვარს ვაჩუქე იმედი,  
რომ შეძლოს კვლავ ფეხზე დადგომა  
და უფლის ნაბოძი მადლიდან,  
მეც ვპოვო მეორე ალდგომა!

## ჭაღარი

გაზრდილა პატარა ჭადარი,  
ფანჯრის წინ მზის სხივს რომ მიჩრდილავს,  
თამამად გაჭრილი სივრცეში,  
ოცნების ზეცაში მიფრინავს.

დღეს სხვა დღე გათენდა, გულცივი  
და ზამთარს მუქარა ალმოხდა,  
ჩუმ-ჩუმად ჩამოდნა ლრუბლები,  
ცრემლები ცას დინჯად ჩამოსწყდა.

ვუყურებ, თვალს ვეღარ ვუსწორებ,  
ასეთი განცდა არ მქონია,  
რა ჩუმად გაზრდილა ჭადარი?!  
მე ისევ პატარა მგონია!

ფესვები ქორფა გაქვს, ჭადარო,  
მზისკენ რომ იჩქარი, არ სცხრები,  
თუ ქარმა დაპერა, შიში მკლავს,  
ძირს მწარედ რომ დაენარცხები...

მე ხომ შენ ოცნებით შეგხარი,  
იმედი რომ არ გამინპილო,  
ლონივრად გაიდგი ფესვები,  
რომ ისევ მზის სხივი მიჩრდილო!

## ჩემი ლეიტონი

ამ ცხოვრების გზასაძნელოს მივდევ,  
არ მემძიმა, მემსუბუქა თითქოს,  
რადგან ვგრძნობდი შემწეობას უფლის  
და გულუხვად მომადლებულ სითბოს.  
ლხინი მიდგას სანატრელი მუდამ,  
სიხარულის გაშლილი მაქვს ფრთები,  
როცა ყველა ხმაშენყობით გალობს,  
თითქოს მართლა ბანს აძლევენ მთები!  
ბნელ უფსკრულში იძირება დარდი,  
სიმშვიდეს ვგრძნობ ზეცის წმინდა ფერის,  
სხვისი ჭერიც მაღლა იწევს, როცა  
ჩემს ეზოში სალამური მღერის!

## ყველაზე მთავარი

რა საოცარი ბედის ვყოფილვარ?!  
ნათელი მომდევს წინაპრის კვალის,  
მაგრამ როგორც კი წელში გავსწორდი,  
სამიზნე გავხდი ბოროტი თვალის.  
ყელში მიჭერენ, სულს მიხუთავენ  
და ნაჭერ-ნაჭერ ხორცებს მათლიან,  
ვერ გავიმეტებ თავს საპაექროდ,  
თუმცა ვიცი, რომ სუსტად ჩამთვლიან.  
მე ეს სისუსტე სულ არ მადარდებს,  
თვით მტრობისთვისაც ვარ მადლიერი,  
ჩემთვის ყველაზე მთავარი არის,  
რომ უფლის თვალში ვიყო ძლიერი!

## „ორი მუზის მსახური“

პასუხად ბატონ თემურ ჩალაბაშვილს

როგორ გაუსაძლისდა  
ცხოვრება უსახური,  
ამიტომაც შევიქმენ  
ორი მუზის მსახური!  
ჯერ ისედაც მოკლეა  
ტანჯვის წუთისოფელი,  
ავი ავს ენაცვლება,  
კარგს კი... აღარ მოველი.  
ხან ლექსს ვიტყვი დარდიანს,  
ხან დამცდება სიმღერა,  
გული როგორ გაუძლებს,  
თუ არ ამოიმღერა.  
თვალი უნდა ვარიდო  
შავღრუბლიან დაისებს,  
ლექსია თუ სიმღერა  
ყოფას გამიმაისებს!  
ამ გზით უნდა ვიარო,  
სანამ ფერი გახუნდა,  
ორი მუზის სამსახურს  
არაფერიც არ უნდა!

## ჩემი სიცოცხლის ზეცა

მე სხვანაირად ბედნიერი  
ვიყავი ერთ დროს;  
წლები ვაგროვე – ანთებული  
გულით ნაფერი,  
მეცხრე ცას მივწვდი სიყვარულით,  
დარდის არ მქონე,  
ჩემი სიცოცხლის ზეცა იყო  
მუდამ სხვა ფერი!  
დღეს კი ფიქრებით კვლავ იმ დღეებს  
ვეხმიანები,  
ნარსულს ვერასდროს ვერ ალვიქვამ  
მიმქრალ დაისად,  
მთელი სამყარო ხელისგულით  
შემომატარა  
და თვით სიცოცხლე ზღაპარივით  
გამიმაისა!

## მადლობელი ვარ!

ვუთვალთვალებდი ღრუბლებს ცის თაღზე,  
სადაც უფალი მეგულებოდა,  
როგორ მინდოდა ხელით შეხება,  
ავფრინდებოდი, რომ შემძლებოდა...  
შემკრთალდა ზეცის სხივთა ნათება,  
მზისა და მთვარის გაქრა სინაზე,  
მეგონა – მცდიდა მოთმინებაში,  
ნანატრი ბედი თვლემდა ჯინაზე.  
...და მაინც არ ვარ ღვთის უმადური,  
ცას ვარსკვლავები უხვად არტყია,  
მადლობელი ვარ, რაც გამაჩნია,  
ამაზე მეტი არც მინატრია!

## ცუ დაიდარდეპ!

როცა ტკივილი გლრღნის და გაწვალებს,  
სულში კი ზამთრის ცივი ქარია,  
რაც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს,  
აღარაფერი არ გიხარია...  
თუ კი გონებას უკლებლივ ახსოეს  
დღეები – მზისებრ სიცოცხლით სავსე,  
გულის ძაფს გიგლეჯს ნარსულის ექო,  
და უფრო მეტი ტკივილით გავსებს.  
თუ გაქრა გულის ხმა და სილალე,  
აწმყოსთან შერწყმა თუ გაგიჭირდა,  
ნუ დაიდარდებ, იბრძოლე მაინც,  
ნარსულის ფასად სიცოცხლე ღირდა!

## ვერგამსელი ტკივილი

გული ვერავის მივანდე –  
გაეგო ჩემი ჩივილი,  
ლამის სამარეს მიმზადებს,  
ვერგამხელილი ტკივილი.

მლენა, ძვალ-რბილში მამტვრია,  
ვერ ავცდი რკინის მარწუხებს,  
ბრძოლაში რომ ვერ ვიმარჯვე,  
ეს უფრო მეტად მაწუხებს...

ყელზე მომაპა მარყუჟი,  
მათრახი გადმომიჭირა,  
მაგრამ სიცოცხლის წყურვილით,  
თავი უშიშრად მიჭირავს!

მეგონა, გაქრა ბოროტი,  
ამაოდ ვძებნე სიმშვიდე,  
სული, სიკეთის მსახური,  
ვერა და ვერ დავიმშვიდე...

უფრო მაშინ მაქვს საცრემლო,  
თუ გზები მოკვეთილია,  
მაგრამ თვით მწარე სიცოცხლე,  
ამ ცრემლებითაც ტკბილია!

## როგორ დავაჭრო?

ვინც თქვა, სიყვარულს მაღვა უნდაო, –  
მისი გულისთქმის არ გამეგება!  
როგორ დავმალო თივაში ცეცხლი,  
როცა წამშიც კი ყველგან ედება?!

ან ჩირალდანი როგორ ჩავაქრო,  
როცა ვიცი, რომ ჩემთვის ანთია,  
ღამეს მინათებს ძილგატეხილი  
და მილამაზებს ყველა განთიადს!

რა ვუყო უცებ მომსკდარ ნიალვარს,  
რომ მოღელავს და ყველაფერს არბევს,  
მერე მდინარედ ადიდებული,  
ყველა ჯებირს თუ ზვირთებით ანგრევს?!

ანდა რა ვუყო ზღვას, ალელვებულს,  
ტალღათა რიგი რომ ალარ წყდება,  
როცა თვალიც კი შიშობს დანახვას,  
ცოფიანი რომ ნაპირს ასკდება...

ქარიშხალს როგორ დავუხვდე მედგრად,  
ან ფრთხები ჩუმად როგორ გავშალო?  
ვიცი, ერთხელაც დასცდება ენას,  
რომ გულის აფრა უნდა ავშალო!

არა! ვერ შევძლებ, ვეღარ დავმალავ!  
მე სიყვარულმა მიბოძა ფრთხები.  
მაინც გაიგებს მთელი ქვეყანა,  
მეცხრე ცისაკენ რომ გავფრინდები...

ჰოდა, არ ვმალავ, მინდა ვიყვირო! –  
გულს თავზე ხელი ავალებინო,  
სიყვარული რომ აღმაფრენაა,  
უნდა სამყაროს გავაგებინო!

## ეუ შიშოპ!

მიდიხარ...

და მეც მხარდამხარ მოგდევ,  
უკვე რამდენი გზა გაგვივლია?!  
არ იყო ლხენა ულელი ჩვენი,  
სიმძიმე არც კი დაგვიჩივლია...  
მაგრამ ვინ იცის, ხვალ რა იქნება! –  
ირგვლივ სამყარო სულ შეშლილია,  
ბოროტი ისევ მზაკვრულად ფხიზლობს,  
გარშემო მტერი კვლავ გაშლილია!  
როგორ შემკრთალა დღეს გული ჩემი,  
ბავშვის გულივით ისევ ჩვილია,  
მჯერა, სიკეთე ისევ იმძლავრებს,  
რადგან გონება ასე ფრთხილია.  
ნუ შიშობ!.. თუკი გაჭირდა ყოფა,  
ხვალის იმედი ცად აჭრილია,  
გახსოვდეს, ჩვენი ფუძის სიმაგრე,  
ბ ე ვ რ ი შ ვ ი ლ ი დ ა  
შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ა !

## ცელა ეპვება საღამოს პირდი...

ნელა ეშვება საღამოს ბინდი,  
ცის დასასრულთან რუხი ფერია.  
მზე ჩაესვენა მისებრ სიდინჯით,  
ღამე ალერსით შემოგვერია.

სარკმელში ფხიზლობს ვეება მთვარე,  
ტკბილ სერენადებს სადღაც მღერიან.  
ეს ნათება და ჰანგი ღვთიური,  
ამ წუთას ჩვენთვის ყველაფერია!

გულში როგორი შვებით ბინადრობ,  
მეც თაფლისთვალა მქვია ფერია,  
განა ბევრი გვსურს ერთმანეთისგან?  
ერთი ამბორი ყველაფერია!

გული დუღს გრძნობაგადმომდინარი,  
თითქოს ბადაგით სავსე ქვევრია;  
ამ სიყვარულით გვატარე, ღმერთო,  
თორემ სიცოცხლე არაფერია!

## გაცრაცილია სიცოცხლის ფერი!

მე შეგიყვარე პირველი დღიდან,  
მას შემდეგ ვქარგავ ფერად იმედებს  
და მიკვირს, თავი რად დავიტანჯე,  
ან გული ასე რად გავიმეტე?

საკვირველიო და საარაკო,  
ჩვენს სიყვარულზე ათასჯერ უთქვამთ;  
სასწაულია, აბა რა არის,  
უერთმანეთოდ რომ ვეღარ ვსუნთქავთ?

წლებმა გააბა უწყვეტი ჯაჭვი,  
სიკვდილი ბოლოს მაინც აჩოქებს,  
მარტო დარჩენას თუ დაგვიპირებს,  
უდავოდ, ერთად წასვლა აჯობებს!

გაცრეცილია სიცოცხლის ფერი,  
გულს, წლებით მოღლილს, შუაზე მიყოფს,  
თუ სიყვარული საარაკო გვაქვს,  
დაე, სიკვდილიც ასეთი იყოს!

## მინავ ჩემო, ძვალსალაგო!

ხომ მიყვარდი, მიწავ ჩემო,  
უფრო მეტად შეგიყვარე,  
რაც ობლობა გავიაზრე  
და მშობლები მოგაბარე...

იმ დღის მერე სულ ვქვითინებ,  
მონატრების ცრემლი დამდის, –  
სულს დავეძებ დედის, მამის,  
მინდა ლრუბლებს ავყვე ცამდის.

როგორ მიმძიმს, ფეხს რომ გადგამ!  
განცდისაგან ლამის ვკვდები,  
ხშირად გკოცნი, დარდიანი,  
თითქოს მშობლებს ვეფერები!

ჩემო წმინდა ძვალსალაგო,  
შენი სითბო ბევრჯერ ვნახე,  
გევედრები დედა, მამა,  
უვნებელი შემინახე!

მე კი, სანამ ცოცხალი ვარ,  
გთხოვ, გზები არ გამიმრუდო!  
მერე, როცა შენად მოვალ,  
ჩემს მშობლებთან ჩამახუტო!

## რომ ვიცოცხელო...

შიში გულში უცხო ბზარებს აჩენს,  
ნუხელ ქარი გამეტებით ქროდა;  
მემინოდა, შენ არ მყავდი გვერდით  
და იმედი არავისი მქონდა...

სიმარტოვე მომერია ისე,  
თითქოს უკვე განკითხვის დღე დადგა,  
ჰოი, როგორ გსურვილობდი, იცი?!  
მოხვედი და... ქარიშხალიც ჩადგა!

ჩაგეკარი... ალარა მაქვს შიში,  
ქარს თუ უნდა, გაავებით ქროდეს,  
რომ ვიცოცხლო, უნდა მყავდე გვერდით,  
ხვალინდელი დღის იმედი მქონდეს!

## სიზმარი

სიმღერა

სიზმრად ვნახე და რა ვნახე?!  
ლმერთო ჩემო!  
ახლაც მტანჯავს, როცა  
მომაგონდება:  
საქართველო დაჭრილ არწივს  
მოაგავდა,  
ცას სწვდებოდა მისი მოთქმა,  
გოდება...  
მკერდდაჭრილი სისხლისაგან  
იცლებოდა,  
ღვთის შენევნით ისევ შველას  
ელოდა,  
თუმცა გული ტყვიით ჰქონდა  
გაგლეჯილი,  
ისევ ფეხზე წამოდგომის  
სჯეროდა.  
ცა სკდებოდა, ქარგრიგალი  
ბობოქრობდა,  
მწუხრის ჩადრქვეშ სულს ეპრძოდა,  
გმინავდა,  
შავი ნისლი მოხვეოდა,  
მაგრამ მაინც,  
შორით ისევ მზის ნათელი  
ბრწყინავდა!  
ვუყურებდი ამ წამებას  
გაუგონარს,  
მისი ტანჯვით გული  
მეტანჯებოდა,

სხვა არ მქონდა საფიქრალი  
არაფერი,  
სული ჩემი ღმერთებს  
ევედრებოდა...  
გამეღვიძა, ჰო, ნაწამებს  
გამეღვიძა,  
მივხვდი, ცხადი რომ არ იყო  
სიზმარი,  
კვლავ ამაყად შემეგება  
ჩემი ზეცა,  
მოალერსე, მხნე და  
პირმომცინარი...  
და ზეციერს კიდევ ერთხელ  
შევევედრე,  
რომ არნივმა მძლავრი ფრთებით  
იფრინოს,  
აარიდოს მწუხრის დღე და  
განსაცდელი,  
იძლიეროს!  
იმრავლოს და  
ილხინოს!

## ერთია სიცოცხლე!

ვარჩიე სიშორე,  
ამიტომ გიშორებ,  
ნუ გიკვირს, მე მხოლოდ ლანდი ვარ...  
განვიცდი ძალიან,  
სულ შენი ბრალია,  
ახლა რომ ეული დავდივარ...  
თავს მუდამ მიხრიდა, –  
დრო იყო მილხინდა,  
ბედი რომ გულუხვად მწყალობდა,  
დღეს შველას არ ველი,  
ვინ შემრჩა მფარველი,  
გული რა ამაოდ წვალობდა?!  
გამქრალი იმედით,  
უფსკრულთან მივედი,  
ჩავხედე – უკუნი ბნელია,  
არ ვიცი, რა მოხდა,  
ოხვრა რად აღმომხდა:  
აქ თავის დალწევა ძნელია!  
გზა მხოლოდ ერთია,  
სულის ხსნა ღმერთია,  
გულმა არ მიმტყუნოს ტკივილზე,  
ერთია სიცოცხლეც  
და სანამ ვიცოცხლებ,  
მინდა სულ მათბობდეს ჩემი მზე!

\*\*\*

ბედის ბორბალი ბრუნავს და ბრუნავს,  
თითქოს მჯილსა მცემს დასერილ გულზე,  
მე კი ცხოვრებას, წლებგამოვლილი,  
ახლა სხვა თვალით ვზომავ და ვუმზერ...

მგონია, ერთხელ მაინც იდარებს,  
საავდრო ღრუბლებს სხივებად გაშლის,  
მაგრამ რაც იყო – ავსაც და კარგსაც  
ამ გონებიდან ვერავინ წაშლის!

ნაომარ სულში ჩაგროვდა ცრემლი,  
რამდენი დარდი გადავიარე!  
წელგამართული გზად შემხვდა ცოტა,  
უფრო მეტი კი გმობდა იარებს!

მეც ვცდილობ, მაგრამ თესლი, უმწეო,  
აღარ ღივდება ნაგვალავ ხნულში,  
ცისქვეშეთია მთავარი, თორემ  
ქვესკნელი ყველას ჩაიკრავს გულში!..

## მარტოზელა

ქალი, რომელმაც ომში დაკარგული ქმრის მოლოდინს  
შეალია სიცოცხლე და რომელსაც შვილიც კი არ დარჩა...

ჩემს ბავშვობაში მახსოვს ერთი  
მოხუცი ქვრივი,  
პატარა ვიყავ, არ მესმოდა  
მისი ცხოვრების;  
სულ ვგრძნობდი, ყველას უშურველი  
თვალით უმზერდა,  
მე მუდამ მჯერა საიქიოს  
მისი ცხონების!  
თავშესაფარად ქოხი ჰქონდა  
ერთი, პატარა,  
შემარჩინეო! – ანუხებდა  
უფალს ვედრებით,  
ისლი ეფარა, გაცვეთილი,  
შუაცეცხლი ენთო  
და ირგვლივ შავად გამურული  
ჩანდა კედლები.  
ის დადიოდა ქუჩა-ქუჩა  
ფეხით – შიშველით,  
კარს შეუღებდათ, მაგრამ მისთვის  
არვის ეცალა,  
იმ მძიმე დროში, თუკი ვინმებ  
მადლი უბობა,  
დროის ვაებამ უმოწყალოდ  
შემოაცალა...  
იმედნართმეულს არაფერი  
აღარ ახსოვდა,  
ვინ იყო, ანდა რისთვის იყო

ქვეყნად მოსული,  
 ზოგჯერ თუ გონიერ მოვიდოდა,  
 იცრემლებოდა, –  
 სჩანს, გულს უკლავდა დაღდასმული,  
 მძიმე წარსული.  
 ეცოდებოდათ, იბრალებდნენ,  
 დააპურებდნენ, –  
 თუ მასპინძელი შეხვდებოდა  
 უხვი, მოწყალე,  
 მერე კარდაკარ ხეტიალში  
 აღამდებოდა  
 და სადლაც, ქუჩის განაპირას  
 ათევდა ლამეს.  
 ამასობაში უძლურებამ  
 დარია ხელი,  
 არავინ ჰყავდა განმკითხავი,  
 ჭირისუფალი,  
 სიმარტოვეში აღესრულა  
 საპრალო ისე,  
 რომ სასთუმალთან თავზე ედგა  
 მხოლოდ უფალი.  
 დღეებს ითვლიდნენ, რატომ აღარ  
 გამოჩნდა სადმე?  
 ურდულახსნილი კარი შიშით  
 შეუხსნეს ნელა  
 და გული დასწყდათ, როცა ნახეს  
 ასე უმწეო,  
 მის ბედისწერას გულით გმობდა  
 იმწუთას ყველა...  
 მადლობა სოფელს, დიდებულად  
 აუგეს წესი,

პური და ლვინო, ტანიანი  
დაკლეს საკლავი  
და დღესაც არის ჩემი სოფლის  
წმინდა გორაზე,  
ერთი მოხუცი, მარტოხელა  
ქვრივის საფლავი...  
აქ უჩვეულო, გასაკვირი  
არაფერია,  
რადგან ასეთი ჩვენს დროშიაც  
მრავალი ხდება,  
მე ის მანუხებს, ცოცხალი რომ  
არავის ახსოვს,  
მერე ტირიან და გლოვობენ,  
როდესაც კვდება!

## მოდის სიბარე!

მოდის სიბერე, როგორ მიმძიმს?!  
დავრდომილივით  
ხელალპყრობილი ვევედრები  
უფალს შეწევნას...  
საუბედუროდ დრო ცოტაა,  
მერე რაღა ვქნა, –  
დაუძლურება როცა გზაში  
ნამომენევა?  
უკვე ვგრძნობ, თითქოს ბორკილებით  
შეკრეს ხელ-ფეხი,  
ვერ ვეურჩები, უფრო მეტიც,  
ჩემით ვნებდები,  
აზრი არა აქვს ღმერთთან ზედმეტ  
ხვეწნა-მუდარას,  
ჩემი დროც მოდის და სხვებივით  
მეც დავბერდები!  
ბედნიერი ვარ, ეს წყალობაც  
უნდა შევიგრძნო,  
ისევ ნათელი ფერი მოსავს  
მზის დაისობას,  
უფლის მადლია, რომ აქამდე  
ასე მოვედი  
და გულნაკლული არ შევხვდები  
მარადისობას !

## უფლის გზას მოვდევ...

უფლის გზას მოვდევ მთელი სიცოცხლე,  
ფრთხილად ვკემისავდი მოძმის იარებს  
და მოწინებით მუდამ თავდახრილს,  
ბევრჯერ გულზედაც გადამიარეს....

დიდთან დიდობა განა შემშლია?!  
პატარასთანაც ვიყავ პატარა,  
მაგრამ ამ ჩემმა დამყოლმა გულმა,  
ბევრი გზამნარე გამომატარა...

არ ვნანობ – რაც კი სიკეთე ვთესე,  
ჩემი სურვილით იყო ყოველი,  
არა იმიტომ – ვინმემ შემაქოს,  
არა იმიტომ – რამეს მოველი.

მაინც მგონია, მეტი შემეძლო,  
ღმერთო, შენდობის მომეც იმედი,  
შენ მაპატიე, ჩემს უნებურად,  
ამ დედამიწას თუ ვამძიმებდი...

## ახლა ისევ მაისია

ახლა ისევ მაისია კართან,  
ალლუმი აქვთ გადაფოთლილ ხეებს,  
რა მორჩილად აჰყოლია გული  
მზის სხივებით ნათამამებ დღეებს?!

ან კი როგორ გაჩერდება სახლში,  
როცა გარეთ სასწაული ხდება;  
როცა თვალიც არ ნებდება ღამეს  
და ალიონს ძილგამკრთალი ხვდება?

მახსენდება ის მაისი, ჩემო,  
სიყვარულის გამხელა და თრთოლვა,  
ისევ ისე მშფოთვარეა გული,  
რამდენჯერაც გაზაფხული მოვა...

მოვა, ალბათ, კიდევ ბევრჯერ მოვა,  
უკვდავება თავსაც დავაჯერე,  
გონებიდან როცა წავა ყველა...  
რა იქნება ნეტავ იმის მერე?

\*\*\*

გული წარსულის ტყვედ რჩება ისევ,  
ვერ ვაკონინებ სულის ნაფლეთებს,  
დაღლა-დაწყვეტით ვითვლი ჭრილობებს,  
მტრისგან ათასგზის ხანჯლით ნაკვეთებს...

თუმცალა მარტო მტერი კი არა,  
მოძმეც არ მყავდა სწორედ ჩემფერი,  
მაგრამ მე მაინც ერთგული დავრჩი,  
სხვა ქცევა, აბა, როგორ შემფერის?

რა მძიმეა და რა საკვირველი,  
სისხლი და ხორცი ერთურთს გაჰყარო?!  
თუკი ამ დღისთვის ვინმე გავწირო,  
ფეხქვეშ მეწვოდეს მთელი სამყარო!

ღმერთო! შენ გესმის ჩემი გულისხმა,  
ყველა დღის ლოცვა, ალალი, წმინდა,  
მე ხომ სამშობლო და ჩემი ხალხი  
ყველაზე მხნე და ძლიერი მინდა?!

### „ზოგი ჭირი მარგებელიაო“

პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის გამო, ყველა სახლებში გამოიკეტა...  
მეგობრული ხუმრობით ზოგიერთ მამაკაცს და სამწუხაროდ, ზოგიერთ ქალსაც კი...

კაცებო, რა გეგონათ,  
ცოლებს რომ ღალატობდით,  
განა შეგრჩებოდათ თარეში?  
ახლა იძულებით,  
კედლებში ჩამწყვდეულხართ,  
ცოლებს კვლავ შეჰყურებთ თვალებში.  
ცოდვებს რომ მოიმკით,  
იქნება გზაც გამოჩნდეს,  
ტკბილი არ გაცვალოთ მწარეში,  
ინებოს უფალმა,  
გონება გაგინათდეთ,  
კიდევ არ ჩაიჭრათ რამეში!

## უშენოდ

უშენოდ ღამე გარინდულა,  
ზეცა ღრუბლებით დაბინდულა,  
ალარსად სჩანან ვარსკვლავები წმინდა,  
მეც უსაშეველოდ გავფიტულვარ,  
დარდის უფსკრულში ჩავძირულვარ  
და ახლა, ისევ, შენთან შეხვედრა მინდა...  
ის თბილი დილა მაგონდება,  
ნუ წახვალ გული დალონდება,  
ნუ წახვალ, ისევ შენს სიმღერას ვნატრობ,  
დარდი ზვავივით აგორდება,  
სული უმწეოდ დაობლდება,  
ვიდრე არ მოხვალ, გამიჭირდება მარტო...  
უშენოდ ისევ გაწვიმდება,  
ცაზე ღრუბლები ატირდება,  
ჩემს აცრემლებას ალარაფერი უნდა,  
სულში არასდროს დაბინდდება,  
ყველა ოცნება გაბრწყინდება,  
ოლონდ ჩემს გვერდით მეგულებოდე მუდამ!  
რომ მხოლოდ გული შენით ძგერდეს  
და ყველა ჰანგი ჩვენთვის ულერდეს,  
ვეღარ გელევი და გულხარბივით გჩემობ,  
უშენოდ დრო რომ არ გაჩერდეს,  
მერე სიცოცხლეც არ გაძნელდეს,  
ალარ დამტოვო ალარასოდეს, ჩე მო!

## რეპარატური...

### სიმღერა

რეკავს ზარი, დედო-ზარი,  
ქაშუეთისა, სიონისა,  
მეც ალიონს ლოცვით ვეგებები,  
ხმა ბობოქრობს შფოთიანი  
თერგისა და რიონისა,  
დგანან ფხიზლად, მარად თეთრი მთები!

იბობოქრე სულო, ჩემო,  
ჯავრი რომ არ ჩაგყვეს მტრისა,  
ღმერთს ავედრე სიძლიერე ჩვენი,  
კვლავაც მოგვდგამს სიმამაცე,  
ბაგრატისა, დავითისა  
და თამარის სიდიადე გვშვენის!

კვლავ ილოცე მამულისთვის,  
გნამდეს, მარად, ძალა ღვთისა,  
სამშობლოზე ფიქრი გწვავდეს უნდა,  
ნინოს ხელით ბოძებული,  
მადლი ქრისტეს წმინდა ჯვრისა,  
გასაჭირში დაგიფარავს მუდამ!

...

იბობოქრე სულო ჩემო,  
ჯავრი რომ არ ჩაგყვეს მტრისა,  
ღმერთს ავედრე სიძლიერე  
მოძმისა და მოკეთისა,  
საქართველო იყო მარად  
ერი – დიდი გმირობისა,  
ბევრჯერ ფეხით გათელილმა,  
კვლავ რტოები გამოისხა!

## დადგა შემოდგომის ფოთოლცვენა...

სიმღერა

დადგა შემოდგომის  
ფოთოლცვენა,  
დროა სევდისა და  
მდუმარების,  
ფოთლებს ემძიმებათ  
განშორება,  
ცრემლი ედინებათ  
მწუხარების...  
ლრუბლები ჩქარობენ და  
არ იცდიან,  
მზე დაღლილ თვალებს  
დაასვენებს,  
წვიმა, შხაპუნა და  
სუსხიანი,  
მიწას გულიანად  
დაასველებს.  
სიცივე, სიშიშვლე და  
სისასტიკე,  
ირგვლივ – შებრალება  
არავისი,  
დადგა სევდიანი  
შემოდგომა –  
ზამთრის ძილისათვის  
სამზადისი!

## მოდი!

სიმღერა

შენი მოლოდინით,  
შენთვის ავმღერდები,  
დარდი მომივფანტო იქნებ,  
მთელ დღეს დავალამებ  
ფერად ოცნებაში  
და გულს გადავალევ ფიქრებს.

თუმცა, დეკემბერი,  
სუსხით მემუქრება,  
ალბათ თოვლიც მოვა, დიდი,  
მერე უშენობას  
რითი დავიოკებ? –  
დღეებს წამებივით ვთვლიდი...

სანამ ქარიშხალი  
ნამქერს მოაზვავებს,  
სანამ ამინდია მშვიდი,  
მოდი, გზები ჰპოვე  
შენთვის საიოლო,  
ზამთარს ვერ გაუძლებს ხიდი!

## ისევ აქ ვარ!

ქუხდა ისე, ლამის შიშმა,  
ჩამოილო გულის კარი;  
ცა გრგვინავდა კიდით-კიდე,  
ქუჩებს რეცხდა ნიალვარი.

აწყდებოდა ელვა სარკმელს,  
ზუზუნებდა ცივი ქარი,  
დარაპებზე ძალას სცდიდა  
ქარი, მართლაც აბეზარი.

ვუყურებდი, ლამის შიში  
არ მიმქონდა თითქოს გულთან,  
მაგრამ ეზოს შუაგულში  
ტორტმანებდა დიდი თუთა.

გაურბოდა მეხის გრგვინვას,  
ეხვეოდა ელვა წელზე,  
ცრემლებს რეცხდა წვიმის თქეში,  
მერამდენე განსაცდელზე?!

თითქოს გატყდა, ფესვმაგარი,  
არეული ძრწოდა ღამე,  
ფერსიყვითლეშემოპარულს  
დაჰკარგვოდა სითამამე.

არ ცხრებოდა ქარიშხალი,  
გამეტებით რბოდა, ქროდა,  
თუთა, ტანზე შემოძარცვულ,  
დიდრონ ფოთლებს მისტიროდა...



ნეტავ, მაშინ რა დრო იყო,  
როცა პაპა ამ ხეს რგავდა?  
ალბათ მისი გულისცემა  
უკვდავების სურვილს ჰგავდა!

დღეს ეჭვი მაქვს ალსასრულის,  
უწინ მწამდა სიძლიერე,  
ახლა, როცა მეხმა დაჰკრა,  
ყველაფერი დავიჯერე.

თვალი ვეღარ გავუსწორე,  
თითქოს ვალი მე მემართა,  
ჩემი თუთა, ასწლოვანი,  
მიწას წამში დაეზღართა!

ფიქრში სული დამიმდიმდა –  
ამის მერე რა მოხდება?  
ერთი ვიცი – ჩემი თუთა,  
ვეღარასდროს წამოდგება...

მომაკლდება მისი სიტყბო,  
გრილი ჩეროც მომაკლდება...  
წლები უნდა, მის ადგილზე,  
სანამ სხვა ხე მომძლავრდება.

მებრალება, ვეღარ ნახავს  
გაზაფხულებს, მზეს და დარებს,  
ჩემი თავი, ნაომარი,  
სწორედ თუთას შევადარე.

რა ცხოვრება გამივლია?!  
ბევრჯერ სული გატიალდა,  
როგორ შევძელ, როცა თავზე,  
წისქვილის ქვაც დატრიალდა...

ჩემი ეზოს ყველა გოჯი,  
ხელით ნასათუთევია,  
გულს, გონებას, თვალებს – ერთად  
ბევრი ღამე უთევია.

ისევ აქ ვარ, ჩემს ფუძეზე,  
არასოდეს გავიქცევი,  
სული უნდა ვაწროთ, სანამ...  
თუთასავით წავიქცევი!

## ჩემი სიამაყე

ჩემი სიამაყე – მამულია,  
ნატვრა არ მასვენებს მხოლოდ ერთი,  
გვახსოვდეს სამშობლოს მსახურება,  
გვწამდეს და გვიყვარდეს ერთმანეთი!  
ცხოვრებამ ძნელი გზა მომატარა,  
წარსული გულს დალად დაამჩნია,  
მაინც, ჩემს მამულზე ზრუნვის გარდა,  
ქვეყნად სხვა ფიქრი არ გამაჩნია!

## არ დავნებდები!

ნუთუ დავბერდი? – ვერ დავიჯერებ!  
არა, უბრალოდ, წლებმა გამთვალეს,  
მე არ მაშინებს მომავლის ჭვრეტა,  
რამდენისა ვარ, აღარც დავთვალე...

რას ჰქვია შიში?.. როცა სიცოცხლე,  
კვლავ გარიურაჟთან მდგომი მგონია,  
იმ წარსულ დღეთა ორომტრიალში  
სასოწარკვეთა რომ არ მქონია?!

–დამზავდით, წლებო, ნუ მემუქრებით,  
ნუ ჩამომწკრივდით და ნუ მაშინებთ,  
კვლავ ზეობს სული, გაუტეხელი,  
მუხლის სიმარდეც კვლავ შემარჩინეთ!

ყველა დარდი და ყველა ნუხილი,  
ვიცი, ამქვეყნად, მონაგონია,  
რა ხალისი მაქვს, რა შემართება?!  
თავი პატარა გოგო მგონია!

...და რაც დრო გადის, უფრო ურჩი ვარ,  
სიცოცხლის უინით უფრო ვხელდები,  
მჯერა, როდესაც მოვა სიკვდილი,  
მასაც დავგმობ და არ დავნებდები!

## იმ დღიდან დღემდე...

ჩემი ბავშვობა გუშინდელი  
დღესავით მახსოვს, –  
ხან მხიარული, ხან ურჩობით  
აცრემლებული,  
ხან საქმიანი, ხან თამაშით  
ქანცგამოცლილი,  
ხანაც ცელქი და ხან დიდივით  
დადინჯებული...  
იმ დღიდან დღემდე ბევრმა  
წყალმა ჩამოიარა,  
ბევრი უძილო ლამეები  
მითენებია,  
დავაფრთიანე შვილები და  
დღესაც არ მჯერა,  
რომ უამრავი შვილიშვილის  
გავხდი ბებია...  
ამ სიმრავლეში თავპრუსხვევით  
ვზიდე ჭაპანი,  
დღედალამ შრომით მოლლილმა და  
გადაქანცულმა,  
სამდურავს როგორ გავბედავდი  
ბედისწერისას,  
დიდი სიმდიდრე დამიტოვა  
ჩემმა წარსულმა.  
მადლიერი ვარ და ქედს ვიხრი  
უფლის წინაშე,  
ჩემში სითბომ და სიყვარულმა  
ყველაფერს სძლია,  
ბედნიერი ვარ, როცა შვილებს

ისევ ვჭირდები  
და მე სიკეთის გაკეთება  
რომ შემიძლია.  
ჰოდა, შვილები! მშობლები ხართ  
ახლა თქვენც უკვე,  
არ შეუშინდეთ, გზასაძნელოს  
თუ მიადგებით,  
რაც უფრო ბრძოლის სურვილი და  
უინი შეგიპყრობთ,  
მით უფრო მეტად  
შვილ-მომავალს გამოადგებით!

## მოგლები

სამყაროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მუდმივად ქაოსია. მშობელი დღედაღამ შვილებზე ფიქრობს და ცდილობს, თავიდან აარიდოს ყველანაირი უსიამოვნება; ამასთან ერთად, თავგადადებული ზრუნავს მათი უკეთესი მომავლისათვის... მაგრამ სიფრთხილეც საჭიროა, რადგან შვილები არ მიეჩივნენ იმას, რომ ყველაფერი მშობელმა უნდა აკეთოს! ეს მათვის დამლუპველია და მომავალში გაუჭირდებათ რეალურ ცხოვრებასთან პირისპირ შეხვედრა.

მე, ჩემი ძმა და დები გავიზარდეთ დედისა და მამის ურთიერთსიყვარულის, მზრუნველობის და პატივისცემის გარემოში. ჩვენი მშობლების ცხოვრების წესმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჩვენი მომავალი; ყოველთვის ცდილობდნენ დაენახვებინათ ზნეობრივი ფასეულობები, გვესაუბრებოდნენ წარსულ ცხოვრებაზე, შეცდომებზე, სხვებისთვის გაკეთებულ სიკეთეზე და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი აზრის გამოხატვას, მოცემულ სიტუაციაში თუ როგორ მოვიქცეოდით.

შვილების ყველაზე კარგი საქციელის გამოც კი არასდროს გამოხატავდნენ აღფრთოვანებას. თუ ამას აკეთებდნენ, მეტად უმნიშვნელოდ. ამიტომ, ყოველთვის ვცდილობდით, უფრო და უფრო უკეთესები ვყოფილიყავით. რაც ყველაზე მეტად ყურადსალებია, არასდროს გამოუყენებიათ მატერიალური ჯილდო!

არც ერთს არ მიაჩნდა მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენა მძიმე ტვირთად, პირიქით, უფრო მეტი მოტივაცია გააჩნდათ საამისოდ და დღედაღამ მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. ჩვენც ვცდილობდით დახმარებას, რადგან პატარაობიდანვე მიგვაჩვიეს შრომას,

ამიტომაც არ ვიცოდით, რა იყო სიზარმაცე და ქუჩაში უსაქმურად ხეტიალი...

ოჯახში არსებული ასეთი სიტუაცია ყოველთვის დადებით მუტხს აღვივებდა და მუდამ ლხინის განწყობაზე ვიყავით.

ახლაც ყურში ჩამესმის მამას დაკრული გარმონისა და დედას ფანდურის ხმა. ბებია, რომელიც თავის დროზე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, იქ ნასწავლი გიტარის დაკვრით იწონებდა თავს, სწორედ მან შემაყვარა ეს ინსტრუმენტი.

ფასდაუდებელია მათი ამაგი, ისევე, როგორც ნებისმიერი მშობლის, მაგრამ მე მაინც ვიქნები სუბიექტური და ოჯახის მრავალშვილიანობას გავუსვამ ხაზს.

ყველაფერს აკეთებდნენ ჩვენი ბედნიერი მომავლისათვის, არასდროს გვაყვედრიდნენ თავიანთ შრომას. მუდმივად ვხედავდით ადამიანებს, რომლებსაც უამრავი საზრუნავი ჰქონდათ. სიფრთხილით გვასწავლეს საკუთარი თავის სიყვარული, რადგან ამ გრძნობის გარეშე, წარმოუდგენელია სხვა გიყვარდესო...თავიდანვე მიგვაჩვიეს მარტო შრომას და არ ერეოდნენ ჩვენს საქმიანობაში...სულ გვახსენებდნენ, რომ პრობლემებთან მარტო გამკლავება, გონების განვითარების და დამოუკიდებლობის შეძენის დიდი გაკვეთილიაო!

ძალიან ბედნიერი ბავშვობა გვქონდა, არასდროს არაფერი გვაკლდა. ის სიკეთე და სიყვარული, რომელიც ჩვენს ჭერქვეშ ბუდობდა, დღესაც გვილამაზებს ცხოვრებას.

ხშირად მიფიქრია: რითი გადავუხადეთ სამაგიერო?

პასუხს დიდი ხანია მივაგენი – მათ სიცოცხლე გვაჩუქეს, სიცოცხლის საფასური კი სამყაროში არ არსებობს!.. თუმცა, მადლიერების გამოხატვა ჩვენი სიყვარულით და ყურადღებით შეგვიძლია!

ძალიან მინდა, ყველა შვილს ახსოვდეს მშობლის ამაგი და როლი მის აღზრდა-ჩამოყალიბებაში და ის, რომ შვილებიდანაც ესაჭიროებათ (თავის დროზე) თანადგომა და პატივისცემა, გან-

საკუთრებით ხანშიშესულებს.

ჩვენი ერთგული და ყურადღებიანი დამოკიდებულებით კი შეგვიძლია, მათი სიცოცხლე, მნიშვნელოვნად გავახანგრძლივოთ და გავალამაზოთ, გარდა ამისა, ეს იქნება უდიდესი მაგალითი ჩვენი შვილებისათვის, რომელთა ხელშიც მერე ჩვენი გარდუვალი სიბერე აღმოჩნდება...

## მეორე მშობლები

ქართულ სინამდვილეში, რატომლაც, დედამთილ-მამამთილის და რძლის ურთიერთობა გაიგივებულია ჩხუბსა და დავიდარაბას-თან. ზოგადად, ეს პრობლემა სულ არსებობდა, მაგრამ რაც ცივ-ილიზაციამ ჩვენში ღრმად გაიდგა ფესვები, პრობლემაც უფრო მასშტაბური გახდა.

არ დავწერ შორიდან და პირდაპირ ვიტყვი: მე ბეჭდა გამიმართლა, უფრო ზუსტად, ასე ემეტებოდა ჩემთვის!

ახალ გარემოსთან შეგუება არ გამჭირვებია, ვერ ვიტყვი, რომ იდეალურები ვიყავით, რადგან მსგავსი სამყაროში არ არსებოს, მაგრამ კომპრომისებისა და სიყვარულის მეშვეობით თანდათანობით ყველაფერი გაიდეალურდა.

აქაც ოჯახური იდილია დამხვდა, მიამბეს, როგორ ააშენეს და შექმნეს საკუთარი ცხოვრება, რომ ყველაფერს სიყვარული აკეთებს და მის გარეშე შეუძლებელია...

ახლა ვფიქრობ, ჩვენ რომ ერთად არ გვეცხოვრა, მათ გარეშე, ცხოვრების განმავლობაში გაჩენილ უამრავ სირთულეს თავს ვერ გავართმევდით ასე იოლად. ერთმანეთის სიყვარულით და გვერდში დგომით, ყველაფერი გადავლახეთ.

იმის გააზრებით, რომ მათ ორჯერ მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდათ, არასდროს არ მწყინდა მეგობრულად ჭკუის დარიგება და რჩევა... თუ გინდა კარგის დანახვა, ყოველთვის დაინახავ, თუ არა, მაშინ არავითარი მნიშვნელობა აქვს არც კარგს და არც ზედ გადაყოლას, სულ ერთია, მაინც შენი გეგმის ერთგული რჩები! სულ მიკვირდა და ახლაც მიკვირს, რატომ ის-

პობენ საკუთარ ნერვებს და ჯანმრთელობას?

არავის ვაკნინებ, მაგრამ მგონია, რომ ასეთ შემთხვევებში ინტელექტუალური განვითარების ნაკლებობის პრობლემასთან გვაქვს საქმე...

ძალიან ვუყვარდი ორივეს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ საკუთარ შვილებზე წინ მაყენებდნენ. თავიდანვე შემპირდნენ ერთგულებას და შემომფიცეს, რომ ჩემი ინტერესების დამცველნი იქნებოდნენ სიცოცხლის ბოლომდე.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე მოსამსახურე იყო და მეც ვმუშაობდი, ისე გვქონდა აწყობილი დღის რეჟიმი, ოდნავაც არ შეგვინელებია ცხოვრების ფერხული. დიდი ამავი დამდო მეუღლის ბებიამაც, მადლიანი ქალი იყო, სულ მანებივრებდა ლამაზი კაბებითა და სამკაულებით... გამაზრდევინეს ოთხი შეილი, შიდასამეურნეო საქმიანობაშიც ტოლს არავის უდებდნენ და მუდამ უხვად გვქონდა ოჯახში ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა სურსათ-სანოვაგე.

უფლის სიყვარულმაც ხელი შეუწყო ჩვენს ურთიერთობებს და ჰარმონიულ ოჯახში მომავალი თაობაც ჰარმონიული, ჯანსაღად მოაზროვნე, ტრადიციების ქომაგი და მოყვარული გავზარდეთ.

არ შემიძლია ყველას არ გავაგებინო, როცა მამამთილი ლოგინს იყო მიჯაჭვული, გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ეს სიტყვები მითხრა: „მე მალე წავალ, შეილო, სააქაო პირი აღარ მაქვს. შენ ხარ ის იმედი, რომელსაც აქ ვტოვებ, ვიცი, კერას არ გააციებ და აქაურობას არ წააქცევო“... დღესაც მეტირება...

დედამთილმა კი, ინსულტიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როცა კრიტიკული დღეები უკვე გავაცილეთ, ცრემლიანი თვალებით მითხრა: „ღმერთმა ამ ქვეყანაზე ჩვენ, ორნი, ერთმანეთისთვის გაგვაჩინაო!“ გულისტკივილით შემომჩივლებს ხოლმე, მეცოდები ამოდენა ოჯახში, მარტო ხარ უამრავი საზრუნავის პირისპირ და ვერ გეხმარები, მეც კი ზედ დაგემატეო... მე კი ვცდილობ, დავამშვიდო, რადგან მან თავისი ვალი ბოლომდე თავდაუზოგა-

ვად მოიხადა და ახლა სწორედ დასვენების დროა. დაუ, დატკბეს თავისი მონაგარით! მე კიდევაც დავეხმარები და ხელს შევუწყობ სიცოცხლის გახანგრძლივებაში, მითუმეტეს, როცა მშობლებიც აღარ მყავს და მხოლოდ მას შევცურებთ თვალებში...

უფალო შენ განგვიმტკიცე ურთიერთსიყვარულის გრძნობა თაობათა შორის და მტკიცე ოჯახების მადლი და სიუხვე არ მოაკლო ჩემს ქვეყანას!

## გზა მშობლიური სოცლისკან

ახლა, მშობლიური სოფლისაკენ მიმავალ აღმართს მივუყვები და გული ლამის საგულედან ამოვარდეს...

პირველი, რასაც თვალი სწვდება, იმის გარდა ხვამლის მთიდან წამოსული გრილი ნიავი მეფერება სახეზე ისე ნაზად, რომ მგონია გზაში დაიღალა და დაიცალა. რაც უფრო მაღლა მივიწევ, ნიავიც ძლიერდება და უხვად მოაქვს ჩემი ბავშვობის გამაბრუებელი სურნელი – მუდამ სანატრელი და განუმეორებელი, ხალისიანი, შფოთიანი, ცელები და უდარდელი.

რა სხვანაირად მიცემს გული, ყურებში რომ მესმის და მეერდიც რომ გრძნობს?! ხანდახან მიფიქრია, კიდევ კარგი, რომ ხშირად ვერ ამოვდივარ აქ, თორემ ასეთი ემოციებით დიდხანს ვერ შევძლებდი ამ სიყვარულთან გამკლავებას.

მიყვარს, სხვანაირად მიყვარს და ამ სიყვარულს ვერაფერი შემიცვლის!

ზაფხულს მაინც სხვანაირი ეშხი და ლაზათი აქვს, სულ მწვანე-შია აქაურობა ჩაფლული, უცხო თვალმა შეიძლება ვერც აღიქვას, რომ აქ სოფელია. განსხვავებით ნოემბრისა, როცა გვიანი შემოდგომის სუსსი შემოჰკრავს, გაიძარცვება ირგვლივ ყველაფერი და გაშლილ-გადაბერებული სოკოებივით გამოჩნდება ფერდობებზე შეფენილი სახლები. ყველაზე მეტად რაც გულსაკლავია, ის არის, რომ მხოლოდ აქა-იქლა ამოდის საკვამურიდან ბოლი... იყო დრო, როცა სოფელი ქალაქს აცხოვრებდა, ახლა კი თავისთვისაც აღარ ვარგა.

...მაგრამ აქაურობა მაინც ჩემი თვალისჩინია, აქ დავიბადე, აქ

ავიდგი ფეხი, აქ ვისწავლე მოყვასისა და სამშობლოს სიყვარული, აქ ვეზიარე იმ ტრადიციებს, რომლებიც ყველაზე წმინდაა ჩემთვის...

აი, გამოჩნდა ჩემი სახლიც, მეზობლების ანაბარად მიტოვებული და ისინიც რომ თითზე ჩამოსათვლელნიღა არიან?! ვატყობ, რომ გული კიდევ უფრო ახმიანდა. ვხედავ, როგორ ამაყად დგას?! თითქოს ძველებურად ისევ ბავშვების ჟივილ-ხივილი აყრუებს, თითქოს ბუხარი ისევ თვალისმოჭრელად გიზგიზებს, თითქოს ღუმელზე მოსახარშად შემოდგმული ღერლილი თუხთუხებს ქვაბში და ცხელი ღომის მოლოდინში ყველა ფაციფუცობს, თითქოს უხვთოვლიანი ზამთარი არც გამოუვლია და აღარც ახსოვს, როგორ გაუმჯობავდა თოვლის სიმძიმეს, თითქოს სულ ლიაა კარ-ფანჯარა და ნიავი თავის ნებაზე დაჰქრის აქეთ-იქით, თითქოს პირამდე სავსეა ქვევრები და ბეღელი...

აგერ, ბებიას ბოსტანიც, მუდამ პატარძალივით მორთულ-მოკაზმული! ერთი სარეველა ბალახის პოვნაც გაუჭირდებოდა მახვილ თვალს. ახლაც მახსოვს აქ დაკრეფილი ქორფა, წყლიანი კიტრის გემო, რომლის მსგავსი, მას მერე, აღარსად შემხვედრია.

ვუყურებ ამ ღობეჩამონგრეულ, მიჯნანაშლილ ბოსტანს და სული მეყინება. ვინ იცის, ბებიაჩემის რამდენი წვეთი ოფლია აქ ჩაღვრილი და მის გამრჯვე მარჯვენას რამდენჯერ ამოუბრუნებია ეს მინა?! ბავშვობაში მიკვირდა კიდევაც, თოხი სარკესავით რატომ პრიალებდა.

ეხ, ჩემო ბებიავ, ჩემო სპეტაკო და მრავალჭირვარამგამოვლილო ქალო, სად ხარ ახლა? ნეტავი კიდევ მაგემა შენი აკეცილი წინსაფრით შემოტანილი ხილისა და ნაბლის ფოთოლში გამომცხვარი მჭადის გემო?!

ძალიან მტკივნეულია ამ ყველაფრის გახსენება და ცრემლები მახრჩობს... მშობლების ღიმილიანი სახეები შემომცეკრიან კედლიდან. გამოკეტილი კარის მიღმა, თითქოს, მათი სურნელი ისევ შემორჩენილა, მაგრამ სითბო აღარ არის, გაციებულ კერიას

ჩამქრალი ცეცხლის და ნაცრის სუნი დაჰპატრონებია და საბოლოოდ მარწმუნებს, რომ წარსულში მხოლოდ ფიქრებით თუ დავბრუნდები.

ეზოში, სიცოცხლესა და მზეს მოწყურებულ ბალახებს სამუდამოდ წაუშლიათ დედაჩემისა და მამაჩემის გათელილი ბილიკები, მათივე ხელით დარგულ ხეხილს გარს შემოხვევიან და თითქოს თავს იმართლებენ, ჩვენ არაფერს ვუშავებთ, გვალვისაგან ვიცავთ.

სულ სხვაა აქ გათენებული დილა:

ჯერ, სანამ შუქი შეეპარება ალიონს, მამლის ყივილი მამცნობს, რომ კიდევ ერთი ბედნიერი დღის დილა იფურცლება ცხოვრების კალენდრიდან. თანდათან ჩიტებიც იფხიზლებენ და დილაადრიან საშოვარზე მიიჩეარიან, უღელში შესაბმელი ხარები არხეინად იცოხნებიან და თითქოს საქმე მორჩაო, პატრონის დანახვას არც იმჩნევენ, მაგრამ გამრჯე გლეხი უკვე ყანისაკენ იჩეარის. სხვა რა გზა აქვთ? ნელ-ნელა აიზლაზნებიან, შეებმებიან და უნებურად გაუყვებიან გზას. ურმის ჭრიალსაც ყურის დაძაბვით ვუსმენ, თურმე ეს ხმაც როგორ მყვარებია და მომნატრებია?!

პატარა ბოჩოლა დედას ეძახის, ბრაზონს ალბათ, პატრონმა გამოსვლა რომ დააგვიანა, რა ქნას, პატარაა და შიმშილის მოთმენა არ შეუძლია, დედაც რა უძლურია ამ დროს, – ვფიქრობ ჩემთვის, მიბმულია ძელზე და შვილთან მიახლოება არ შეუძლია სხვისი კეთილი ნების გარეშე. მე კი წარმოვიდგინე უკვე, რა ბედნიერი იქნებიან მაშინ, დიასახლისი რომ რძეს არ ჰპარავდეთ და ფურს ბოლომდე შეეძლოს გულხარბი ბოჩოლას გამოკვება.

ბავშვურად ვბრაზდები ადამიანებზე, როგორი შეუბრალებელ-ნი ვართ, არადა, ჩვენი თავიც რომ გვებრალება?!

დილა ძალას იკრებს. აივნიდან გადმომდგარი, აღტაცებული ვუყურებ, თუ როგორ ინვერება მზე ნაქერალას მთების უბიდან, წაბლის ფოთლებიც შრიალს აადევნებენ, ქორფა ბალახის და წოტიო მიწის სუნი საოცრად მსიამოვნებს და ამ დროს სულ სხვა-



ნაირად ლალი და ბედნიერი ვხდები.

...მაგრამ, მაინც, რაღაცნაირი, იდუმალი სიჩუმეა ირგვლივ. კედლის საათთან ერთად, თითქოს, დროც გაჩერებულა, მე კი კვლავაც, ძველებურად ხმაურიან და ურიამულით სავსე ქუჩებს ვეძებ, ჩემი და ჩემი და-ძმების უდარდელ ბავშვობას, უფროსების ხალისაა და შემართებას. იმ წრფელ და უანგარო ურთიერთობებს, რომელიც თაობათა შორის იყო...

დღევანდელი გოგო-ბიჭები აღარ მეჩვენებიან ისეთი ლალნი, როგორიც ჩვენ ვიყავით მაშინ, მშობლების ტვირთი მათაც გადაუნაწილებიათ და ასე მხრებდამძიმებულნი მოუყვებიან ცხოვრებას... მენანება ნაადრევად დასერიოზულებული და ბავშვობაწართმეული თაობა, ძალიან მენანება!

სოფელი იმ სოფელს აღარ ჰგავს, მე რომ მახსოვს...

ფიქრი არ მასვენებს – ვაი, თუ ნასოფლარი გახდეს?!

## ჩემი პეტია

### ნამდვილი ამბავი

დიდი სამამულო ომის წლებმა უმწეო მხრებზე გადაუარა, არ გატყდა, რადგან ბუნებით ოპტიმისტი იყო.

ქალი – რომელმაც ცხრა შვილი შობა და სხვათა დახმარების გარეშე, მარტო უძღვებოდა ოჯახის ავსაც და კარგსაც.

ცხოვრება ულმობელია!

ნაადრევად გამოაცალა ულლის გამწევის იმედი, დარჩა მარტო, საკუთარი მარჯვენის ამარა, მალევე გაიაზრა, რომ ერთი წუთი-თაც აღარ ჰქონდა მოდუნების უფლება, რადგან უკვე მრავალშვილიანი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო.

ბევრა ესეც არ აკმარა და სამი წლის ასაკში ნაბოლარა შვილიც გამოსტაცა ხელიდან. ბევრი იგლოვა პატარა... მაგრამ დანარჩენი ხომ გზაზე უნდა დაეყენებინა? თავს შეუძახა: –აბა, შენ იციო! – და უკვე გაასმაგებული ძალითა და მონდომებით შეეჭიდა ახალ ცხოვრებას.

ის-ის იყო, თითქმის გულიდან გადაიგდო ყველა დარდი, უცებ, ომში გაინვიეს უფროსი ვაჟი. რას იზამდა? იცოდა, რომ წინ ვერ აღუდგებოდა და როგორც იქნა შეეგუა ბედს.

გააცილა.

მას შემდეგ, თითქოს ჭრილობები გაუახლდაო, თვალზე ცრემ-ლი არ შეძრობია და ლამეებს მასზე ლოცვაში ათენებდა, უფალს ევედრებოდა, ცოცხალი დამიბრუნეო.

ამბობენ, დედის ლოცვას უდიდესი ძალა აქვსო, აუსრულდა ოცნება – შვილი დაუბრუნდა ნაადრევად, მაგრამ ფეხმოკვეთილი.

ეცოდებოდა, ნიადაგ გული ეკუმშებოდა, მაგრამ თვალზე მომ-დგარ ცრემლს არასდროს აჩვენებდა ისედაც გატანჯულ შვილს.

ყავარჯნებით ძლივს დადიოდა საბრალო, მაგრამ ყველაზე უა-რესი წინ ელოდა დედასაც და შვილსაც.

ზამთრის ერთ სუსხიან დღეს, მეგობრის დაბადების დღეზე მი-წვეულმა, მიუხედავად თავისი ფიზიკური და სულიერი უძლურე-ბისა, უარი ვერ თქვა და წავიდა. კარგად ილხინა თავის მონ-ატრებულ ტოლ-მეგობრებში და გვიან, ღამით, როცა სახლში ბრუნდებოდა, სწორედ მაშინ, ბედისწერა სამუდამოდ გადაეღობა წინ. სიბრუნვეში გზა ვერ გაარჩია, ყავარჯენი უადგილო ადგილას მოუცურდა და წყლით სავსე თხრილში ჩავარდა.

დილით მთელი სოფელი ფეხზე დადგა.

ეძებდნენ.

მიაგნეს თხრილს და... ნახეს საშინელება, საცოდავი შიგ იყო ჩაყინული. როგორც თვალით ჩანდა, ძალიან ბევრი უწვალია სი-ცოცლის გადასარჩენად, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში მყოფმა, ვერ შეძლო ბედის განაჩენთან გამკლავება.

ბებია ამ ამბავმა გაანახევრა. იმ დღიდან მოყოლებული, მის გულში, უფრო ღრმად გაიდგა ფესვები ღვთისადმი მოწინებამ და სიყვარულმა, ხშირად დადიოდა ეკლესიაში, ლოცვას რომ მორჩე-ბოდა, იქვე ახლო, საფლავებს შუა ჩაიმუხლავდა, ჩუმად ეჩურ-ჩულებოდა თავისი გულის ნაწილებს და ცრემლგამშრალი თვი-თონაც სულ სიკვდილს ნატრობდა.

ძალიან დიდი დრო დასჭირდა, რომ გონზე მოსულიყო. მე-ზობლებისა და ახლობლების შეგონებით, თანდათან, ნელ-ნელა გაიაზრა, რომ დარჩენილ შვიდ შვილს პატრონი და მზრუნველობა სჭირდებოდა.

მაშინდელ გაუსაძლის ყოფაში, როცა ჯერ კიდევ ომი მძინ-ვარებდა, ძალიან უჭირდა შვილების დაპურება. ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ბავშვებს შიმშილი არ ეგრძნოთ: შემოუსვლელ მსხალს, რომელსაც პირს ვერ დააკარებდა კაცი სიმაგრის გამო,

მოხარშავდა და შაქარს მოაყრიდა... ან კიდევ, აღრიან შემოდგომაზე, როცა სიმინდი ჯერ კიდევ დაპურებული არ იყო და მჭადის ფქვილიც ცოტა ეშოვებოდათ, დაჩეჩქვილ ჭყინტ სიმინდში ფქვილს აურევდა და ისე გამოაცხობდა კეცებში მჭადებს, მწნილის წვენიც კი არასდროს ემეტებოდა გადასალვრელად...

გაჭირვება და შვილების სიყვარული რას არ მოაფიქრებინებს თავდაუზოგავ დედას?!

გაზაფხულობით, როცა მინდვრის მარწყვი მწიფობაში შევიდოდა, სულ ბაზარში დაპქონდა, ყიდდა და ყიდულობდა ობლებისთვის სურსათ—სანოვაგეს. თუმცა, ეს გზა არ იყო იოლი, სოფლიდან ქალაქამდე ჩვიდმეტი კილომეტრი უნდა გაევლი ფეხით და უკან დასაბრუნებლადაც იგივე გზა დაეძლია.

ვაჟით ართმევდა თაეს.

ერთ ჩვეულებრივ საღამოსაც, დალლილ—დაქანცულმა, ადრიანად მოინდომა დაძინება. უფროს შვილს ჩააპარა დილის საუზმე, ჩვეული სიდინჯით მისცა დარიგება, თანწასალებ კალათაში წყალი და პურის პატარა ნატეხი ჩაიდო და დასაძინებლად გაეშურა. მთელ დღეს ბოსტანში ბარზე ნამუშევარს იმ ფიქრში, რომ დილით ადრე უნდა ამდგარიყო, მალევე ჩაეძინა.

საცხემთვარება იყო, არემარე ისე იყო გაჩახჩახებული, თითქოს გარიურაჟიაო. არადა, ჯერ კიდევ შუალამე არც კი იყო გადასული. შეიღვიძა, ფანჯარას თვალი შეავლო და თვალის დახამსამებაში წამოვარდა ლოგინიდან, საათისთვის არც შეუხედავს, სასწრაფოდ ჩაიცვა, სათითაოდ ჩაკოცნა მძინარე შვილები და სიფრთხილით გახურა კარი.

პირჯვარი გადაისახა, უფალს შემწეობა თხოვა და ჩქარი ნაბიჯით შეუყვა ტყისკენ მიმავალ აღმართს, რადგან მზის ამოსვლას მარწყვის ველებზე უნდა შეხვედროდა. დროდადრო ფეხს შეანელებდა, ცას შეხედავდა, მოკაშკაშე ვარსვლავები და მთვარის თვალისმომჭრელი ნათება გულში შიშს უღვივებდა, მიხვდა, რომ დროში მოტყუვდა და საკუთარ თავზე ბრაზობდა, ეს როგორ

## დამემართაო?

როგორც იქნა, აიარა აღმართი, გაივაკა და უკვე შევებით ამოსუნთქა, მაგრამ მთვარე ისევ ახსენებდა – ჯერ ადრეაო! დაიბნა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, უკან დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა, წინ, კიდევ, შიში არ უშვებდა. ეს იყო სწორედ ის მომენტი, როცა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბებიამ, კიდევ ერთხელ დასწყევლა თავისი გაჩენა.

უცებ, რაღაც უცნაური ზმუილი შემოესმა, მოულოდნელობისა-გან დაიპნა. ლამის სიჩუმეში ამ ხმას ისეთი მომაკვდინებელი ზარი ჰქონდა, რომ შიშისაგან კინალამ გული გაუსკდა. ბუჩქებში გადახტა და ერთ დაბალტანიან მუხას ამოეფარა. გულამოვარდნილი და სუნთქვაშეკრული ელოდებოდა, თუ საიდან განმეორდებოდა ისევ ის ხმა. საკმაო ხანი დასჭირდა ლოდინს, სხვა ფიქრი აღარ ჰქონდა, უფალს ევედრებოდა – ხიფათს გადამარჩინეო. უცებ თვალი მოშიშვლებული გზისკენ გაექცა, შეამჩნია ორი დიდი სილუეტი, დაუინებული მზერით კარგა ხანს უყურა და თითქმის დარწმუნდა, რომ ხარები იწვნენ. გასწორდა ქალი წელში, გული დაიწყნარა და მაინც სიფრთხილით გამოვიდა ბუჩქებიდან, სიხარულისაგან აკანკალებული მიუჟახლოვდა მათ, მოეფერა ორივეს და დაშვიდდა, რომ ამჯერად რაღაც საშინელებას გადაურჩა, მაგრამ იმის შიშმა, რომ გარიურაჟი ჯერ კიდევ შორს იყო, მოაფიქრებინა, ხარებს შუა ჩაწოლილიყო.

ასეც მოიქცა.

უკვე მათი იმედით ფრთაშესხმული უშიშრად ელოდა გათენებას.

თანდათან შეეპარა არემარეს გარიურაჟის ხმაური, სოფლიდან მამლის ყივილი მოისმა, ჩიტებმაც ააყოლეს ურიამული, აღმოსავლეთის ცის თაღიც მტრედისფრად შეიღება და ხარებიც წამოიშალნენ. ნელი ზლაზვნით შეერივნენ ტყეს, ბებია ერთხანს კიდევ იდგა იმავე ადგილას იმის შიშით, რომ დილაადრიან საშოვარზე გამოსულ ნადირს არ გადაჰყროდა.

მომძლავრდა დილა და გაუდგა გზას. მხოლოდ იმას ფიქრობდა, ამ ერთმა ლამემ როგორ მოხარა წელში, განვლილი წლებით ვაებაგადატანილმა, პირველად იგრძნო თავი უკიდურესად უმნეოდ და უსუსურად.

დღე მშვენიერი შეუხვდა. მარწყვით გადაპენტილი მინდვრის დანახვაზე ძალა მოიკრიბა და სიხარულისაგან აღმაფრენას მოეწია იმ ფიქრით, რომ სწრაფად გაავსებდა მოზრდილ კალათას, ქალაქისაკენ მიმავალი განახევრებული გზაც მალე გაილეოდა და იქიდან სანოვაგით დატვირთული შვილებს გაახარებდა...

შინ დაბრუნებულ დედას ბავშვები უივილ—ხივილით შეეგებნენ, სასწრაფოდ ჩამოართვეს კალათა, დაითითოვეს მჭადის კვერები და ჩაჩუმდნენ. სახეგანათებული, კმაყოფილი მზერით შესცეროდა შვილებს, სკამზე ჩამოჯდა და მაშინდა მიხვდა, თუ როგორი დაღლილი და გამოფიტული იყო. კარგა ხანს უყურა შვილებს, სანამ არ დარწმუნდა, რომ დაპურდნენ, გულს უთროთოლებდა მათი ხითხითი და მხიარულება.

მთლიანად მოეშვა, მაგრამ ის, რასაც დედობრივი ძალა ჰქვია, კვლავ უცნაურად ავსებდა და ხვალინდელი დღის სამზადისისთვის უხმობდა.

შვილებს ტკბილი ძილი უსურვა და თვითონაც დასაძინებლად გაემართა. საწოლზე ჩამომჯდარი ცრემლიანი თვალებით შეჰქურებდა მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ მეუღლის სურათს და გულში საყვედურობდა: —ამ დღისთვის როგორ გამიმეტე?

...მაგრამ ასეთი დღეები ბებიას უამრავი გადახდა, შვიდი შვილი დააფრთიანა და დღედალამ მოუღალავი შრომით გალია წუთი-სოფელი, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით დახუნძლულმა 96 წელი იცოცხლა.

ვაღმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

პატივიც საკადრისი მიაგეს.

მასზე ახლაც აღფრთოვანებით და მადლირებით ლაპარაკობენ

არა მარტო ლირსეულ და თავდადებულ დედაზე, არამედ სულით  
ძლიერ და გაუტეხელ ქალზე!

ჩემი გრძნობა-გონება სულ ბებიას დასტრიალებს თავს და ამ-  
იტომაც გიამბეთ მის შესახებ... ეს კი იმის ნიშანია, რომ იგი ისევ  
ცოცხალია!

მე ეს რწმენა მათბობს!

## გვიყვარდეს ერთმანეთი!

დღევანდელი ცხოვრება უდიდესი სტრესის ფონზე მიედინება, ძნელია უამრავ სირთულესთან გამკლავება და პრობლემებისაგან თავის დაღწევა. ყველა ადამიანის ფსიქიკა ვერ უძლებს ამ რეალობას და სხვადასხვა უარყოფითი ნიშან-თვისებით ვლინდება, რაც შემდეგში ისახება ადამიანთა ურთიერთობებში.

ბავშვობიდან მოყოლებული, მთელი ცხოვრება, სულ მიკვირდა, რატომ არსებობს სამყაროში შური და შურიანი ადამიანი? პასუხი ამ კითხვაზე თითქოსდა სულ გამაჩნდა, მაგრამ ამ პასუხს ისევ ახალ შეკითხვას ვუჰირისპირებდი! დღესაც გაურკვევლობაში ვარ და არ მესმის ასეთი ადამიანებისა, ნუთუ შეიძლება, უფლის ნაბოძი ისედაც ხანმოკლე სიცოცხლე, საკუთარი ხასიათის დაუმორჩილების გამო, შენივე სურვილით გამწარო და გაინადგურო?

ჩემი ღრმა რწმენით, ასეთებად არ იპადებიან!.. ასეთები ხდებიან არასრულფასოვანი ცხოვრების მწარე გამოწვევების მერე.

ოცდამეტრთე საუკუნე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შურისა და მტრობის ეპოქაა. იმდენი რაოდენობის დისკომფორტს განიცდის ადამიანი, რომ ძნელია მშვიდად იყოს და არ ააფორიაქოს იმან, რაც გარშემო ხდება. ეს ნეგატიურად მოქმედებს ფსიქოემოციურ სტაბილურობაზე, ზოგჯერ დამანგრევლადაც კი.

თანამედროვე ოჯახები დგანან ისეთი ფინანსური და მატერიალური პრობლემის წინაშე, რომელიც აიძულებს დედებს ნაადრევად მოწყდნენ შვილის აღზრდის პროცესს – ოჯახს უჭირს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება. სამსახურებს ეშურებიან და შვილების ბედი ჩვილობიდანვე ძიძაზეა მინდობილი. სწორედ



ეს იწვევს ადრეული ასაკიდანვე ურთიერთობის უკმარისობას, დედას და შვილს შორის აღარ არის ის აუცილებელი ემოციური კავშირი, რაც მათ შორის ურთიერთმიზიდულობას და სიყვარულს ამყარებს. უცხო ადამიანი დედას ვერასდროს შეცვლის! ბავშვი ვერასდროს მიიღებს მისგან იმ სითბოს, რაც მხოლოდ დედას შეუძლია და რაც ესოდენ აუცილებელია მისთვის...

როცა პატარა ხედავს სხვას, თავისსავე თანატოლს, დედასთან როგორი სავსეა, როგორი ბედნიერი, მას პირველი უარყოფითი ემოცია უჩნდება, რაც თავის მხრივ, უკმაყოფილების გრძნობას იწვევს.

კიდევ რამდენჯერმე ანალოგიური სურათის ნახვა აშკარას ხდის, რომ თანატოლს ძალიან განსხვავებული და განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს მშობელთან. აქ უკვე შეიმჩნევა პირველი შურის ნიშანი: პატარას დედასთან ურთიერთობის უკმარისობის ფონზე სხვისი უპირატესობა შურს!

აქ აუცილებლად უნდა გავიგონოთ პირველი საგანგაშო სიგნალის ხმა, რომელიც მრავალჯერ განმეორდება მომავალში, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ.

ჯანსაღი გონებით უნდა გავიაზროთ იმ ფასდაუდებელი სამსახურის აუცილებლობა, რომელსაც შვილის აღზრდა-განვითარება ჰქვია მშობლის მუდმივი აქტიურობითა და ჩართულობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ისეთ თაობებს, რომლებსაც თავიანთი უარყოფითი მხარეების დანახვის უნარი საერთოდ არ ექნებათ და სხვისი სრულფასოვნების ფონზე, აღეძვრებათ ისეთი დამანგრეველი და გამანადგურებელი ზრახვა, რომელსაც შური ჰქვია.

შური უამრავ ცოდვაში აგდებს შურიან ადამიანს, ნებით თუ უნებლიერ.

მე ვფიქრობ, შური იმ ადამიანის სენია, ვისაც ამქვეყნიური დიდების მანია სჭირს, ვინც იმის ნაკლებობას განიცდის, რაც შურის ობიექტს აქვს. მიუხედავდ იმისა, რომ ეს ფარული ცოდვაა, მისი სივერაგე მახვილ თვალს, გამჭრიახე გონებას და გულს, არა-სოდეს რჩება შეუმჩნეველი.

რამდენჯერ ვყოფილვარ შურიანი ადამიანის პირისპირ?! ის ცდილობს გამოაჩინოს „კეთილი“ გრძნობა, სიყვარული და სიხარული, მაგრამ ამ დროს იმდენად ზედაპირულია ქცევაში, ყველაფერი ძალიან მარტივად იკითხება მის სახეზე და თვალებში...სხვანაირად მას არ ძალუს, რადგან სული ნეგატივით აქვს დაბინძურებული, არის მუდმივად უარყოფითი ენერგიის მატარებელი, არ განიცდის სინდისის ქეჯნას თავისი არანორმალურობის გამო; ყველაზე ცუდი ის არის, რომ ასეთი ადამიანის გავლენით გარშემომყოფებიც ასეთივენი ხდებიან, თითქოს სენი გადაედოთო...

საკუთარი უპირატესობის წარმოჩენის სურვილი, მთლიანად ანადგურებს ადამიანს სხვების თვალში. ზოგადად, წარმატება და სიძლიერე სხვამ უნდა დაგიდასტუროს და როცა ამას პირში გეუბნებიან, მაშინაც კი უნდა გეუხერხულებოდეს ამის მოსმენა!

სიძლიერედ ჩაგეთვლება, როგორმე მოერიო თავს და საბოლოოდ მოიშორო ის მანკიერი ბუნება, რომელიც არასდროს განიჭებს ბეჭინიერებას. ზედმეტი თავდაჯერებულობა უდიდესი ნაკლია, ხომ არ შეიძლება, მაინც და მაინც, ყველამ შეგიქოს შენი პიროვნება, პროფესია თუ სიყვარულით საკეთებელი საქმე? მოდი, მიეცი სხვებსაც საშუალება, – გითხრან სიმართლე იმ კუთხიდან, საიდანაც დაგინახეს...ამის შემდეგ კი, თავად შეძლებ ამოიცნო შენი თავი ისეთი, როგორიც სინამდვილეში ხარ!

ძალიან მინდა ყველას გვეპრალებოდეს ასეთი ადამიანები, ვინაიდან მათი სულები დაღრღნილია უდიდესი ცოდვისაგან. იქნებ შევძლოთ და ვიღოოცოთ მათთვის, მითუმეტეს, როცა ვიცით, რომ უფალი გულთამშილავია, ის ყველას გულში იხედება და სხვებისთვის მლოცველს უფრო მეტ სიკეთეს მიაგებს!

იქნებ, მოხდეს სასწაული და მათაც გამონახონ ძალები ცოდვასთან საბრძოლველად,

შეძლონ მართალი გულით მონანიება და დარწმუნდნენ, რომ საამისოდ ყველაზე ჭეშმარიტი გზა არის უფალთან სიახლოვე.

ჩემდა გასაოცრად, ტაძარშიც ბევრჯერ მინახავს ისინი: ესწრე-

ბიან წირვა-ლოცვას, სანთლებს ანთებენ, ლოცულობენ, პირჯ-ვარს ისახავენ, აღსარებას ამბობენ... ჰო, საკვირველებავ! რატომ არ იციან, რომ ერთხელ მონანიებული ცოდვის მსგავსი ცოდვის კიდევ ჩადენა, ორმაგი დანამაულია უფლის თვალში?

თუ მართლმადიდებელი ხარ და იცი, რომ შენი ადგილი ეკლე-სიაშია, მაშინ რატომ არ ემორჩილები უფლის მოძღვრებას?

უფალი მაშინაც უნდა გახსოვდეს, როცა ზღურბლს გადმოაბი-ჯებ და თავისუფალ გარემოში ხვდები! საინტერესოა, გასაჭირში მყოფი და ცოდვით დამძიმებული, როგორ უხმობ მას დახმარე-ბისთვის?

როგორ მინდა, სამყაროში უხვად იყვნენ სიკეთითა და სათნოე-ბით საქსე ადამიანები, რომელთა გულში მართლა სახლობს უფა-ლი, არასადროს არ სჭირდებათ შეხსენება იმისა, რომ ღმერთი უზე-ნაესია, ხოლო მისი სიყვარული არის ყველა სათნოების და სხვა ადამიანებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულების საწყისი.

ლვთისნიერება თავმდაბლობაა, თავმდაბალ ადამიანს კი არას-დროს შეურს, პირიქით, მას ძალიან ადვილად შეუძლია სხვისი უპ-ირატესობის დანახვა და აღიარება, მისი უპირატესი სურვილია, მორალური მხარდაჭერის გამოხატვა უფლის გზას აცდენილთათ-ვის.

რა საწყისა, ასეთების გვერდით, სხვისი უბედურების მომ-ლოდინენიც რომ არსებობენ?! მაგრამ, ალბათ, იმ იმედით, რომ უფალი მიმტევებელია და მიუტევებთ... თუმცა, ასეთი ადამიანის ყოფა რაც არის მთელი ცხოვრების განმავლობაში, იმაზე მეტი სატანჯველი აღარ არსებობს!

ჰოდა, სხვისი მიმართ შურითა და ბოლმით, ნუ მოვიწამლავთ სიცოცლეს!

გვიყვარდეს ერთმანეთი!

ისედაც, ორი დღის წუთისოფელი გვაქვს!

## დედა...

ერთი დღეც არ დალამდება მასზე ფიქრის გარეშე, ის მთელი სამყაროა თავისი ფასდაუდებელი ამაგით, სითბოთი და სიყვარულით!

არ ვიცი, რატომ მაქვს დღენიადაგ აკვიატებული დედაზე ფიქრები?

არ ვიცი!

ალბათ, გულს უკმარისობის გრძნობა აწუხებს...რადგან ტკივილამდე მენატრება მისი სურნელი და ჩაუტება, ჩაგუბებული სევდით, მაგრამ იშვიათი სითბოთი ალსავსე თვალები, ტკბილად მოუბარი, ხანდახან ხუმრობასაც რომ გამოურევდა და ხასიათს გამომიკეთებდა ხოლმე... მენატრება მისი ხელჯოხის და ნაბიჯების მორიდებული ხმა, რომელიც ხშირად მეორდება ჩემს ყურებთან ახლოს და გულს მიჩქარებს.... მენატრება ის ღიმილშეპარული მზერა, რომელიც ყოველდღე მახსენებდა, თუ როგორ ვუყვარდი, მაგრამ პოლომდე მაინც არ მაგრძნობინებდა ამას, რადგან შიშობდა, ძალიან არ გავთამამებულიყავი, თუმცა ხშირად გული მაინც ვერ უძლებდა სისუსტეს და ისეთი ზღვარგადასული მოფერება იცოდა, რომ მერე თვითონაც უკვირდა, ზედმეტი ხომ არ მომივიდაო...მე კი ისეთი შვილი ვიყავი, არას-დროს ვსარგებლობდი მისი კეთილგანწყობით, პირიქით, სულ ვცდილობდი შენიშვნაც კი არ მოეცა, თუნდაც უმნიშვნელო.

მძიმე უდელი დაიდგა მხრებზე, იოლი ხომ არ არის ხუთი შვილის გაზრდა? უფროსი მე ვიყავი და დიდი პასუხისმგებლობა მქონდა დაკისრებული უმცროსი ძმისა და დების წინაშე. ხშირად



მათი მომეტებული სიცელქის გამო, დედა მე მსჯიდა, მაგრამ სულაც არ მწყინდა, რადგან ეს კანონზომიერებად მიმაჩნდა. მუდამ ვზრუნავდი პატარებზე, ისინიც, ჩემი მობაძვით, უფრო და უფრო ჭკვიანები ხდებოდნენ და დედასაც თანდათან უადვილდებოდა ოჯახის უამრავ საქმესთან გამკლავება.

ცხოვრება ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, ბოლომდე ვერ მოვისურვილე დედის სიყვარული.

როცა წლები ერთნაირად გვემატება მშობელსაც და შვილსაც, როცა ასაკობრივი ზღვარი უცვლელია, როცა შვილები მუდამ ბავშვებად ვრჩებით და გვგონია, რომ მშობელიც უბერებელია, სწორედ ამ დროს ვდგებით სასტიკი რეალობის წინაშე. მერე ჩნდება გულისწყვეტა და სინანული, ბევრის შეცვლისა და დროის უკან დაბრუნების სურვილი, უწყვეტით საკუთარ თავს, რომ მაქსიმალურად ვერ შევძელით მასთან ურთიერთობისთვის ყოველი წამის გამოყენება.

ხანდახან მომეტებულად მერქნობიარე გულით, ლამის სასონარკვეთამდე მივდივარ, მაგრამ, მერე, მისი სულის მარადიულობის რწმენა მეხმარება გამოსავლის პოვნაში.

ყველაზე ბედნიერი ბავშვობა იყო, როცა მყარად ვიყავი მიჯაჭვული დედასთან, მაგრამ ამ ბავშვობამაც თვალის დახამხამებაში გაირბინა, მერე დავოჯახდი და მრავალი საზრუნავი გამიჩნდა.

რაღაცნაირად დავშორდი დედას, ხანდახან აღარც მახსოვდა ალბათ, თუმცა მუდმივად მჭირდებოდა მისგან დარიგება და ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება.

ასე, ათეული წლები ჩამოვიტოვე უკან და ერთ მშვენიერ დღე-საც, მოხუცებული დედის პირისპირ აღმოვჩნდი. მივხვდი, დრო თვალსა და ხელს შუა როგორ გამქრალა და სინანულისგან გული დამეწურა: ნუთუ ეს ჩემი მოულლელი და მუდამ მოფუსფუსე დედაა? ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც პირველად შემრცხვა საკუთარი თავის გამო, მაგრამ მაინც გულს ვიმშვიდებდი: მე ხომ

სულ მინდოდა დედასთან ყოფნა, მანძილი და სიშორე კი ამის საშუალებას არ მაძლევდა, წელიწადში მხოლოდ ერთხელ გვქონდა ეს ბედნიერება...

გვიან მივხვდი ყველაფერს!

ხუთივე შვილი დაგვაფრთიანა და დაგვაოჯახა, მამამაც ადრე დატოვა და ქვრივმა მარტობაში გაატარა სამ ათეულ წელზე მეტი. მუდამ ვემუდარებოდით შვილები, ჩვენთან წამოსულიყო, მაგრამ თავისი სახლი და ეზო-ყურე მთელ ქვეყანას ერჩივნა, სულ იმას გაიძახოდა: სადაც ჩემმა ქმარმა დამტოვა, იქ უნდა მოვკვდეო! ახლა წარმოდგენილი მაქვს, რამდენჯერ ყოფილა იმ მდგომარეობაში, ცუდად მყოფს, წყლისა და წამლის მიმწოდებელიც რომ არ ჰყავდა, მაგრამ არასდროს არ გვაგრძნობინებდა ტკივილს, ჩუმად ითმენდა ყველაფერს.

ისეთი მადლიერებით იცხოვრა, წუთისოფლის ამაოებაზე არც დაუწენუნია, შვილების თავს მუდამ ავედრებდა უფალს და ღრმად სჯეროდა, რომ წინ კიდევ ბევრი სიცოცხლის წელი ელოდა...

ბედისწერა ალბათ, თავისი დაბადების დღეს რომ აღესრულა...

ის სამყარო, რომელსაც დედა ავსებდა და ალამაზებდა, უკაცური უდაბნოსავით გახდა!

მას შემდეგ სულ ვეძებ, ყველგან ვეძებ გაფართოებული თვალებით!

წუთუ შემიძლია პოვნა?

გამოსავალს ვერ ვხედავ...

უნდა შევეგუო ბედს!

პოდა შევეგუე, მაგრამ მასზე ფიქრი ერთი წუთითაც არ მანებებს თავს., ალბათ მამა არ გამიწყრება, დედაზე რომ მოჭარბებულად ვფიქრობ. ამ დამოკიდებულებაში ძლიერია ის ჯაჭვი, რომელიც განგებამ, ერთიანობის სიმბოლოდ დაუწესა დედასა და შვილს!

ამ ჯაჭვს ვერვითარი ძალა ვერ გასწყვეტს!

ეს სასწაული სიყვარულია, უანგარო სიყვარული, რომელზეც  
ნარსულში ვერასოდეს ისაუბრებს ადამიანი, რადგან შვილის  
გულში დედა მუდამ ცოცხალია! ის იმდენ მადლსა და სიყვარულს  
ტოვებს ამქვეყნად, რომ მერეც გულუხვად ათბობს შვილთა  
სულებს... ამიტომ, დედის სიკვდილი არასდროს არის მისი დასას-  
რული, პირიქით, ის მარადიულობის დასაწყისია!

ღრმად მწამს, რომ დედამ მართალთა სამყოფელში დაიბინად-  
რა!

დღეს კი მინდა, რომ ყველა დედას ვუთხრა თავისი შვილის  
სათქმელი:

- დედა, გმადლობ, რომ სიცოცხლე მაჩუქე!
- მაპატიე ის ტკივილი, რომელიც ჩემი ამქვეყნად მოვლინების  
გამო განიცადე!
- გმადლობ უამრავი უძილო და შფოთიანი ღამისათვის, რომე-  
ლიც ჩემს სასთუმალთან გაათენე!
- მაპატიე შიშის გამო, რაც სიმარტოვეში გადაგხდა!
- მაპატიე მონატრებისათვის, მოლოდინისათვის, ჩემ გარეშე  
გათენებული და დაღამებული დღეებისათვის!
- მაპატიე ჩემი შეცდომების გამო შენ წინაშე!
- მაპატიე შენს თვალებში დაუნახავი სევდის გამო!
- მაპატიე იმ დამოკიდებულებისათვის, რასაც შენდამი უყურ-  
ადლებობა ჰქვია!
- ყველაფრისათვის მაპატიე, დ ე დ ა!
- შენ გარეშე სამყარო ცარიელია!

\*\*\*

დღევანდელი დღის გადასახედიდან თვალი მიმოვატარე ირგვლივ, გონება დავძაბე, რადგან მომინდა ყველაფერი გამხსენ-ებოდა ჩემი ცხოვრების გარდასული წლებიდან...

გავიხსენე კიდეც...

მართალია, ნათელი ფერები სჭარბობს, მაგრამ მცირეოდენი მუქის არსებობა, რაღაცნაირად მთრგუნავს, ხასიათს მიფუჭებს და ძველ დროში დაპრუნების სურვილს აღმიძრავს, რომ შევძლო, ყველა ლაქა წავშალო...

ძნელია, ძალიან ძნელი!

ვფიქრობ უსასრულოდ... არ მინდა იმ ფერების გახსენება, მაგრამ ისინი მაინც ტივტივებები გონებაში და ვრწმუნდები, სამუ-დამოდ ჩემთან დარჩებიან...

სიცოცხლე მხოლოდ სიცოცხლე არ არის, გული უნდა გქ-ონდეს, გული სიკეთით და სიყვარულით სავსე! მარტო საკუთარი თავისთვის არა, სხვისთვისაც უნდა არსებობდე!

თვალსა და ხელ შუა ქრება უფლის ნაბოძები წლები, თითქოს-და უკვალოდ... მერე სინანული იწყება, სინანული ყოველი გარდა-სული და დაუბრუნებელი წამისა, წუთისა, დღისა თუ წლებისა...

მაგრამ ეს სინანულიც არაფერია, თუ ლირსეულად გიტარებია შენი ადამიანობის ტვირთი, რომელიც მხოლოდ მაშინ არის მსუბ-უქი, როცა მართალი ხარ უფალთან და საკუთარ თავთან. სხვა შემთხვევაში, ღმერთთან მიახლოვების გზა უკვე გამრუდებულია და მის ოლროჩოლროებში, სულის განსაწმენდად, დიდი ბრძოლა გაქვს გადასახდელი!

გახსოვდეს, რომ ამ ბრძოლაში მარტო იქნები პირისპირ უფალ-



თან და რაოდენ მწარეც უნდა იყოს, მოგიწევს დამალული სიმარ-  
თლის აღსარება... აი, სწორედ, აქ არ უნდა შეგრცხვეს საკუთარი  
თავის გამო! დიახ, საკუთარი თავის გამო, თორემ უფალი მიმ-  
ტევებელია და ყველას ყველაფერს პატიობს. შენც გაპატიებს,  
მაგრამ მაინც, სინდისის ქენჯნისგან მოსვენება გექნება დაკარ-  
გული!

სიცოცხლე საზღაურია!

ამქვეყნად მოსვლაც ვალია! ვალი, რომელიც უნდა გადაიხადო  
შენ ირგვლივ მბრუნავი სამყაროს სიყვარულით!

## სარჩევი

ლიმილს არ გადამაჩვიო!	22
როცა ყველაფერი გაქვს.	23
სიცოცხლე სიყვარულია!	24
ეს შემოდგომაც...	26
კლდის ქიმზე ვდგავარ!	27
დროა, შეჩერდეთ!	28
უშენოდ რა ვარ?	30
***კანონებს წუთისოფლისას...	32
„ურგები შვილი წყალსაო“	33
თურმე, რაოდენი შემძლებია?!	34
გული მატკინე...	35
წავიდეთ!	36
ვარდობისთვეა, ახლა, ჩემო...	38
დროს როგორ შევედავები?	39
უკვე გიბერდები, შვილო!	40
მოვა დრო...	41
მედროვეებო!	42
უნდა ვიყო გულმართალი!	43
რაღა ძალმის?	44
ჩემო სიყრმის შვილო...	45



უნდა დაიჯეროთ!	46
სულ უნდა გვახსოვდეს!	47
გიორგი სააკაძის ფიქრები	48
მიწავ, ჩემო, მადლიანო!	50
ფიქრი შემომეჩვია	51
შენ, ადამიანო!	52
გეძებ	53
გიორგი გორელიშვილის ხსოვნას!	54
დიდი ხანია მატირებს...	56
ქვეყნად მოსახდელი ვალი	57
ცხოვრების წესი	58
ნუ გეშინია, ჩემო პატარავ!	59
„ასეა ეს“	60
ისევ შენთან დაგბრუნდები!	60
რად სწყრები?	61
ვიგაზაფხულე!	62
ბეწვის ხიდი	63
თუ წავალ	64
გაფრინდა	65
თუ ხვალის რწმენა შეგვრჩა	66
შემომხედე!	67
რას გაუგებ	68
საწყალი კაცი	68
დაბრუნდით!	69
მტკივა ჩემი თბილი ბუდე...	70



აპრილის სუნთქვა.....	72
რა დრო გასულა?!.....	72
მიხვდება?.....	73
უფალო, შენი მადლია!.....	74
მითხარი!.....	75
ქვეყნის სიჭრელე.....	75
სიყვარულის ანარეკლი.....	76
გიორგი სააკაძე.....	77
წუთისოფლის ამაოება.....	78
და მაინც.....	79
ვაი, თუ.....	79
ოშკი – ჩვენი სულის მზე!	80
არ მიდარდო!	81
ვერ მოვტრუნდები!	82
ხელახლა ვეღარ გავიმეორებ!	83
დრო იყო.....	84
მიყვარხარ!	85
არ გეკადრება!	85
მტკივა სიცოცხლე!	86
მაგონდება.....	88
ჩემს თავსა ვტირი!	89
მყინვარწვერს.....	90
სიშორე.....	91
მაიმედეთ!	92
ისე არ წავალ!	93



მე ჩემი გზა მაქვს!	94
არც არად მიღირს...	94
სევდიანი სიშორე.....	95
ნუ იდარდებ!	95
მიყვარხარ, მამი!	96
შენ, ჩემო ბედისწერაო.....	97
ბავშვობის მონატრება.....	98
როცა.....	99
გვემშვიდობება შემოდგომა.....	100
დედა.....	101
***ნახველ, გამოგიტირა.....	101
მზესავით გაუხუნარი.....	102
***უფალო, შენი იმედით დავალ.....	102
არსად არ ნახვიდე!	103
***სულ არ მადარდებს სიფიცხე.....	103
მე რომ გაზაფხული მიყვარს.....	104
***როცა გზები გაილევა.....	104
განა ასე ადვილია?!.....	105
***თუ ქმარი გქვია – ცოლს გაუფრთხილდი.....	105
მზესთან გამასაუბრეთ!	106
ღრუბელო.....	107
სიკეთის ნერგი.....	108
ბედი – მე რომ მინდოდა.....	109
ილია.....	110
მეუღლეს.....	111



გემრიელი ლუკმა.....	111
მოვდიოდი... .....	112
***გული თბილია.....	112
მამის საფლავთან.....	113
სიყვარულის ზღაპარი.....	114
გზა მიძნელდება... .....	115
რატომ მძინვარებ ტკივილო?.....	116
მოხველ, გაზაფხულო?.....	117
ალალი იყოს!.....	118
გამოვიდარე... .....	119
საქართველო აღარ არის ჩემი!.....	120
რა გაეწყობა?.....	121
რა ვუთხრა პაპას?.....	122
წუთისოფლის წარმავალობა.....	123
წავიდა, გადაიქროლა... .....	123
რაც იყო და არ იყო... .....	124
ნეტავ რა იქნება ხვალე?.....	125
ღმერთო, არ ჰპოვოს სასრული!.....	126
ჩემს მაგდას.....	127
მემატიანე.....	127
თუ მოსვლა გინდა.....	128
მასწავლებლისადმი.....	128
მე არ ვბერდები!.....	129
ჩემია!.. გესმით?.....	130
განა რას გთხოვ?.....	131



ანიტა.....	132
ალაზანს.....	133
ნეტავი, ისე არ მომკლა... ..	134
სიყვარულის ანა-ბანა.....	136
რწმენა დამეკარგა, ღმერთო!	136
ბუნების წესი.....	137
სულ ვფხიზლობ.....	137
ჭადარი.....	138
ჩემი ლხინი.....	139
ყველაზე მთავარი.....	139
„ორი მუზის მსახური“.....	140
ჩემი სიცოცხლის ზეცა.....	141
მადლობელი ვარ!	142
ნუ დაიდარდებ!	142
ვერგამხელილი ტკივილი.....	143
როგორ დავმალო?	144
ნუ შიშობ!	145
ნელა ეშვება სალამოს ბინდი.....	146
გაცრეცილია სიცოცხლის ფერი!	147
მიწავ ჩემო, ძვალსალაგო!	148
რომ ვიცოცხლო...	149
სიზმარი.....	150
ერთია სიცოცხლე!	152
***ბედის ბორბალი ბრუნავს და ბრუნავს.....	153
მარტოხელა.....	154



მოდის სიბერე!	157
უფლის გზას მოვდევ...	158
ახლა ისევ მაისია.....	159
***გული წარსულის ტყვედ რჩება ისევ.....	160
„ზოგი ჭირი მარგებელიაო“.....	161
უშენოდ.....	162
რეკავს ზარი...	163
დადგა შემოდგომის ფოთოლცვენა...	164
მოდი!	165
ისევ აქ ვარ!	166
ჩემი სიამაყე.....	168
არ დავნებდები!	169
იმ დღიდან დღემდე...	170
მშობლები.....	172
მეორე მშობლები.....	175
გზა მშობლიური სოფლისკენ.....	178
ჩემი ბებია.....	182
გვიყვარდეს ერთმანეთი!	188
დედა...	192
***დღევანდელი დღის გადასახედიდან.....	196



## ჩემი ცხოვრების ზერადი დღეები



ბატონი ლევან შერაზადიშვილი მეუღლესთან ერთად,  
რომელმაც მთლიანად დააფინანსა წიგნი



ბესო პაპა და 10 შვილიშვილი

























„მითხარ, როგორ გავუძლო, უშენობის ტკივილებს?“ (ჩემი დაიკო ჯული)



„ვაი, იმ ბოლო სიმღერას...“ გიორგი გორელიშვილი



მშობლები

„ცარიელი სულიო დავალ და დაგეძებთ, მონატრება როგორ უნდა დავძლოო?“



მეორე მშობლები